


ირავეო აბაშიძე
საქართველოს მხატვარი



ინერატის გვეგვი

სამჭიდვა მნებარი
1957

91(54)04+8cг-ч

ՕՐԵՆՍՅԱԼՈ
ՅՈՒԹՈՒԹՅՈՒՆ



ବିଜ୍ଞାନ ପରୀକ୍ଷା
ଓଡ଼ିଶା ସେସମ୍ବିଲ
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ

୦୦୦୨-୫୮୬୯
୬୦୩୮୮୮୭୦୬୮୮

ქოპენჰაგენის ქუჩები და მოედნები, სასტუმროები-
 სა და მაღაზიების დიდი ფოიები წუხელ სახალწლო
 ნაძვისხეებით გულის გამხარებლად იყო გაჩირდნე-
 ბული. დილით ეს ხეები მოწყენილი არიან. უკვე დეკემ-
 ბერია, მაგრამ სკანდინავიაში თოვლი ჯერ კიდევ არა
 ჩანს და ამ ხეთა ტოტები დანიელებს ბამბის ფოი-
 ლებით დაუფარავთ. ჩრდილოეთის დეკემბერი და ნა-
 ძვისხეებზე ბამბის ფინილები!

აეროდრომის სატრანზიტო დარბაზში ვეებერთელა
 ნაძვისხის ძირას დაბალ სუფრაზე დილის საუზმეს შე-
 მოვუსხედით ინდოეთისაკენ გაფრენის წუთის მოლო-
 დინში. შეუჩვეველი, ულიმლამ აეროდრომის ნაუცბა-
 თევი საუზმე კონსტანტინე სიმონოვმა უცებ გაახალი-
 სა ქართული საწებლით, რასაც იგი თითქმის ყველგან
 ამოაძრობს ხოლმე პატარა ბოთლით თავის სამგზავრო
 ტოპრაკიდან. ვისკის ჯერ კიდევ არ ვეკარებით, სანამ
 მარქაფში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება ჩვენებური
 „დედაქალაქური“. პოეტმა და „ოგონიოკის“ რედაქ-
 ტორმა ანატოლი სოფრონოვმა ხელისგული ფრონტუ-



ლად ბრტყლად დაჰკრა თეთრ ნიხევარლიტრიანული მუსიკურობაზე და იქვე საცობი დააგდებინა: — გაუმარჯოს ჩვენს მგზავრობას შორეულ ქვეყნებში, გაუმარჯოს სიყვარელ სამშობლოს, ჩვენს წასვლას და მის დარჩენას! გზის დასალოცი გადაეცა პოეტსა და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, აზის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარეს მირზო ტურსუნ ზადეს, რომელსაც დღეს კბილიც სტკივა და ეს არაყი წამლადაც გამოადგება. იქიდან ჭიქი თურქმენეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კარა სეიტლიევთან გადავიდა, მან კიდევ თავის მხრივ ალავერდი „თეირანის“ ავტორს, სომეხ ბელეტრისტს გარეგინ სევუნცს გადაუწოდა; სევუნცმა — „აფშერონის“ ავტორს, აზერბაიჯანელ მეზდი ჰუსეინს; ამ ოკანისკნელმა კი სასმისი ყირგიზეთის მწერალთა მეთაურს ტუგელბაი სიდიბეკოვს გადასცა. აქ მე ჩემი თავი გამომრჩა, — მეც გეახელით, ანუ, როგორც იტყვიან, ამ სტრიქონების ავტორიც გეახლათ გზის დასალოცს.

ამასობაში. ჩემო მკითხველებო, ჩვენი დელიგაციის თითქმის მთელი შემაღენლობაც გაგაცანით. ამათ დავუმატებ მხოლოდ უზბეკ მწერალ ზულფიას, ყაზახ ბელეტრისტ გაბიდენ მუსტაფინს და სიაც დაიხურება. ზულფიასა და მუსტაფინსაც დასამატებლად საქმე. არ გაუხდებოდათ, რომ გზის დასალოცის მიღებაზე უარი არ განეცხადებინათ. პირველს როგორც ქალს და მეორეს კი ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო.

საბჭოთა კავშირის მწერალთა ეს დელეგაცია მიემგზავრება ინდოეთში, ქალაქ დელისაკენ, აზის ქვეყნების



მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაში მოწყვეტილი დოკუმენტების მისაღებად.

დანიის ოთხმოტორიანი ვეებერთელა თვითმფრინავი SAS „სკანდინავიენ აირლინეს სისტემ“ — გადაუფრენს მთელ ევროპასა და აზიას და გასწევს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოსაკენ; ჩვენ მას ჩაყყვებით პაკისტანამდე, იქიდან ეს მანქანა თავის გზას გაუდგება, ჩვენ კიდევ ჩვენს გზას, უკვე ინდოეთის თუ პაკისტანის საავიაციო კომპანიის თვითმფრინავით.

ყოველი მგზავრობისას, მატარებელში ვარ თუ თვითმფრინავში, მე პირველად თვალით საწოლს თუ დასაჯდომს მოვსინჯავ ხოლმე: — დავეტევი თუ არა „საკითხავი აი ეს არის“. ამ თვითმფრინავშიაც, მიუხედავად მისი გარეგნული გოლიათურობისა, პირველ ყოვლისა ჩემს ადგილს დავუწყე თვალიერება და ზომვა. წარმოიდგინეთ. ჩემგვარ დღეში ყოფილა ინატოლი სოფრონოვიც. რომელიც სიმაღლით ხომ ჩემოდენაა, სისქით კი მგონი ორჯერ მეტი იქნება. ისე მოხდა, რომ ბედმა ჩვენ მომიჯნავე სკამებზეც დაგვსხა, ერთმანეთის გვერდით და, აგრე გასინჯეთ, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ადგილებზე ორიგენი თავისუფლად მოვთავსდით. მანჭვალს ხელი დავაჭირეთ, ჩვენი სკამები საწოლებად გადაიქცა და მასზეც, აგრეოვე საბედნიეროდ, თავისუფლად გავიშალენით. მაშ, კეთილად გვიმგზავრია! დასაჯდომებზე ტყავის ფართო ქამრებით მტკიცედ მივეკარით და... ოთხმა პროპელერმა ზრიალით შეაგდო ჰაერში სკანდინავიის გოლიათი.

სხვათა შორის, როგორც ამასტინათ მოსკოვის პრე-

სა იუწყებოდა, ეს თვითმფრინავი სკანდინავია-ნა ხაზე ახლა სხვა მარშრუტით დაფრინავს. პეტ-დალის იაპონიაში ჩადის უკვე ჩრდილოეთის ყინულოვან პოლუსზე გადაფრენით.

თვითმფრინავში სამი ქლასია: პირველი, მეორე და ტურისტთა კლასი; სამივე მშვენიერადაა მორთული ყვავილწნულებით, ცოცხალი ყვავილებით, მოხატული ფარდებით. თავს დაგვტრიალებს სუფთად ჩატული მომსახურე პერსონალი. ჩასხდომისთანავე მოგვართვეს ვისკი, ესპანური ფორთოხალი, ნესტლე, სიგარეტები.

გადავუფრინეთ თავზე დასავლეთ გერმანიის კვად-რატებად დაყოფილ მიწას. აქა-იქ ცამდე იმოსულ ქარ-ხნების კვამლს. დიდ ქალაქებს. დასახლებულ პუნქტებს, წითელსახურავიან სახლებს, ტყეებს. წყალსაცავებს და შევცურდით სქელ ღრუბლებში. ეს მხარე სულ ვაკე ყოფილა. როცა ღრუბლებიდან გამოვძვრით, ძირს უკვე გამოჩნდა საღამურად გაჩახახებული ქალაქი მაი-ნის ფრანკფურტი.

მაინის ფრანკფურტის ვეებერთელა აეროდრომი მთლიანადაა მოპირკეთებული ცემენტის ფართო ფილე-ბით. ზედ აუარებელი თვითმფრინავები სხედან ათასი ქვეყნისა და მარკისა. თვითმფრინავების გარშემო პატა-რა ავტომანქანები დაჭრიან დილიუანსის მსგავსი მისაბ-მელებით. ამ მისაბმელებში ცნობისმოყვარე მოქალაქენი სხედან და ჩამოსულ თუ მიმავალ მგზავრებს ათვალი-ერებენ. სატრანზიტო დარბაზში რამდენიმე რადიოგა-დამცემი მუშაობს; ხშირად ისინი ერთდროულად აცხა-დებენ სხვადასხვა მიმართულების თვითმფრინავთა გაფ-



რენის თუ მოფრენის შესახებ და მაშინ დარბაზში კადაცი
გაურკვეველი ზრიალია. სატრანზიტო დარბაზში ყურადღი
დღებას იქცევენ გერმანელი ახალგაზრდები. მათ ისევ
სამხედრო ფორმა აცვიათ, თითქოს უკანასკნელი ომი.
დან ასი წელი გასულიყოს და ყველაფერი დავიწყებას
მისცემოდეს.

რა ლამაზია ლამით აეროდრომი. მას მეტად საზეი-
მო შეხედულება აქვს, ის, მიწაზე გაწოლილ პროექტ-
ორის სინათლეზე გასრიალდა და ცაში მიმინოსავით
ავარდა ვეებერთელა თვითმფრინავი. მისი ფრთები ცი-
ცინათელებივით ანათებენ, მერე თვალს მიეფარებიან.
სამაგიეროდ აეროდრომზე ლრუბლებიდან ეშვება სხვა
მანქანა, მისი ფრთების სინათლეებიც ციცინათელებივით
ხამხამებენ.

მალე ჩვენც ავმალლდით და ხელახლა ლრუბლებში
შევცურდით.

უნევა.

უნევის აეროდრომის შენობა თითქოს სულ მინითაა
ნაგები. ისეთი მსუბუქია, გეგონებათ აგერ ესეც თვით-
მფრინავით ჰაერში გაფრინდებაო. აქაც, როგორც
მაინის ფრანკფურტში, რაღაც საათნახევარი დავყავით
და ორიოდე საათის ფრენის შეძლევ უკვე რომის აერო-
დრომზე ვისხედით. სწორედ ორი თვის წინ ვათვალიე-
რებდი ამ უძველეს და მსოფლიოში ულამაზეს ქალაქს.
ფორუმი... კოლიზეი... პანთეონი... წმიდა პეტრეს ტა-
ძარი... ვენეციური სასახლე... სიზმრები... ზღაპრები...

ევროპის ქალაქთა აეროდრომები თითქოს კალიების
საფრენ დისტანციებზე იყვნენ განლაგებულნი. სამაგიე-



როდ ნამდგილი ფრენა . რომიდან იწყება, რომ ამდენია
აბადანამდე მთელ ლამეს ჰაერში ხართ და მხოლოდ
თერთმეტი საათის ფრენის შემდეგ დაადგამო მიწაზე
ფეხს.

გადავუფრინეთ თავზე ლამის ათენს, ხმელთაშუა
ზღვას, ანატოლიას, ბეირუთსა და დაბასკოს და დილით,
როცა მცირე ძილის შემდეგ ფანჯარაში გადავიხედეთ,
ჩვენი მანქანა უკვე სირიისა და შუამდინარეთის შავ
ბარხანებზე მიფრინავდა. აგერ, ჩვენს ქვემოთ, დიდე-
ბული ევფრატი, ესეც ისეთივე მღვრიე ჩანს, როგორც
ჩვენი შუა აზიის დიდი მდინარეები — სირ-დარია და
ამუ დარია. ამ უდაბნოებში რაღაც პატარა მდინარეები
იბადებიან და იქვე კვდებიან. ასევე იბადებიან დასახ-
ლებულ პუნქტებთან პატარა გზები და ეს გზებიც იქვე
უდაბნოს ქვიშაზე ქრებიან, მათი სახელები არავინ
იცის. ყოველ შემთხვევაში, რუკაზე არ აღინიშნება.
სულ სხვა საქმეა ევფრატი. ჩვენ მივყვებით ევფრატს.
მისი მწვანე ნაპირები კვადრატულადაა დაყოფილი. ეს
ალბათ აქაურ მკვიდრთა საკარმიდამო მიწებია.

უეცრად დაიწყო თვითმფრინავიდანაც კი თვალუწ-
ვდენელი, გაუთავებელი ჭაობები. ამ ჭაობებზე ხან ბა-
ჭარ-ბაჭარ. ხან გოდორ-გოდორ, სამკუთხედებად დაფ-
რინავენ ვეებერთელა თეთრ ფრინველთა გუნდები,
ისინი პატარა კუნძულებზე სხდებიან და ფარავენ მათ.
ქვემოთ აქა-იქ ლრუბლის ქულები ისე ჩანს, თითქოს
დამპალ წყალს ოხშივარი ასდიოდეს. ჩვენ ლრუბლებში
შევცურდით. ეტყობა, მიწაზე წვიმა მოვიდა. მცირე
ხნის შემდეგ, ეტყობა, გადაიღო და ქვემოთ, სულ ქვე-



მოთ გამოჩნდა ლამაზი, შვიდფეროვანი ცისარტყელუკული ჩამოსახული ჩვენ ცისარტყელის თავზე გადავახტით. აბა, ქალებო, ვის გინდათ ვაჟად გადაქცევა!

დამთავრდა „გადახრუკული ქედები“, — ასე უთქვამს ჩვენს წინაპარ პოეტს — „ევფრატის გაღმა გავხედე გადახრუკულსა ქედებსაო“. დამთავრდა დაუსრულებელი ჭაობებიც და ბოლოს, მთელი ლამისა და დილის ფრენის შემდეგ, ვუწიეთ სპარსეთის ყურეს. გამოჩნდა ქალაქი აბადანი.

აბადანის გარშემო ფინიკის პალმის პლანტაციების უდიდესი მასივებია. ეს პლანტაციები დასერილია სამელიორაციო არხებით. პალმებში დაფრინავენ რაღაც უცხო ფრინველები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ აეროდრომისკენ დაშვებული თვითმფრინავი თითქმის ხეების ქენწეროებს ეხებოდა, მაინც ვერც ერთ ნაცნობ ფრინველს ვერ მივამსგავსე.

ზამთრის რვადღიან წვიმას მხოლოდ წინა დღეს გადაელო და აეროდრომზე აქა-იქ გუბეები იდგა. აბადანის აეროდრომი ჩვენ მიერ უკვე გამოვლილ აეროდრომებს სრულიად არა ჰგავს. მოედანი მობირკეობული არ არის და აეროდრომის შენობაც ერთი რაღაც ბარაკია. ამ ბარაკის კედლებზე დიდის ამბით ჰკიდია თავის მეუღლესთან გაჭიმული შაპის სურათები. ჩვენებური აპრილის დილას ჰგავს აბადანის დეკემბრის დილა. ახალი მწვანე ფოთლები, ახალი მწვანე ბალაზი...

აბადანი ნაეთობის უდიდეს საბადოთა ქალაქია. აქვე აგრეთვე ნაეთის გადამმუშავებელი დიდი ქარხნები

სპარსეთის ეს სიმღიდო 1952 წლამდე მარტო განხულების ხელში ყოფილია. 1952 წლიდან კი სანაქულოს ამერიკელებს დაუსაკუთრებიათ.

სპარსეთის ყურე აბადანთან ძალიან მღვრიეა. აქ მას ერთვის გაერთიანებული დიდი მდინარეები — ტიგროსი და ევფრატი. ეტყობა, მათ ბევრი შლამი შემოაქვთ ზღვაში სირიიდან და შუამდინარეთიდან. ასე რომ, აბადანში მცირე შესვენების შემდეგ სპარსეთის ყურეზე საქმაო ხანს ვიფრინეთ და ეს მღვრიე ფერი წყალს არ შორდებოდა. მერე იგი თანდათან გაბაცდა და ბოლოს უკვე სავსებით გაიწმინდა ისე, რომ ზღვის ტალღები ზემოდან თეთრი ქორებივით ჩანდა.

მიემართებიან არაბეთის ზღვისაკენ ნავთით დატვირთული გემები და მიეშურებიან არაბეთის ზღვიდან სპარსეთის ყურეში აბადანისკენ ცარიელი ტანკერები.

ბახრეინის კუნძულები... ორმუზის სრუტე... ბელუჯისტანი... ჩვენი თვითმფრინავი უკვე არაბეთის ზღვაზე მიჰქრის პაკისტანისკენ. იგი არც ირჩევა პაერში, როგორც საოკეანო გემი ზღვის ტალღებში.

გამოჩენდა პაკისტანის ნაპირებიც. ყარაჩი — დიდი ქალაქი და ნავსადგური. მე გონებაში მებადება ასეთი ორი სტრიქონი: — „ამ საუბარში, ამ ლაპარაკში უკვე გამოჩენდა დაბლა ყარაჩი“.

პაკისტანი — წმიდანთა ქვეყანა.

ყარაჩის აეროდრომზე შემოგვედნენ საბჭოთა კავშირის პაკისტანის საელჩოს მუშაკები ჩვენი ელჩის მეთაურობით. უცხოეთში თანამემამულის გაცნობა არა გჭირდებათ, თქვენ უკვე პირველი შეხვედრისთანავე

ძელი შეგობრები ხართ, ძმურად გადავეხვიერა მატერიალური მანეთს და პაკისტანის განსაკუთრებულად მკაცრი საპასპორტო პროცედურის გავლის შემდეგ გავუდექით გზას სასტუმროსაკენ.

თვითმფრინავი SAS გაჰყვა თავის გზას. ხვალ საღამოთი ინდოეთის საავიაციო კომპანიის თვითმფრინავით გავფრინდებით დელისაკენ.

* * *

ყარაჩის სასტუმრო. ირგვლივ დიდი ჰალმები. მაღალ ხეებზე წითელი ყვავილები. სასტუმროში კომფორტი მაინცდამაინც არ გვაწუხებს: უბრალო ხის ფართო საწოლები, ასევე უბრალო დგამი. მსახურმა მაშინვე ჩაი შემოიტანა. მსახურს აკბარი ჰქვია — ცნობილი დიდი მოგოლის სახელი. ყოველ ჩვენს გალიმებაზე წელში ოთხად იქცება საცოდავი; დიდად გაოცებული დარჩა, როცა ჩვენ ვაგრძნობინეთ, რომ ჩვენთან ეგეთები საჭირო არ არის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირიდან ვართ და შეუძლია წელში გამართულად გველაპარაკოს. სხვათა შორის ჩვენი ასეთი მოქმედება უდიდეს და გადამწყვეტ შთაბეჭდილებას ახდენს მოსახლეობაზე პაკისტანსა და ინდოეთში, ინგლისელების ქედმალლური, ბატონკაცური ზვიადობის შემდეგ. მაშ, ყოფილან ევროპელები, რომლებიც მათ ადამიანებად თვლიან. ეს ევროპელები სიბჭოთა კავშირის მოქალაქენი ყოფილან. მაშ გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! მე მთელ ინდოეთში სიხარულით მივსებდა გულს საბჭოთა ქვეყნის იდმი დიდი



სიყვირული, პატივისცემა და მოკრძალება, რომელიც შეიძლება თანდათან სულ უფრო ღრმად და ფართოდ იკიდებს ფესვებს აღმოსავლეთის მშრომელ მოსახლეობაში. ქვემოთ ჩვენ ამ სასიხარულო და საამაყო მოვლენაზე კონკრეტული მაგალითებით ვიღაპარაკებთ.

სასტუმროში რესტორნის მეპატრონე ოდესლაც რუსეთში ნაცხოვრები კაცი აღმოჩნდა, რუსული ენის კარგი მცოდნე. იგი მშევნივრად გაგვიმასპინძლდა აღგილობრივი კერძებით, რომლებიც ჩვენებურ საჭმელებს ძალზე ჩამოჰვავდა. სასმელთაგან ჩვენ, სიცხისაგან შეწუხებულნი, გამაგრილებელ წყალს „კოკა-კოლას“ დავეძალეთ. კოკა-კოლა თბილისურ ლალიძისეულ ლიმონადთან, რასაკვირველია, ვერ მოვა, მაგრამ უცხოეთში ყველაზე უკეთეს უალკოჰოლო სასმელად იგი ჩაითვლება. რამდენი მილანძლავს და მიგინებია ჩემს ყმაწვილკაცობაში ეს კოკა-კოლა კრებებსა და საჯარო გამოსვლებში; კაცი რომ თქვას, რა აქვს ახლა ამას საგინებელი; უბრალო გამაგრილებელი წყალია, ყოვლად უწყინარი და უპრეტენზიო. მოგწონს – დალიე, არ მოგწონს – სავალდებულო არაა. მე იგი მაშინ რაღაც დიდი ანტისაბჭოთა სასმელი მეგონა. ყველა აგინებდა, მეც ვაგინებდი...

ყარაჩი მეტისმეტად ლარიბი ქალაქი ჩანს. ქალაქის ახალ ნაწილშიაც კი დუქნები და მაღაზიების შენობები მინგრეულ-მონგრეულია. ახალი შენობები ყოვლად უგემოვნოდა ნაგები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე – ფარლალა, საწვრილმანო დუქნები, რაღაც უცნაური შემზარავი სურნელებით აქოთებული. აქ ეტყობა უცხოელთა

ფირმებიც კი არ ზრუნავენ მაღაზიების მოწყობისადმი
გაფორმებაზე. სიბინძურე... სიბინძურე .. დუქნებში რა-
ღაც უძველეს თიხისა და სპილენძის კურპლებში ამზა-
დებენ უცნაურ შეჭირულს, იქვე ცხლად ჰყიდიან და
მყიდველებიც იქვე თქვლეთენ. აქაც და მთელ ინდოეთ-
ში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება რაღაც ნაცხებით
წასმული სუროს მსგავსი მცენარის ფოთლები, რომელ-
საც ნაცხზე წაყრილი აქვს ბურნუთის მავარი ფხვნი-
ლი. ამ ფოთლებს სამკუთხად დაკეცევენ, პირში ჩაი-
დებენ და საათობით ღევავენ. კბილის ნუნები, ტუჩები,
ენა საოცრად აქვთ დაწითლებული და დასისხლიანე-
ბული. ბევრს ქისით უდევს ჯიბეში ეს ფოთლები თა-
ვისი ნაცხითა და ფხვნილით; დაჯდება შეკრებაზე თუ
სასაუბროდ თავშეყრილ ამხანაგებთან, ოთხივე თითით
შეიჩრის პირში და კევივით ღევავს. იქვე აფურთხებს
და იღმიჭება. ამ სალეჭავ მცენარეს ბეტილი ჰქვია.

ქუჩებში დაჭრიან რიქშები ველოსიპედის ურიკებით.
უფრო შეძლებულ რიქშებს მოტოციკლები შეუბამთ
ურიკებში, რომლებშიც ხუთიოდე მგზავრი თავსდება.
ქუჩაში ერთბაშად რამდენიმე რიქშა აგედევნებათ და
გთავაზობთ სამსახურს. ისინი მანამ მოგდევენ, სანამ
საღმე მაღაზიაში არ შეუხვევთ.

შუაგულ ქალაქში, ღამით პირდაპირ ქუჩის ასფალტ-
ზე წვანან მოქალაქენი, უმეტესად ყოველგვარი სა-
გებ-სახურავის გარეშე და სძინავთ ქუჩის მტკერში,
მანქანების ხმაურში, გამვლელთა ფეხებში. მხოლოდ
ზოგ მათგანს თუ უდგას ტახტი. აქაური ყოფის ეს
თავზარდამცემი სურათი შემდეგ ინდოეთის ყოველ ქა-

ლაქში გხვდებათ. ვინ არიან ეს უბედურები? — ქართველი მშრომელნი, უბრალო ადამიანები, რომელთაც სადაც უღამდებათ, იქ უთენდებათ, როგორც მუშა პირუტყვს.

სასტუმროში მთელი დღის მზით გახურებული ოთახის ფანჯრები ფართოდ გავალეთ. მე ლოგინზე გულალმა წამოვწექი, თხელი ზეწარი გადავიხურე და ვფიქრობ — აი თანამედროვე ტექნიკის საოცრება: გუშინწინ მოსკოვის ყინვით ითოშებოდი, დღეს კი, აქ, ამ სიცხისაგან სულს ვეღარ იბრუნებ. რა იქნება აქ ივლისსა და აგვისტოში!

მერე შუალამებდე ვიხეტიალეთ ქუჩებში. მოუშორებლად დაგვდევდნენ რიქშები. ქუჩებში გაძლიერებული ყარაული იდგა. ხელში იარაღის მაგიერ გრძელი ხელკეტები ეჭირათ. იმ დღეს პაკისტანში სტუმრად იმყოფებოდა ჯოუ ენ-ლარ. ნელა, ბატონკაცურად დაიზლაზნებოდა ამერიკული და ინგლისური ავტომანქანები. პაკისტანს, რასაკვირველია, თავისი საავტომობილო წარმოება არა აქვს და ალბათ დიდხანს არც ეჭნება. საავტომობილო წარმოება არც ინდოეთს აქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ინდოეთში უცხოეთიდან ჩამოაქვთ მანქანის გამზადებული ნაწილები, რომლებსაც აქ ამონტაჟებენ. ეს არის ინდოეთის მარკის „ტაქსები“ — ძველი ყაიდის პატარა ავტომანქანები.

ლამით უძინარი დავრჩი. პირველი სიხათლის შემოსვლამდე გამვლელები განუწყვეტლივ ყვიროდნენ ქუჩაში, ხოლო განთიადზე დაიწყო გადაბმული ზრიალი: ბაყაყების ყიყინი, ვირების ყროყინი, ქორების წივილი, ყვავების ჩხავილი, ათასნაირი ფრინველების რიზ-რია.

გავიხედე ფანჯარაში, — სახლების სახურავებზე დაცუ-
ფანჯრების რაფებზე, ტელეფონის ბოძებზე, ქუჩისპი-
რის ხეებზე უამრავი ქორი ჩამომჯდარა და იქექება.
სასტუმროდან ფეხი გამოვდგით თუ არა, ჩხავილით
შემოგვეგებნენ ყვავები. ჩვენში რომ მათ სათოფედ ვერ
მიეკარები, აქ პირდაპირ ფეხებში გებლანდებიან, ხე-
ლებში მოგჩერებიან, იქნებ საჭმელი რამ გადმომიგდო-
სო. ქორებსა და ყვავებს აქ სანიტრებს ეძახიან — ქალა-
ქის მთელ სიბინძურეს, სიღამპლეს ესენი ანადგურებენ.
ქალაქის სისუფთავის დაცვის საქმეც, ეტყობა, იქაურ
თვითმმართველობას დანდობილად მთლიანად ამ ფრინ-
ველებისათვის გადაუბარებია და რის გაწმენდასაც ეს
ფრინველები ვერ ახერხებენ, ისევ ისე ყრია ქუჩებსა
და ეზოებში.

ჩვენი სასტუმროს გვერდით პრეზიდენტის რეზიდენ-
ციაა. ყვავილებში ჩაფლული მწვანე ეზო, დიდი ხეების
ჩრდილებით დაფარული მწვანე მოლი. მებაღე რწყავს
ქოთნებსა და გაზონებში მშვენიერ მრავალფერ ყვავი-
ლებს.


დღევანდელი ყარაჩის დიდი ნაწილი ოდესლაც ისე-
თვე უდაბნო ყოფილა, როგორც მის გარშემო მდებარე
სანახები. ინგლისელების შემოსვლის შემდეგ ამ ქვეყნის
მკვიდრთ სულ ნაკერ ნაკერ შემოუტანიათ ახლო-მახ-
ლო ოაზისებიდან მიწა ახალი ბატონების ეზოებისა-
თვის. ასე ხელოვნურად გამწვანებული ქალაქი საუკუ-
ნეების მანძილზე. ასე შექმნილა ბევრი მწვანე ქალაქი
ინდოეთშიც, რომლებზედაც ბევრს ისეთი წარმოდგენა
აქვს, თითქოს დასაბამიდან ყვავილებში იფლობოდათ.



ზოგი ჭირი მარგებელია — ეს მწვანე ქალაქები კუთხიდან მოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ამ ქვეყნების მკაფიოდრთა კუთვნილებაა. პრეზიდენტის რეზიდენციის ეზოსა-ვითაა ჩაფლული ყვავილებში აგრეთვე ფრირ-ჰოლი, ინგლისელების ყოფილი კლუბი, ინგლისის კოლონიალიზმის უკანასკნელი დასაყრდენი პაკისტანში, აქ ახლა პაკისტანის ეროვნული მუზეუმია გამართული. ამ მუზეუმის კარებზე პაკისტანის სახელმწიფოს პირველი მე-თაურის — ჯინას დიდი სურათი ჰყიდია. ჯინას დიდი როლი შეუსრულებია პაკისტანის ინდოეთიდან გამოყოფის საქმეში და ამ ქვეყნის ცალკე სახელმწიფო დამოყალიბებაში. ეტყობა, იგი სიცოცხლეში უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობდა და ხალხს მისთვის პაკისტანის მამა უწოდებია.

რამდენიმე საბჭოური მანქანით საბჭოთა კავშირის ელჩიმა თავის აგარაკზე არაბეთის ზღვის სანაპიროსაკენ წავიყვანა.

გასცდებით თუ არა ყარაჩის ქუჩებს, იქვე იწყება გადახრუკული, მხით გადამწვარი ტრამალები. ამ ტრამალებზე ახლა პირდაპირ მიწაში თხუნელებივით ცხოვრობენ ინდოეთიდან გამოქცეული მუსლიმანები. მათი რიცხვი ნახევარ მილიონს აღწევს. ინდოეთიდან გამოქცევა დაწყებულა პაკისტანის გამოყოფის დღიდან (როგორც ცნობილია, პაკისტანში მუსლიმანები ცხოვრობენ) და ეს ლტოლვა გრძელდება ახლაც. საშინელი სანახავია ეს ადგილი, აუწერელი სიმყრალე და სიბინძურე. მწირ მიწიზე აქა-იქ რაღაც ჯოჯოხეთის კუპრის მსგავსი ტბორები, რაშიაც მზით დამწვარი ბავშვები



ବ୍ୟାଙ୍ଗରେ କୁଣ୍ଡଳିରେ ପାଦରେ ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା



V

1

मुख्य कठ

१. वह जिसे आवाज बनाया, और उसी महाविद्वत्
द्वेरा लोकों आप चरायर लगाएँ जानी और जानिये
की देखि आज दू, एस अपार्टमेंट को अपने बड़े दिल
दृ नियम लगवा दिया गया है, अपनी हाथापां
दृ एवं सम्भाल अपीक तथान है।

२. और एक दृष्टि ! मुझे ही हर घोड़ी की
दृष्टि छह है ! पर्वी रक्षा की, मुझे शतार पर
विजय प्राप्त करनी की दृष्टि है ; मुझे वह घोड़ीयों
की अपनी जाति की जो विकास हुत्या रहती है,
और वह गाहर से मरे घोड़ों का बोझ ले ले जाए।

३. अब ~~क्षण~~ ना वीरी की पुश्तिमा नीता है
जिसे भाला, छाल, और ~~क्षण~~ तलवार इओआ देती है,
राज और अन्य नायर वीरी की पुश्तिमा नीता है
जिसके जल लपेल है और ^{प्रशंसनीय} कुर्चित करता है ;
और अनुचित की कठ प्रशंसा करते, किन्तु
इन्होंने अपने अपार्टमेंट पुश्तिमा नीते ; जो

निष्ठालग्नि मिथ्येन्द्रियों अर्णवाक्याल मालिङ्गे स मिहुर उल्लङ्घन ग्रन्थ तार्गमनिलो
“ग्रन्थिस्त्रियालसेनिस” द्वासार्थियों स्त्रियों ग्रन्थों



ჭყუმპალაობენ დაყვითლებული, სიკფლილის პრინციპის შესრულების სული ბავშვები. ადამიანთა ეს უდიდესი მასა გარს ეკეთის ქალაქებს, რათა ქალაქის ქუჩებში მათხოვნობით შეინახოს თავი. ჩვენმა მანქანამ ელვის სისწრაფით ჩაიქროლა ამ სიმყრალეში, მაგრამ ჩვენ მაინც კინალაშ დავიხუთეთ.

არაბეთის ზღვის სანაპირო. დეკემბრის შუადღის სიცხეში გავიხადეთ და შევცურეთ ანკარა ზეირთებში.

ზღვასთან ორი მუსლიმანი მოვიდა. მათ მაიმუნები. მოიყვანეს და ათამაშეს. მერე აქლემიანი კაცი მოგვიახლოვდა. აქლემს მუხლებზე სახრე შემოჰკრა, სილაზე დააწვინა. თავმოკრული ტოპრაკი გადმოილო, გახსნა და ორი ვეებერთელა კობრა ამოახოხა. გველები მაშინ ვე ცხელ სილაზე გაწვნენ. პატრონმა სალამური დაუკრა, გველებიც ყალყზე შედგნენ. მე შიშით ზღვაში უფრო შორს შევედი. პირველი მნახველისათვის ეს სურათი საშინელია, შემდეგ კი ასეთი სანახაობა ინდოეთში იმდენად ხშირია, რომ თვალიც ეჩვევა. ეს კობრები უკვე უვნებელნი არიან, შხამი გამოცლილი აქვთ და მათი კბენაც საშიში აღარ არის.

ჩვენი ელჩის აგარაკის აივანზე გამართული დეკემბრის სუფრა თბილისური ზაფხულის სუფრასა ჰგავს. ხახვი და სალათა, ქინძი და მუშტის სისხო პრასა, ახალი პამიდორი, რასაც ჩვენში ახლად შემოსული პამიდორის გემო აქვს; ახალი თევზი და მწვადები. ამას ზედ დაუმატეთ ბუზები... ბუზები... ბუზები... ესეც თბილი სურად. სხვადასხვა ქვეყნის ღვინოები, რომელთაგანაც ვერც ერთი ჩვენ კახურ ღვინოსთან ვერ მოვა. მელბურ-

ნის მსოფლიო სპარტაკიალიდან ახლად დაბრუნდულ ანატოლი სოფრონოვი მღერის იმ ქვეყნის შთაბეჭდი-ლებაზე. კონსტანტინე სიმონოვი ამბობს თავის ცნობილ ლექსი: „Пропоинек“. მე ჩვენს ქართულ სიმღერას ვღილ-ნებ და თან გულში ვფიქრობ: „საღაურსა სად წაი-ყან“...

ოფლად გალვრილებმა სული მაშინ მოვითქვით, როცა მზე შუბის ტარზე დავიდა.

არაბეთის ზღვის სანაპიროდან პირდაპირ აერო-დრომზე მივედით; იქ გველოდებოდა ინდოეთის რომე-ლილაც საავიაციო კომპანიის ოვითმფრინავი, საკმაოდ ნათრევი, ვიღაცის გამონაცვალი, ორმოტორიანი ჯაბა-ხანა. ამ დახუთულ მანქანით საღამო ხანს გაფრინ-დით დელისაკენ.

ქვემოთ მიწები ასეულ კილომეტრზე მწირი ჩანს. მხოლოდ აქა-იქ მდინარეებისა და ტბების ნაპირებია მწვანით შემოსილი. აქ უკვე ნაკვეთები კვადრატებადაა დაყოფილი. ამ კვადრატებში შეამჩნევთ სასახლეებსაც, მათში აღმართ მაჰარაჯები ცხოვრობენ. საერთოდ კი ამ უსაზღვრო სივრცეებში გადაჭიმული ქვეყანა მეტად ღარიბი ჩანს.

ორნაზევარ საათში ნიუ-დელის აეროდრომზე ვის-ხედით.

* * *

აეროდრომზე მხურვალე ტაშის ცემითა და ძმური შეძახილებით შემოგვხვდნენ ჩვენი ქვეყნის. საბჭოთა კავ-შირის ძველი მეგობრები, ცნობილი ინდოელი მწერლე-

ბი: დინჯი, მუდამ მშეიღი კრიშან ჩანდრი; დაუცუტებულია
რი, მუდამ მოუსვენარი მოხუცი გურგაპშ სინგაძი; ასევე
დაუდეგარი მულკ რაჯ ანანდი; უფრო ახალგაზრდა
თაობიდან — ბალვანტ გარგი და ნატეჯი; იღმოსავლე-
თის სახელგანთქმული პოეტები: სარდარ ჯაფრი და
ფაის აჭმად ფაისი; სახელოვანი ჩინელი მწერლები და
საზოგადო მოღვაწენი: მაო-დუნი. ლაო-ში და ლეგენ-
დარული რევოლუციური მერვე არმიის მრავალათეული
წლის ბრძოლათა ვეტერანი ემი სიაო; კორეელები:
სე მან-ირი და ხან სერ-ია; უილურები, ბირმელები,
ნეპალელები. გადაჯვეხვივნენ და მხრებზე დაგვაიდეს
ყვითელი ყვავილწნულები.

შეხვედრა მართლაც რომ გულთბილი გამოვიდა.
ბევრი ამათგანი ხომ ჩვენი ახლო მეგობარია, ჩვენს
ოჯახებშიც ნამყოფი მოსკოვსა თუ თბილისში. აქვე
დავძინ, რომ თავიანთ მხრივ, კონცერენციის მსვლე-
ლობასა და ინდოეთში ჩვენი მოგზაურობის დროს, მა-
თაც გაგვაცნეს თავიანთი ოჯახები დელში, ფენჯაბში,
ბომბეიში, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

აეროდრომიდან საჩქაროდ გავემურეთ ნიუ-დელის
საბჭოთა საელჩოსაკენ. გავიარეთ ზღაპრულად ანთებული
ვეება შადრევანთა შორის აღმართული „ქალაქის კა-
რიბჭე“, ჩავუარეთ პარლამენტს, ჯავაჟარლალ ნერუს
სასახლეს და შევედით მწვანე ხეებსა და მრავალფერ
ყვავილებში ჩაფლული ჩვენი საელჩოს ეზოში.

აზიის მწერალთა კონცერენციის მოსაწვევად ინდო-
ეთში თვეების განმავლობაში მუშაობდა საორგანიზა-
ციონ კომიტეტი, რომელშიც საბჭოთა წარმომადგენე-

ლიც შედიოდა ჩვენი შუა აზიიდან; ეს იყო ტაჯიკი პოეტი მირშაქარი. სამშუხაროდ, ამ ახალგაზრდა, ჯანითა და ღონით სავსე ვაჟკაცს კონფერენციის გახსნის წინა დღეებში სასტუმროს ოთახში ქვის იატაკზე (ქვის იატაკები ინდოეთში მეტად ხშირია) როგორლაც ფეხი დასცდენოდა და ისე მაგრად დაერტყა თავი, რომ ჩვენი ჩასვლისას ჯერ კიდევ უგრძნობლად იწვა დელის საავადმყოფოში. მან, რასაკვირველია, კონფერენციაში მონაწილეობა ვერ მიიღო და იმდენ ხანს დასჭირდა წოლა და აქიმობა, რომ ჩვენთან ერთად სამშობლოშიც ვერ დაბრუნდა.

კონფერენციის სამზადისში დიდი იდეური ბრძოლები გაჩაღებულიყო აზიის პროგრესულ და პროამერიკულ მწერალთა შორის.

პროამერიკულ ელემენტებს, რომელთაც ამერიკის საელჩოდან უწევდნენ აშკარა ხელმძღვანელობას, განსაკუთრებული აქტივობა გამოიეჩინათ კონფერენციის გახსნის დღეს, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევისას. ჩვენი ჩასვლის დროს ამ ბრძოლის სასწორი აშკარად გადახრილი იყო პროგრესულ მწერალთა მხარეზე. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეესრულებინა კონფერენციაზე ჩინეთის დელეგაციის გამოჩენას. ჩინეთის დელეგაციას თავისი ავტორიტეტული სიტყვით გადაეწყვიტა ევროპიდან და ამერიკიდან მოსაწვევ სტუმართა შერჩევის საკითხიც; მისივე კატეგორიული მოთხოვნით საორგანიზაციო კომიტეტს უარი განეცხადებინა გომინდანელთა წარმომადგენლების მოწვევაზეც. როცა კონფერენციის დაწყებისას პროამერიკულ მწერალს

ქაბირს მოუნდომებია თვითნებურად დაექავებინა მჯდომარის ადგილი, ჩინეთის დელეგაციას კიტეგორიული პროტესტი განუცხადებია — ვინ აირჩია ქაბირი თავმჯდომარედო, და იგიც იძულებული გამხდარა და-ეტოვებინა თავმჯდომარის სავარძელი. ამის შემდეგ კონფერენციას რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ აზი-ის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელნი, ხოლო სა-ერთო ხელმძღვანელობას მას უწევდა პროგრესული მწერალი, საბჭოთა კავშირის მეგობარი მულკ რაჯ ანანდი. პროამერიკული მწერლები „კულტურა და თა-ვისუფლების“ კლუბიდან შემდეგშიც ყოველ ღონეს ხშარობდნენ კონტროლი გაეწიათ კონფერენციისათვის, მაგრამ ამ ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა კონფერენციაზე ჩვენი დელეგაციის გამოცხადებამ.

დილის სხდომა დაწყებული იყო, როცა ჩვენ შევა-ლეთ კონფერენციის დარბაზის კარები „იუნესკოს“ ახალ სასახლეში. სხდომის მორიგე თავმჯდომარემ, ცე-ილონის წარმომადგენელმა გამოაცხადა: კონფერენცია-ზე მოვიდა საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგა-ციაო. დამსწრები მხურვალე ტაშის ცემით შეეგებნენ საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს, რომელ-თავანაც ზოგიერთის სახელი მათვის უკვე კარგად ცნობილი აღმოჩნდა. განსაკუთრებული პატივისცემით კონფერენციასა და ინდოეთში მთელი ჩვენი მოგზაუ-რობის დროს სარგებლობდნენ „ინდოეთის ბალადების“ ავტორი მირზო ტურსუნ ზადე და პოეტი კონსტანტი-ნე სიმონოვი.

დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო, რათა დამსწრე-



თა სახეებზე მყისვე ამოგეკითხათ — ვის გაეხადეთ გადა
ვის არა-ჩვენი დელეგაციის გამოჩენა კონფერენციის
დარბაზში. ნაწილს სახეზე აშკარა უსიამოვნება გამო-
ეხატა, ნაწილი ცნობისმოყვარეობით მოვაჩერდა,
ხოლო ენერგიულად სცემდნენ ტაშს ჩინელები, ინდო-
ელები კორეელები. ვიეტნამელები. მოხუცი ჩინელი
მწერალი, აღმოსავლეთის სახელგანთქმული ბელეტრის-
ტი და საზოგადო მოლვაშე ლაო-ში დემონსტრატიუ-
ლად წამოდგა სკამიდან, თავისი მეტად საყვარელი
ლიმილით მოვიდა ჩვენს ლოეასთან მამობრივად გადა-
ეხვია კონსტანტინე სიმონოვს, მერე ყველას მაგრად
ჩამოგვართვა ხელი და თავის მშობლიურ ჩინურ ენაზე
თითქოს ტკბილად დაგვლოცა. ამან დარბაზში ოვაციის
ახალი აზვირთება გამოიწვია.

მაშინვე მიიწვიეს პრეზიდიუმში საბჭოთა დელეგა-
ციის ხელმძღვანელი, აზიის ხალხების სოლიდარობის
საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე მირზო ტურსუნ
ზადე. რომელმაც კონფერენციის გააცნო ჩვენი დელე-
გაციის შემადგენლობა. თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვა
მისცა კონსტანტინე სიმონოვს, რომელმაც ორიოდე
საინფორმაციო სიტყვით მოუთხრო დამსწრეთ საბჭოთა
ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ.

აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციას ესწრე-
ბოდნენ იხდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, ცეილონის, პა-
კისტანის, ნეპალის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის,
ვიეტნამის, ბირმის, ირანის, ავღანეთის, სირიის, თურ-
ქეთის, ეგვიპტის და სხვა მწერალთა დელეგაციები,
სულ ჩვიდმეტი სახელმწიფოდან. სულ სხვადასხვა ფე-



რის აზიური ტანსაცმელი, სულ სხვადასხვაგვარიზონული
ჯერ საოცარი შეკერილობა. ათასნაირი ჩალმა და
თავმორთულობა, ათასნაირი აღმოსავლური ფეხსაცმე-
ლი. კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ, რო-
გორც მეთვალყურენი, სტუმრები ევროპიდან, ამერი-
კიდან, აფრიკიდან, ავსტრიალიდან.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაზე მსჯელობის
დროს კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში საორ-
განიზაციო კომიტეტის სხდომაზე წამოჭრილიყო სა-
კითხი საბჭოთა მწერლების დელეგაციაში საქართვე-
ლოს წარმომადგენლის შესახებ. კომიტეტში შესულიყო
წინადადება:— საქართველო აზიის ქვეყნად არ ჩაითვ-
ლება და ამიტომ საბჭოთა კავშირის დელეგაციაში სა-
ქართველოს წარმომადგენელი, ისე როგორც სხვა ევ-
როპელი მწერალი, სტუმრად, მეთვალყურედ ჩაითვა-
ლოსო. ამ საკითხის წამოჭრა ჩვენთვის სავსებით მოუ-
ლოდნელი იყო, თუმცა მოსალოდნელიც რომ ყოფი-
ლიყო, საქართველოს დელეგატს ხელთ რა საბუთი
უნდა ჰქონოდა, რომ ამის საწინააღმდეგო რაიმე და-
მტკიცებინა.

უხერხულობა იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა
დელეგაციის ორი მოხსენებიდან, როგორც მოსკოვში
გადაწყდა, ერთი მოხსენება — „ამიერკავკასიის ხალხთა
მწერლობის მდგომარეობის შესახებ“ ამ კონფერენცი-
ისათვის უნდა წარედგინა სწორედ საქართველოს დე-
ლეგატს. ამ სტრიქონების ავტორს. საბოლოო ანგა-
რიშში მოხდა ისე, რომ კონფერენციაზე თითქმის თა-
ნაბარი უფლებებით სარგებლობდა სტუმარიცა და დე-



ლეგატიც. ასე რომ, საქართველოს დელეგატის მიერ ნებას რაიმე სერიოზული დაბრკოლება აღარ შეხვედრია.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა მეტად საინტერესო საკითხები: აზიის ტრადიციები, მწერალი და თავისუფლება, საერთაშორისო კულტურული კავშირები, მწერალი და ოსტატობის პრობლემა და მდგომარეობა აზიის ხალხთა მწერლობაში. თუ ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის დღის წესრიგის გაცნობისას პირველიც ბუნდოვან შთაბეჭდილებას სტოვებდა საკითხი „აზიის ტრადიციების“ შესახებ, კონფერენციის მსვლელობაში იგი თითქმის ყველაზე უფრო საინტერესო და პირველხარისხოვან საკითხად წარმოგვიდგა.

როგორც ცნობილია, კოლონიალიზმის ეპოქამ, აზიაში უცხოელ დამპურობთა საუკუნოებრივმა ბატონობამ ასეული წლებით გაჰყინა ერთ წერტილზე აზიის ხალხების კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება. ამ სისტემამ აზიის ხალხები სრულ მონობამდე მიიყვანა და გამოიიშა ისინი მსოფლიოს კულტურული ცხოვრების ორბიტიდან.

ასეული წლების წინ შეწყდა აზიის ქვეყნების კულტურული ტრადიციები და ი, ახლა, კოლონიზატორთა მძიმე ულლისაგან გათავისუფლების მეორე დღეს მთავარ და პირველი რიგის საკითხად დადგა ამ ტრადიციების იღდებენის საქმე. ამ კონფერენციაზეც ეს საკითხი დღის წესრიგის პირველ საკითხად იქნა შეტანილი.

ასეული წლების განმავლობაში იყვნენ მოწყვეტილ-

ნი ერთმანეთს აზის ქვეყნები. თავიანთ სამშობლოში ისინი ცხოვრობდნენ ჩაკეტილნი, როგორც საპურის საკუთრებული ლეში. მტაცებლურად მიჰქონდათ დასავლეთისაკენ არა მარტო ნედლეული და მიწის ბარაქი, არამედ საქვეყნოდ ცნობილი ხელოვნების დიდებული ძეგლებიც. ინდოეთში თქვენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ნახავთ ხუროთმოძღვრების, ხელოვნების სამაგალითო ნიმუშებს, სრულიად გაძირულსა და გავერანებულს. ისინი დგანან ისე, როგორც თვალებდათხრილი ადამიანები, რომ მნახველს მოუთხრონ კოლონიალიზმის საშინელებათა შესახებ.

თუ აზის კოლონიზატორებმა ურთიერთს მოსწყვიტეს მეზობელი ქვეყნები, ეს მით უმეტეს ითქმის ამ ქვეყნების კავშირებზე ტერიტორიულად ისეთ შორეულ ქვეყნებთან როგორიცაა, მაგალითად, საქართველო. დღევანდელ ინდოეთში საქართველოს შესახებ იშვიათად, მხოლოდ აქა-იქ თუ აქვთ რაიმე წარმოდგენა და ისიც როგორც სიზმარეულ ქვეყანაზე, სადაც ცხოვრობენ ლამაზი ფერიები. ინგლისის გაბატონებამდე კი ეს ასე როდი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ქვეყანას, როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში დიდი კულტურული და სავაჭრო ურთიერთობანი ჰქონდა ინდოეთთან. მკითხველს მოვაგონებთ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის მოვზაურობას ინდოეთში. ადვილი წარმოსადგენია, რომ გორგასალი, მეფე და ქვეყნის ხელმძღვანელი გაუკვალავ გზას არ დაადგებოდა. ისიც ადვილი წარმოსადგენია, რომ მეფე ტურისტული მიზნით არ გაემგზავრებოდა ამ წლობით საგალ გზაზე. ალბათ მას

შასპინძლებიც კარგად იცნობდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთობის საფუძველზე.

შემდეგი საუკუნეების მტვერითა დაფარული ჩვენი და ინდოეთის ურთიერთობანი, ისე როგორც ბაგნითის სარკოფაგებში ოქრო და ძვირფასი თვალ-მარგალიტი. არ შეიძლება რუსთაველის ეპოქაში ეს ურთიერთობანი განსაკუთრებით არ ყოფილიყო გაშლილი.

რუსებს ძველთაგანვე აღმოსავლეთისა და, განსაკუთრებით, ინდოეთის სპეციალისტებად ქართველები მიაჩნდათ. ეს შეხედულება განმტკიცებული იყო ჯერ კიდევ ნადირ-შაპის ცნობილ ლაშქრობამდე. რომელშიც, როგორც მკითხველს მოეხსენება, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ახალგაზრდა ერეკლე მეორე.

ამ სტრიქონების წერის დროს ხელთა მაქვს ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და მოგზაურის ფრანსუა ბერნიეს წიგნი: „უკანასკნელ პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია დიდი მოგოლის სამეფოში“ (მოსკოვი-ლენინგრადი, სახელმწიფო სოციალ-ეკონომიკური გამომცემლობა. 1936 წ.), რომელმაც თავის დროზე მარქისია და ენგელსის მოწონება დაიმსახურა. ეს წიგნი, სხვათა შორის, მოგვითხრობს იმ სამი ქართველის შესახებ, რომელთაც მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულში ინდოეთის ერთ დიდ ნაწილში სამი სამეფო შექმნეს. ამ სამეფოებმა თითქმის ორას წელი, წადს იარსებეს. ბერნიე წერს: „ქართველები მტკიცედ განაგებდნენ ამ სამეფოებს იმიტომ, რომ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში იყვნენ და ერთმანეთს გვერდით უდგნენ მოგოლების წინააღმდეგ დიდ სამხედრო ოპე-



რაციებში⁴. ბერნიე ასახელებს ამ ქართველ შეფერხაში
მხოლოდ მეხუთე თუ მეექვსე თაობის წარმომადგე-
ნელს — ნეზამ შაჰს. ოომელმიც თავისი სამეფოს დედა-
ქალაქს დაარქვა დუალეთი.

ეს ამბავი ხდება ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის
რაიონში. სინდისა და ფენჯაბის მხარეში, საიდანაც
შედიოდნენ ამ ქვეყანაში უცხოეთიდან შემოჭრილი
ტომები — სპარსელები და ბერძნები (აქედან შეიკრა
ინდოეთში ალექსანდრე მაკედონელიც), ჰუნები და უნ-
გრელები, ევროპელები და აბისინელები. ინგლისელები
თავიანთი ძლიერი ფლოტის საშუალებით ინდოეთში შე-
იჭრნენ ამ ქვეყნისათვის სრულიად მოულოდნელ, ალ-
მოსავლეთის მხრიდან, ზღვიდან, მაშინ, როცა ქვეყნის
შიგნით მძვინვარებდა შინაგანი აღრეულობა.

აღმოჩნდნენ სპეციალისტები. რომლებიც ალბათ
ნათელს მოჰყენენ ინდოეთთან ჩვენი ქვეყნის მეტად
საინტერესო ურთიერთობის ისტორიას.

ძნელი წარშოსადგენია ორასი წლის წინათ, ინგლი-
სის ინდოეთში შეჭრამდე და ამ ქვეყნის გარესამყარო-
დან მოწყვეტამდე ინდოეთის ხალხს ასეთი ბუნდოვანი
წარმოდგენა ჰქონიდა საქართველოს კულტურაზე.

ინდოეთის პრეზიდენტ პრასადთან მიღებაზე ამ
ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის
ხელმძღვანელებს (ამ აკადემიის საპატიო თავმჯდომა-
რეა თვითონ ჯავაჲარლალ ნერუ) კრიპალანსა და პრა-
ბაქარ მაშვეს მე გადავეცი „ვეფხისტყაოსნის“ უორდრო-
პისეული ინგლისური თარგმანი, მოსკოვის 1937 წლის
გამოცემა. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს, ინდოეთის



ინტელიგენციის ამ მოწინავე და დიდად განათლებული წარმოშეადგენლებს, რუსთაველის ამ უკვდავ ქმნილებულ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. მე კოხოვე მათ: კონფერენციის მსვლელობის დღეებში, ჩემი იქ ყოფნის დროს როგორმე ეშოვათ დრო და წაეკითხათ იგი. შემდეგ კი, თუ ლირსად ჩათვლიდნენ, ეზრუნათ რათა ამ პოემის მთავარი გმირისთვის, ინდოელ რაინდ ტარიელისთვის ეჩვენებინათ მისი სამშობლო რვასი წლის შემდეგ, ე. ი. ეზრუნათ „ვეფხისტყაოსნის“ პინ-დის ან ურდუს ენაზე თარგმნისათვის. პრაბაგარ მაშვემ „ვეფხისტყაოსნი“ ჩამომართვა და მორიდებით თქვა:— ამოდენა წიგნის გამოცემა ჩვენს აკადემიას აბა როგორ შეუძლიანო.

ვინც ინდოეთის საგამომცემლო საქმეს იცნობს, მას მაშვეს ეს განცხადება სრულიადაც არ გაუკვირდება. საქმე ისაა, რომ ამ ოთხას მილიონიან ქვეყანაში წიგნები მხოლოდ რამდენიმე ათასიანი ტირაჟით იბეჭდება, უმეტესად ორი, სამიათასიანი ტირაჟით. მკითხველის სიმცირის გამო გამომცემელს წიგნი ვერაფერ შემოსავალს აძლევს და კერძო გამომცემელიც (სახელმწიფო გამომცემლობა იქ არაა) უმეტესად სტამბავს რელიგიური ხასიათის წიგნებს, რომლებსაც მყიდველი საკმაოდ ჰყავს. მრავლად ნახავთ აგრეთვე პორნოგრაფიულ წიგნებსაც, რომლებსაც მკითხველი აგრეთვე საკმაოდ ჰყავს.

ამის გამო ნამდვილი, ჭეშმარიტი მწერლის მდგომარეობა ინდოეთში მეტად სავალალოა. მწერალი, რომელსაც თოთხმეტი სქელტანიანი რომანი დაუწერია,



ვილაც მოხელის კანცელარიაში მუშაობს უბრძალების დამწერლად. კერძო გამომცემლის ხელში თავის დუხშირ ბედს უჩივიან ჩვენი მეგობარი ინდოელი ბელეტრისტები და მათ შორის კრიშან ჩანდრიც, რომელსაც მსოფლიო სახელი აქვს მოპოვებული, მაგრამ სამშობლოში რაღაც კაპიკებს იღებს მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის საფასურად. მას წიგნის შემოსავლის მხოლოდ 10-15 პროცენტი თუ ერგება. კონფერენციის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხის („მწერალი და თავისუფლება“) განხილვის დროს ნებალელმა მწერალმა ქალმა განაცხადა, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ მწერლის თავისუფლებაზე, როცა იგი გაუმაძღარი გამოცემლის კლანჭებში ღაფავს სულსაო. ბევრი ილაპარაკეს აზიელმა მწერლებმა გამომცემელთა თავაშვებულებაზე, მაგრამ ამ საქმეს ასეთი კონფერენციები, რასაკვირველია, ვერ მოაგვარებენ.

ამიტომაც მე სრულიადაც არ გამკვირვებია, როცა პრაბაქარ მაშვემ გვითხრა: ამ დიდი პოემიდან ჩვენ მხოლოდ იმ ნაწილის თარგმნასა და გამოცემას თუ მოვახერხებთ, რომელიც ინდოეთს შეეხებაო.

გიყვარდეს, ის ღამე პრაბაქარ მაშვეს რუსთაველმა თეთრად გაათენებინა. დილით მივიღეთ მისგან უსაზღვროდ აღფრთოვანებული წერილი. წერილს თან ერთვოდა „ვეფხისტყაოსნის“ აღგილების თარგმანი ურდუს ენაზე, რომელიც ამ ღამენათევ კაცს განთიადისას შეესრულებინა. მე ეს წერილიც და თარგმანიც ინდოეთიდან თან წამოვიღე.

აგერ ჩვენს თვალწინ ისტორიას ბარდება კოლონია-



ლიზმის სამარცხვინო სისტემა . აგერ ჩვენს ილვიძებენ და დამოუკიდებლობის ნათელ გზას აღვებიან აზის დამონებული ხალხები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. ისინი ეძებენ ძველ მეგობრებს. იღწვიან აღადგინონ ძველი კავშირები, ძველი ურთიერთობანი. მათ თავიანთ სამართლიან ბრძოლაში აღაფრთოვანებთ ჩვენი ქვეყნის ბრძოლისა და შრომის დიდებული მაგალითები. ამის შესახებ ხშირად აცხადებენ ხოლმე აზის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. თავის წიგნში „ინდოეთის აღმოჩენა“ ჯავაჰარლალ ნერუ წერს: „მე არასოდეს არ მეეჭვებოდა, რომ საბჭოთა რევოლუციამ დიდად წასწია წინ ადამიანთა საზოგადოება და აანთო წითელი ალი, რომლის ჩაქრობაც შეუძლებელია. მან საძირკველი ჩაუყარა იმ იხალ ცივილიზაციას, რომლისკენაც მიიწევს მსოფლიო“.

საკმარისი იყო კოლონიალიზმის სამარცხვინო ულლისაგან განთავისუფლება, რომ აზის ხალხებში მეორე დღესვე ამაღლებულიყო ეროვნული შეგნება და ნაციონალური სიამაყის გრძნობა. ეს ხალხები დღეს იბრძვიან, რათა მთელ მსოფლიოს დაანახონ თავიანთი. ქვეყნების საუკუნოებრივი კულტურის მონაპოვარნი და თავიანთი წვლილი შეიტანონ მსოფლიო კულტურის საგანძურში. ისინი მოითხოვენ სიტყვის უფლებას და ამ უფლებას ბრძოლით იპოვებენ. აზის მწერალთა ეს კონფერენციაც იქცა უდიდეს მოვლენად ამ სამართლიანი ბრძოლის გზაზე. შეგნება იმისა, რომ ეს დიდი ხალხები დღეს ეოთიანდებიან საერთო სამართლიან

ბრძოლაში, აღმოსავლეთის პროგრესულ მოწყვეტილების გულებში ბადებს საბოლოო გამარჯვების დიდ ოწმენას. თავისი სიტყვა კონფერენციაზე ინდოეთის გამოჩენილ-მა საზოგადო მოღვაწემ, პარლამენტის დეპუტატმა, მწერალმა რაჯა გო პალაჩარიამ დაიწყო სწორედ ამ ოწმენის აღიარებით: „თუმცა ჩემს დღეში მე ინდოეთს გარეთ არ გავსულვარ, მაგრამ მხოლოდ ახლა ვკრძნობ პირველად, რომ აზიაში ვარ“. პალაჩარიას ამ განცხადებას ცეილონის დელეგატმა დაუმატა: „იმას, რასაც ინდოეთმა მიაღწია განდის ხელმძღვანელობით, უნდა მიაღწიოს აღმოსავლეთის ყოველმა ხალხმა“.


მაგრამ აშკარად ეტყობა, აღმოსავლეთის პროგრესული ადამიანები დღეს შეშფოთებულნი არიან ახალი საფრთხით, ახალ კოლონიზატორთა—ამერიკელთა მზაკვრული ოინგბით—დოლარით ჩაიგდონ ხელში ინგლისის დაკარგული პოზიციები აღმოსავლეთში. აზიის პროგრესული საზოგადოებრიობა, ეტყობა, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში გამოდის ამერიკეს ამ ჯოჯოხეთური გეგმების წინააღმდეგ და აზიის ძწერალთა კონფერენციაც სავსებით იყო გამსჭვალული ამ ბრძოლის ტენდენციებით.

კონფერენციაზე ჩვენი გამოცხადების დროს ტრიბუნაზე იდგა იაპონელი პროგრესული მწერალი და საზოგადო მოღვაწე მასახარა ხატანაკა, რომელიც აღშფოთებით ლაპარაკობდა ამერიკელთა მოძალების შესახებ იაპონიაში, იაპონელ პროგრესულ მწერალთა ბრძოლაზე ამერიკული გავლენის წინააღმდეგ. იგი მოუთხრობდა კონფერენციის იაპონიის ლიტერატურაში


გაჩაღებულ ბრძოლებზე რეალისტურ, ნამდვილობის სტურა ხურ მწერლობასა და დასაფლეთის დეკადენტურ გავლენის ქვეშ მყოფ მწერალთა შორის. მან აღნიშნა — ეს ორის ბრძოლა არა მარტო ლიტერატურულ მიმართულებათა შორის, არამედ ბრძოლა ორი იდეოლოგიისათ. მასახარა ხატანაკამ ჩინეთისა და საბჭოთა მწერლების დელეგატებთან ერთად მეტად საპატიო როლი შეასრულა აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციის ჯანსაღლიანდაგზე დაყენების საქმეში. ინდოეთიდან დაბრუნებისას ხატანაკა იტალიაში დარჩა, მას რომის აეროდრომზე გამოვემშვიდობება. იქედან იგი ეგვიპტეში გაემგზავრა აზიის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის წევრებთან ერთად კეთილი ნების მისით. ახლახან ხატანაკა საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა და იგი, როგორც ჩვენი პრესა იუწყება, მიიღო ამხანიგმა ხრუშჩოვმაც.

კონფერენციის მსვლელობაში, მისი სწორი გზით წარმართვაში ასევე მეტად აქტიური, პროგრესული როლი ითამაშეს გერმანელმა მწერალმა ჰერმლინმა — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან, მონიკა ფელტონმა, პროფესორმა ჯონსონმა — „ოქროს ნაპირიდან“ და უნგრელმა მწერალმა, უნგრეთის მუშურ-გლეხური მთავრობის ელჩმა ინდოეთში ანარდ ტამაშმა, განსაკუთრებით როცა ამ კონფერენციის შემდეგ. აზიისა და ევროპის მწერლები დასხდნენ მრგვალი მიგიდის კონფერენციაზე, სადაც ზოგიერთ დასავლელ სტუმარს განზრახული ჰქონდა უნგრეთის საკითხის პროგრაციულად გამოტანა.

კონფერენციის მონაწილეთა უმეტესობა, კამათში



ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା କରିବାରେ ପରିଚାଳନା କରିବାରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ



ସୁଜ-ମାତୁଲ୍ଲି.

გამოსული აზიელი მწერლები უსაზღვრო გულისწყვეტილებას მითა და ზიზღით ლაპარაკობდნენ ინგლისის აზიაში ბატონობის შავბნელ საუკუნეებზე. ბენგალის წარმომადგენელი ასე გამოთქვამდა ამ გულისწყრომას: „ჩვენ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში მუდამ ვეძებდით ჭეშმარიტებას, ამ ძიებაში, სხვას თუ არაფერს, სულის სიმშვიდეს მაინც ვპოულობდით. ინგლისელებმა ჩვენ ამ ძიების უნარიც წაგვართვეს. მათ წაგვართვეს ყველაფერი. მათ არ ესმოდათ ჩვენი. ისინი ჩვენ გვთვლიდნენ კერპთაყვანისმცემლებად, ასე გაიგეს მათ ჩვენი რელიგია და ფილოსოფია. ჩვენ მათ ვძულდით, ჩვენ კიდევ, ჩვენი მხრით, ისინი გვეზიზლებოდნენ“.

კონფერენციაზე სიმბოლურ მოვლენას ჰქონდა ადგილი: მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მესამე დღეს სიტყვა აიღო ინგლისის წარმომადგენელშია. მაგრამ როცა იგი ტრიბუნაზე შედგა და გაცხარებით დაიწყო ლაპარაკი, ამ დროს სხდომის დარბაზის კარები გაიღო და კონფერენციაზე შემოვიდა იმ დილით ამერიკიდან ინდოეთს დაბრუნებული პრემიერი ჯავაჲარლალ ნერუ. იგი ავიდა პრეზიდიუმის მაგიდასთან. სხდომის მორიგე თავმჯდომარებ იტალიელმა მწერალმა კარლო ლევიშ მას მაშინვე მისცა სიტყვა. ინგლისის წარმომადგენელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ტრიბუნა. ტრიბუნაზე მტკიცე ნაბიჯებით შედგა ინდოეთის პრემიერი. დარბაზშა მხურვალე ოვაცია გაუმართა არა მარტო ნერუს, არამედ სინამდვილის ამსახველ ამ სიმბოლურ მოვლენასაც.

ნერუმ ილაპარაკა მწერლის როლისა და მოგალეო-
3. ი. აბაშიძე



ბის შესახებ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ესტონელების ზოგადოებაში, როგორიც დაიმკვიდრეს ახლადგამოყენებულმა, დამრუკიდებლობის გზაზე დამდგარმა აზიის ქვეყნების ხალხებმა. საქმე ისაა, რომ კონფერენციაზე დასავლეთის დეკადენტურ მიმდინარეობათა მქალაგებელნი თავგამოდებით იცავდნენ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. არსებითად ამ თეორიის წინააღმდეგ გამოვიდა თავის რეზიდენციაში მიღების დროს ინდოეთის პრეზიდენტი პრასადიც და კონფერენციაზე ჯავაჰარლალ ნერუც. ნერუმ განაცხადა, რომ მწერალს არა აქვს უფლება ჩაიკეტოს თავის ნაჭუჭში, გვერდზე გაუდგეს თავის მშობლიურ ხალხს, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ხალხი სისხლითა და ოფლით, მძიმე შრომით ჰქმნის თავის მომავალს. ჩვენ არ მოვითხოვთ მწერლისაგან შიშველ პოლიტიკურ ტრაფარეტებს ჩვენ მოვითხოვთ მისგან ჩვენი მებრძოლი, მშრომელი ადამიანების მხატვრულ სახეებს. თქვენ მოვალენი ხართ მიიღოთ მონაწილეობა იმ საქმეში, რომლის შესახებაც წერთ, რის შესახებაც ესაუბრებით თქვენს მკითხველსო. ბურეუაზიულ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ აპოლოგეტები საკმაოდ გამოუჩნდნენ ამ კონფერენციაზე, განსაკუთრებით ევროპელ სტუმართა რიგებიდან. მაგრამ კონფერენციაზე ამ თეორიის აპოლოგია დამთავრდა გამოჩენილი ჩინელი ბელეტრისტის ლაოშის გამოსვლით, რომელმაც საბოლოოდ მტკიცე, საფუძვლიანი არგუმენტიციით გასცა პასუხი დასავლელ სტუმრებს.

საბჭოთა დელეგაცია ჩასვლისთანავე აქტიურიდ ჩა-



ება კონფერენციის საქმიანობაში და შალე კონფერენცია
ციის წამყვან ძალთა პირველ რიგებში აღმოჩნდა.
პროგრესული ძალები ამ დელეგაციის გარშემო შემო-
იკრიბნენ და ეს ისე ბუნებრივად მოხდა, თითქოს კონ-
ფერენციაც ამას ელოდაო. საბჭოთა დელეგაციის გა-
მოჩენამ და კონფერენციის საქმიანობაში აქტიურად
შეჭრამ, მას შემდეგ, რაც ჩინეთის დელეგაციამ დაუ-
ფასებელი წინასწარი მუშაობა ჩაატარა ამ კონფერენ-
ციის ჯანსაღ ლიანდაგზე დაყენებისათვის, საბოლოოდ
გაუცრუა იმედები კონფერენციის რეაქციულ ფრთას
და გადაწყვიტა საკითხი აზიის მწერალთა ერთიანი
პლატფორმის აღიარების შესახებ, რის წინააღმდეგაც
თავგამოდებით იბრძოდნენ იდეალისტური, დეკადენ-
ტური „კულტურა და თავისუფლების“ პროამერიკული
კლუბის წარმომადგენელნი ზოგიერთ დასავლელ სტუ-
მართან ერთად.


კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით
მოისმინეს საბჭოთა მწერლების დელეგაციის ორი მო-
ხსენება: მდგომარეობა შუა აზიისა და ამიერკავკასიის
ხალხთა მწერლობისა. მომხსენებლები იძულებული
გახდნენ ელაპარაკათ ამ ხალხთა მწერლობის არა მარ-
ტო დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, არამედ,
რამდენადაც შესაძლებელი იყო, მოეთხოოთ ამ ლიტე-
რატურათა მოკლე ისტორიაც, რადგანაც კონფერენ-
ციის მონაწილეებს ამ საკითხებზე ძალიან ბუნდოვანი
წარმოდგენა ჰქონიათ.

ამ კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს
პირისპირ აზიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის რეს-


პუბლიკათა მწერლები და იქ გამოირკვა აზიის შემცირების ლიტერატორთა უდიდესი ინტერესი მწერლობის, ჩვენი ხალხების კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ. მულკ რაჯ ანანდმა თავის ერთ-ერთ სიტყვაში განაცხადა: უცხოელთა ბატონობამ არ მოგვცა საშუალება აღმოსავლეთში თავის დროზე გაგვეცნო პუშკინი და ლერმონტოვი, ტოლსტოი და გორკი, თუმცა ინგლისური ფარდის უკან ჩვენთვის დაფარული იყო თვით შელიცა და ბაირონიცო.

საზეიმო ვითარებაში, მხურვალე ოვაციით, აღფრთოვანებულ შეძახილებში გადაწყდა: აზიის მწერალთა მეორე კონფერენცია მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირში, შემდეგ აზიის ქალაქ ტაშკენტში.

კონფერენციაზე ბევრი საინტერესო გამოსვლიდან ზოგიერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. დამამახსოვრდა მოხუცი ირანელი მწერლის ნაფისის გამოსვლა. ნაფისი მეტად საინტერესოდ გამოვიდა საბჭოთა მწერლების ყრილობაზეც 1954 წელს ქალაქ მოსკოვში, მაგრამ ჩვენში იგი მისასალმებელ სიტყვას ამბობდა, იქ დელში კი კონფერენციას მოუთხრო ირანის მწერლობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ირანის დიდებულმა მწერლობამ დაპკარგა თავისი გავლენის ძალა და ძველი ენერგიაო. ჩვენი მწერლობა მოქმედი ევროპული დეკადენტური ლიტერატურის გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით ეს პოეზიაზე ითქმის. ირანული, აღმოსავლური დიდი ტრადიციების პოეზია ახალ ევროპულ ტანსაცმელში, ცოტა არ იყოს, უხერხულად გამოიყურებათ.



ଏହାରିଲି ମାଝଟାଲେଇଥିଲି



କୁଟୁମ୍ବ-ମିନାରି.

თავშეჯდომარებ ტრიბუნაზე მიიწვია ეგვიპტელი მეცნიერების რალი; იგი საიწუხაროდ გაციებული აღმოჩნდა და ხმაჩახლეჩილმა მხოლოდ ორიოდე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. საომარი მოქმედების ცეცხლში გახვეული ეგვიპტის წარმომადგენლის ავიდმყოფობაც ჩვენ სიმბოლურად მოგვეჩვენა და დარბაზმაც მას ხანგრძლივი ოფაცია გაუმართა.

მეტად გულთბილი მიღებები მოგვიწყვეს კონფერენციის დელეგატებს სხვადასხვა ქვეყნების ელჩებმა ინდოეთში. მათ შორის განსაკუთრებული მასპინძლობით გამოიჩეოდა მიღება ჩინეთის საელჩოში. ჩინელთა მაგალითს წაბაძეს ნეპალელებმა, კიეტინამელებმა, პაკისტანელებმა, ბოლოს ყველა დელეგატი ჩვენს ხელგაშლილ, ჩვენებურად მხიარულ, მდიდრულ მიღებაზე მოვიწვიეთ საბჭოთა კავშირის საელჩოში.

კონფერენცია დამთავრდა. უნდა დავიწყოთ მოგზაურობა ინდოეთში.

* * *

ჯერ მაინც ნუ გავალთ ინდოეთის დედაქალაქიდან. ჯერ კიდევ ბევრ უცხო მოსაგონარს გამოგვატანს ქალაქი დელი.

მუშიორა — პოეტების შეჯიბრება, პოეტების ჭიდილი.

მანამდეც ბევრი რამ გამეგონა მუშაირას შესახებ, შარშანწინ ცნობილმა ინდოელმა პოეტმა აღი სარდარ ჯაფრიმ წერილიც დასტამბა მოსკოვის ქურნალ „ნოვი მირში“. წერილში იგი ილაშქრებდა იმ ინდოელ



მწერალთა და ლიტერატურის მცოდნეთა წინადაღმდებარებული რომელთაც პოეტური შებმის ეს ფორმა უკვე დიდ ხანია დრომოქმედი და მოძველებული მიაჩნდათ და მის გაუქმებას მოითხოვდნენ. იმ ზოგადი წარმოლგენით, რაიც მე აქამდე მუშაირაზე მქონდა, რასაკვირველია, არაფრის თქმა არ შემეძლო; ხოლო მას შემდეგ, რაც თავად დავესწარი და მონაწილეობაც მივიღე ამ პოეტურ პაექრობაში, სარდარ ჯაფრის მოსაზრება სავსებით სწორად მომეჩვენა.

მუშაირა აღმოსავლური პოეტური მატჩის მეტად საინტერესო ფორმაა.

მუშაირას გამართვა ინდოეთში მთელ რიგ სიძნელე-ებთანაა დაკავშირებული. ამ სიძნელეებს პირველ რიგ-ში იწვევენ სატრანსპორტო ხარჯები. საბჭოთა ქვეყნის პოეტებისაგან განსხვავებით (რასაც ყოველთვის გვისა-ყველურებენ ხოლმე), ინდოელი პოეტები ამ უდიდესი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში არიან გაფანტულნი. ისინი ინდოეთის უამრავ ქალაქსა და სოფელში მსა-ხურობენ ლუკმაპურის მოსაპოვებლად. მუშაირაზე მათ შეკრებას უმეტესად პოეზიის მოყვარული რომე-ლიმე მეცნატი კისრულობს.

ამჯერადაც ასე მოხდა. დელის მწერალთა კონფე-რენციაზე შეკრებილთ ინდოეთის ბევრი გამოჩენილი პოეტი თითქმის ალარც აკლდა. დელის მცხოვრებმა, პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულმა, ერთმა მდიდარმა ვაჭარმა ის რამდენიმე გამოჩენილი პოეტიც მოიწვია ინდოეთის შორეული კუთხეებიდან და დეკემბრის ერთ მშვენიერ ინდურ სალამოს, დელის ერთ დიდ აუდიტო-რიაში დაინიშნა მუშაირა.

ამ მუშაირას, ასე ვთქვათ, ამჟამად უფრო გამოიყენეთ აზრიც და ფართო მნიშვნელობაც ჰქონდა: ინდოეთის გამოჩენილი მგოსნები საასპარეზოდ ხვდებოდნენ საბჭოთა ქვეყნის ცნობილ პოეტებს.

წინასწარ ახალგაზრდა მეცნიატმა ყვავილებში ჩაფლულ თავის ეზოში მოკლე ვახშამი გამართა. ვახშამზე პოეტებმა ერთმანეთი თითქოს თვალით ავტონ-დავტონეთ, გავზომეთ, ერთურთს თავაზიანად გავუღიმეთ, ვისკით და სოდის წყლით სავსე ჭიქები მივუჯახუნეთ და ერთმანეთის სადღეგრძელოები ჩვენებურად, პოეტურად გადავკარით. სუფრაზე უხვად ელაგა მშრალად შემწვარი წითელი ვარიები, ნივრით როგორლაც შეზავებული. თეფშებით ხშირ-ხშირად შემოჰქმნდათ აღმოსავლური ბოლლამა და შილაფლავი, ფართოფოთლებიანი მწვანილი და ახალი პამიდორი. ბოლოს ხონჩებით შემოვიდა მანგო—ინდურ ხილთა მეფე. დანაჩანგალი მხოლოდ სტუმრებს მოგვართვეს, ადგილობრივი კი პირდაპირ, ჩვენში რომ იტყვიან, ნიდაყვებამდე შედიოდნენ ფლავსა და ბოლლამაში. ტუჩები ყურებამდე ჰქონდათ ცხიმით მოზუზნული და ხელებს ხელსაწმენდის მაგიერ ტანსაცმელზე იწმენდდნენ.

ვიწრო, აყვავებული ხეიგნით მაგიდასთან, მსახურთა თანხლებით, მოვიდნენ მასპინძლის ულამაზესი ახალგაზრდა მეულლე და ასევე ულამაზესი ცოლისდა. ჩვენ, არცთუ ისე საკმაოდ დანაყრებულებმა, ჭამას თავი ვანებეთ. ინდოელ ლამაზებს ტანთ ცეცხლის ალივით წითლად მოშრიალე სარი ემოსათ. ქვემოთ შეიდიში, ზემოთ სიფრიფანა წამოსახეამი; ისე რომ, წერწეტა,

მზედაკრული წელი შიშველი უჩნდათ. ეს ქალები მართვა
ლაც აღმოსავლელი ფერმწერლის კალმით ჰყინვე გრი-
ნიატურებს ჰქვანდნენ. ხელები ტყუპად შუბლზე მიიდეს,
ინდურად მოგვესალმნენ და ხესთან დადგნენ. იმ საღა-
მოს მოსვენება დაჰკარგა განსაკუთრებით ჩვენმა თურ-
ქმენმა ამხანაგმა, პოეტმა კარა სეიტლიევმა, თავადაც
ლამაზმა, ეშხიანმა ვაჟკაცმა. იმ ორმა ლეილამ იმ სა-
ღამოს დაჰკოდა ორი მეჯნუნის „ნორჩი“ გული.

მუშაირას უძმრავი ხალხი დაესწრო. ვეებერთელა
საზაფხულო საესტრადო თეატრის ეზო სავსე იყო მსმე-
ნელებით.

სცენაზე, ფართო ნოხებზე აღმოსავლურად ფეხმორ-
თხმით დასხდნენ ინდოეთის გამოჩენილი მგოსნები: ფი-
როქ გორაკპური, ჯიგარ მურადაბადი, ფაის აჭმად ფაი-
სი, მაჰდუმ მაჰიუდდინი, ქუმარი, ალი სარდარ ჯაფრი,
გულიამ რუბანი, ნიაზ ჰაიდარი და ბევრი სხვა.

მუშაირა ორიოდე სიტყვით გახსნა თვითონ მეცე-
ნატმა. მან დამსწრეთ აცნობა ჩვენი იქ ყოფნა. ტაში
და შეძახილები.

მეცენატი თავად ბედგაცრუებული პოეტი ყოფილა.
ლექსების წერისათვის თავი დროზე მიუნებებია, კომერ-
ციული ნიჭი აღმოჩენია და, აი, გამდიდრებულა კი-
დეც. სხედან ახლა ერთად აღმოსავლეთის სახელგანთ-
ქმული, პირველი პოეტები, ლვაწლმოსილი მოხუცნი:
ფიროქ გორაკპური, ჯიგარ მურადაბადი და მმ უნიჭო
ხელმოცარულ პოეტს, დღეს ოქროთი მდიდარ კომერ-
სანტს, თვალებში შესციცინებენ. კიდევ კარგი, რომ
პოეზია და პოეტები მას საერთოდ თვალდასანახად არ

შესძულებია, როგორც საერთოდ ბევრ ნიჭვაცრულებულ მოლექსეს ჭირს ხოლმე, თუ საღმე სხვაგან კარიერას რასმე მიაღწია.

შემდეგ მუშაირა გულიამ რუბანმა წაიყვანა. პირველი გამოვიდნენ მოლექსენი, რომელნიც, ეტყობა, დამსწრე საზოგადოებაში დიდი პოპულარობით და სიყვარულით არ სარგებლობენ; ჩვენთვის ხომ, მით უმეტეს, მათი გვარებიც კი სრულიად უცნობი იყო. მიუხედავად აუდიტორიის აშკარა გულციფობისა, ეს მოლექსენი მიკროფონს არ ეშვებოდნენ, კვლავ იჭაჭებოდნენ და იხლიჩებოდნენ. აქაო და ჩემი სჯობიან სხვისასაო. გამახსენდა რუსთაველი: „მაინც იტყვის ჩემი სჯობსო, უცილობლობს, ვითა ჯორი“. ასეთი ხომ არ იყო რუსთაველის დროს ჩვენი პოეტების შეჯიბრებაც? ალბათ ასეთი იყო. მერე პოეტური შერკინების ეს აღმოსავლური ფორმა, ეს ბეღნიერ დღეთა დიდებული გასართობი, ბუნებრივია, დაიკარგა, დავიწყებას მიეცა ჩვენს ცრემლიან საუკუნეებში, თემურისა და ჯალალ-ედინის შემოსევიდან ვიდრე აღა-მაჰმად-ხანის ულმობელ ხანძრამდე. თუმცა გურამიშვილიც ხომ ამბობს: „ჯავახი-შვილს შემაჯიბრეს...“

მუშაირა თანდათან გახურდა, შეჯიბრებაში სულ უფრო და უფრო მეტად ცნობილნი გამოვიდნენ. გულიამ რუბანმა გამოაცხადა:— მაჰმუშ მაჰმიუდდინი. იქუსა ტაშმა. მაჰმიუდდინი დინჯად მივიდა მიკროფონთან და თითქმის თვალმოხუჭულმა დაიწყო მისი ცნობილი „საპყრობილები“.



„მე ციხში ისევ ვჰიგარ, რით მოვიკლა, მითხარ, ფაჭურიანი
ტანჯვას ბოლო არ ჰქონია, შავი არის ციხე, შავია და მოვიკლოთ“

— გაააპ, გაააპ, გაპ! — შესძახეს პოეტებმა აქეთ
იქედან.

— გააპ, გააპ, გაპ! — აპყვა ბუდიტორიაც. ეს შეძახილე-
ბი პოეტის სტრიქონების მოწონების ნიშანია და პოეტ-
მაც იგივე სტრიქონები ხელახლა უნდა გაიმეოროს.
მაპიუდლინმაც გაიმეორა: „მე ციხეში ისევ ვჰიგარ...“

საპყრობილები განა მარტო მაპიუდლინი
მჯდარა. ინგლისელთა ციხეებში ათეული წლების წამე-
ბა უგემნია აქ, ამ სცენაზე მსხდომ პოეტთა უმეტესობას,
თავისუფლებისათვის, სამშობლოს დამოუკიდებლობი-
სათვის მებრძოლ ვაუკაცებს. აგერ ჯიგარ მურადიადი,
დილეგებში ნატანჯი სახით; აგერ ფაის აპმად ფაისი,
აგერ ალი სარდარ ჯაფრი, ნიაზ ჰაიდარი, გულიამ
რუბანი, რომელი ერთი...

— გაააპ, გაააპ, გაპ! — გაისმა ისევ, როცა მაპიუდ
დინმა თავისი ლექსი დამთავრა:

„არ მოვიკლავ, არა, თაფსა, მე ვერ გამტებს ციხე შავი,
თუ სამშობლოს არ შევწირე, ლერთმა რისთვის მომცა თავი“. 42

მაპიუდლინს მოპყვა ფაის აპმად ფაისი. იგი დელის
კონფერენციაზე ევროპულ ტანსაცმელში იყო გამო-
წყობილი, აქ ინდოეთის ნაციონალური ტანსაცმელი
აცვია და ბეტელსაც გემრიელად ლეჭავს. აპმად ფაისი
ურდუს ენაზე წერს, უმეტესად პაკისტანში ცხოვ-
რობს და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მთელ
ინდოეთსა და ახლომახლო ქვეყნებში. იგი მშვიდად
კითხულობს ნაციხარ სტრიქონებს:

„წამართვეს კალაში, მე გმლერი შაინც,
 მე გხედაგ შორიდან სამშობლოს აისს...“

— ვაააპ, ვაააპ, ვაპ! — და აპმად ფაისიც იმეორებს:
 „წამართვეს კალაში...“ აქვე უნდა დავურთოთ, რომ
 ინდურ პოეზიაში, საერთოდ ისე, როგორც მთელ ალ-
 მოსავლურ პოეზიაში, სატრაფიალო ლირიკა სჭარბობს,
 მაგრამ ახლად გათავისუფლებული ინდოეთის პოეტე-
 ბის შემოქმედებაში დღეს, ბუნებრივია, მეტწილად
 სოციალური მოტივებია წამოწეული წინ.

ფიროქ გორაკპური... ჰაერი ტაშის ცემით შეზან-
 ზარდა. გორაკპურის ელგასავით მოსრიალე თვალებმა
 მსმენელთა რიგები მოიქროლეს, თითქოს მსმენელი
 გაზომეს, აწონ-დაწონეს, შეამოწმეს, გაგვიგებენ თუ
 არა ჩვენს ნათქვამსაო:

„რიყის ერთი კენჭი მთელი ქვიშა არ არის,
 წვიმის ერთი წვეთი ოკეანე არ არის...“

— ვაააპ, ვაააპ, ვაპ!... — გორაკპურმაც გაიმეორა
 „რიყის ერთი კენჭი...“ მერე შემდეგი მიაყოლა:

„ერთი წვრილი წერტილი მთელი სურათი არ არის
 ერთი კაცის ბედი მთელი ხალხის ბედი არ არის...“

— ვაააპ, ვაააპ, ვაპ! — ისევ ატყდა ძახილი. ისევ
 გორკაკპურის: „ერთი წვრილი წერტილი...“

პოეტი ნიაზ ჰაიდარი თვითონ მიიჭრა მიკროფონ-
 თან, ტოვის მსგავსი ჩალისფერი მოსასხამით, ფეხთ
 ჩვენი ძველი თავადების წვერწაწვეტილი, მალლა აპრე-
 ხილი წალებით, მხრებამდე გადმოყრილი თმებით, ბე-
 ტელის ლეჭვისაგან დაწითლებული და დასისხლიანებუ-



ლი ტუჩ-კბილით, მსმენელთ თავი დაბლა დაზუტობისათვის
მაღალი სიმღერით დაიწყო:

„სულ ჩერჩილის ოინია, ქვეყნად ჭირი რაცა ხდება,
მე იმ მიწას ვენაცვალე—ჩერჩილი რომ ჩაძალლდება“.

— ვაააპ, ვაააპ, ვაპ! — აქუხდა მთელი დარბაზი. ნიაზ
ჰაიდარმაც გაიშეორა: „სულ ჩერჩილის ოინია...“

ახლა ჯერი საბჭოთა პოეტებზე მიღვა. სცენაზე
გაიხმეს მირზო ტურსუნ-ზადე. აუდიტორია მქუხარე
ტაშით შეხვდა ინდოეთში უკვე ცნობილ პოეტს. ტურ-
სუნ ზადემ ლექსი ტაჯიკურ ენაზე წაიკითხა. ეს ენა
კი ინდოეთში, ისე როგორც ფარსული, ინტელიგენ-
ციის უმეტესობას ესმის. დიდხანს არ შეწყვეტილა ტა-
შისცემა ტურსუნ-ზადეს პატივსაცემად.

ფეხსაცმლის გახდა შემდეგ კონსტანტინე სიმონოვს
მოუხდა (ისე როგორც სამლოცველოში სცენაზე ფეხ-
საცმლით შესვლა არ შეიძლება). სიმონოვმა თავისი
„დამელოდე“ წაიკითხა. როცა თარჯიმინმა ლექსის
სათაური ინგლისურად გამოაცხადა, აუდიტორიაში
იქუხა მოწონების შეძახილებმა და ტაშმა. ეტყობა, ეს
ლექსი აქაც ბევრს გაეგონა მანამდე.


სიმონოვის შემდეგ სცენაზე თავისი მსუქანი ბრტყე-
ლი ფეხები სოფრონოვმა შეალაჯა. მან იმღერა მისი
ლექსის ტექსტზე კინოფილმისათვის დაწერილი სიმღე-
რა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწ-
რებებზე.

— ვაააპ, ვაააპ, ვაპ!

შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა. სცენის კიბეებზე დაკ-
ტოვე ფეხსაცმელი. იმ დღით ქალაქ დელის „რკალზე“



ବୁଦ୍ଧିବେଳିର ଗ୍ରଂଥ-ଗ୍ରଂଥାଳ୍ଯୁମନ୍ସିଲ୍



ପ୍ରାଚୀନାଙ୍କରିତାରେ ଏହାକିମ୍ବାଦିରେ „ବିଦ୍ୟାଲୟରେ ଏହାକିମ୍ବାଦିରେ“ ପିଠିଯାର



ნაყიდი მეტად ჭრელი წინდებით მიკროფონთან შეკვეთა
გვერდით ჩვენი პატარა, დიდად ნიჭიერი და განსჭავ-
ლული მთარგმნელი ქალი კრუგერსკაია ამოვიყენე და
დავიწყე:

„ამ ზღაპრულ ქვეყნის, ამ საოცრების
მე ვერ ავხსენი ერთი მეცხრედიც...“

სწორედ იმ დღეებში ვწერდი ამ ლექსს. პირველი
და ბოლო სტროფები წავიკითხე, კრუგერსკაიამ ლექსი
მთლიანად უთარგმნა დარბაზს. — ვააპ, ვააპ, ვაპ!

რიგ-რიგობით მიღიოდნენ მიკროფონთან კარა სეი-
ტლიევი, ზულფია, ირანის ელჩი ინდოეთში — ჰიქმათი,
შემდეგ ისევ ინდოელი პოეტები. სცენაზე ხონჩებით
შემოპერნდათ ახალ-ახალი ბეტელი და იყო გაჩალებუ-
ლი ლექვა და ტუჩების წკლაპუნი.

ღამის პირველ საათზე დავიშალენით. ესეც ჩვენდა
საპატივცემოდ. ჩვეულებრივად მუშაირა, როგორც ამ-
ბობენ, ინდოეთში ხშირად დილამდე გრძელდება ხოლმე.

ჩვენი მანქანები აპლოდისმენტების ხმაურში და
შეძახილებში დაიძრა სასტუმრო „ჯანპატისკენ“.

ბელეტრისტმა და ჩვენი დელეგაციის უკვე განუყ-
რელმა თანამგზავრმა ნავთეჯმა სასტუმრომდე მიგვა-
ცილა და იქ სასტუმროში ოფიციალურად გვაცნობა,
რომ მეორე დღისათვის გვეპატივებოდა. მამამისი. მწე-
რალი და საზოგადო მოღვაწე, ინდოეთის პარლამენტის
წევრი, საბჭოთა კავშირის მეგობარი გურბაპშ სინგპი.
გურბაპშ სინგპმა მიგვიწვია თავისი ქალიშვილისა და
სიძის სახლში, თავიდ იგი დელის მცხოვრები არაა,
ფენჯაბელია.



ეს მიწვევა სიამოგნებით მივიღეთ; მეტად გვიჩინტიშვილების რესებდა დელის მოქალაქის ოჯახის ნახევა. უკლავჭალა მცხოვრებთა ყოფისა და ადაოების გაცნობა.

მუშაორას შთაბეჭდილების ქვეშ გავატარე ის ლამე (სხვათა შორის, „ლამე“ ფარსული სიტყვა ყოფილა და ნიშნავს მწუხარებას. მწუხრისა უამი?!).

მეორე დღეს დილით საბჭოთა დელეგაცია მიიღო ინდოეთის ვიცეპრეზიდენტმა რადპაკრიშნანმა. მისი სახლი, როგორც ნიუ-დელის თითქმის ყველა შენობა, ერთსართულიანია. დიდი, ქვის სახლი. ეზოში მწვანე მოლი და მრავალფეროვანი ყვავილნარი, მაღალი ფართოფოთლოვანი ხეები, ცისფერი რკინის ლობე, მშვენიერი მწვანე ხეივნები, გაზონები. წინასწარ გაფრთხილებულმა დარაჯებმა თავაზიანად გაგვიღეს დიდი ჭიშკარი და ჩვენი მანქანები ეზოში შესრიალდა, აგურის ფხვნილით მოფენილ გზაზე.

შეგვიყვანეს დიდ, ნოხებით მორთულ დარბაზში. ჩვენმა თანმხელებმა ინდოელმა მწერლებმა იქვე, იატაკზე მოირთეს ფეხი და ნოხებზე დასხდნენ. ჩვენ, როგორც უცხოელ სტუმრებს, რბილი სკამები მოვართვეს. ცოტა ხანიც და, ვიცეპრეზიდენტიც გამოვიდა მეორე ოთხიდან.

რადპაკრიშნანი საბჭოთა კავშირში იყო ინდოეთის ელჩიდ რამდენიმე წლის განმავლობაში, ასე რომ, ჩვენს ქვეყანას კარგად იცნობს, განსაკუთრებით რუსეთს, მოსკოვს.

იგი თხელი, მაღალი მოხუცია, ინდოელს მაინცდა-მაინც არა ჰგავს, ისე როგორც, თუ გნებავთ, ნერუც.



პრასადიც უფრო სპარსელსა ჰგავს. რადპაკრეზნენი
დღევანდელი ინფორმაციის ერთი გამოჩენილი ფილოსო-
ფოსთაგანია. მას შრავალი ტოში დაუშერია, და, რო-
გორც ამბობენ, კიდევ ბევრის დაწერას აპირებს. მან
თავიზიანად მოიხსენია საბჭოთა კავშირი და ილაპარაკა
მრავალ შეხვედრაზე მოსკოვსა და ლენინგრადში.

დარბაზში შემოვიდა და ვიცეპრეზიდენტის გვერდით
დაჯდა ორმოციოდე წლის მამაკაცი. ეს იყო მაპატმა
განდის შვილი. მე მასზე განსაკუთრებულს ვერაფერს
ვიტყვი, ჩემზე რაიმე აღსანიშნავი შთაბეჭდილება არ
მოუხდენია. ისე კი, ეტყობა, პატივს სცემენ. შიგადა-
შიგ ჩაერეოდა ხოლმე საუბარში და თავის აზრს გამო-
თქვამდა, რაზედაც აგრეთვე ვერაფერს ვიტყვი, რად-
გან არც მის ნააზრევს მოუხდენია ჩვენზე რაიმე განსა-
კუთრებული შთაბეჭდილება.

რადპაკრიშნანმა თავისი მოსაზრებანი მოგვახსენა
ორი ბანაკის—სოციალისტური და კაპიტალისტური სამ-
ყაროების—თანაარსებობის შესახებ. ისტორიულ წარ-
სულში ხშირად ეგონათო, — განაცხადა მან, — რომ ორი
იდეა, ორი რელიგია ერთად ვერ იარსებებსო, მაგრამ
ეს ყოველთვის ასე როდი მომხდარაო. ასე იქნება ჩვენს
დროშიაცო, — განაცხადა მან, — ორი იდეოლოგიის თანა-
არსებობა მე სავსებით შესაძლებლად მიმაჩნიაო.

ვიცეპრეზიდენტშა ბევრი ილაპარაკა მწერლის მო-
ვალეობაზე. მას ამ მოვალეობაზე მართლაც რომ თავი-
სებური წარმოდგენა ჰქონია. მისი აზრით, ყოველი
მწერალი უნდა იღწვოდეს იმისათვის, რომ ადამიანებმა
მიალწიონ მსოფლიო ჰარმონიას, რომლის მიღწევაც



არცთუ ისე ძნელი საჭმე ყოფილი, თუკი ჟურნალი
ადამიანი ამისათვის გადადებს თავს. რამდენიმე წუთის
შემდეგ მანვე განაცხადა, რომ ყოველი ადამიანი
ერთნაირი ხასიათის როდია, ამჯვეუნად ყოველთვის
არსებობდა ბოროტი და კეთილი და, როგორც ძველი
ინდური ანდაზა ამბობს, ბოროტიცა და კეთილიც
ერთი ღმერთის შვილები არიანო. ჩვენ გვინდაო,—
თქვა მინ შემდეგ,— ჩვენი თაობა ამ ქვეყნიდან წავიდეს,
როგორც მებრძოლ ქვეყანათა შემრიგებელი თაობა,
კეთილი ნების ადამიანებიო. იმ სამოცდაათ, ოთხმოც
სახელმწიფოსაგან, რომლებიც დლევანდელ მსოფლიოს
შეადგენენ, ჩვენ უნდა შევქმნათ სამართლიანობის
სამეფო, ავაშენოთ მშვიდობის სამყარო. ჩვენი პატრიო-
ტიზმი არის პატრიოტიზმი მთელი კაცობრიობისა; ჩვენ
არ ვლამობთ წავშალოთ თავისებურებანი, რაიც ხალხებს
ერთმანეთისგან განასხვავებენ, მაგრამ ჩვენი მიზანია ამ
თავისებურებათა გათვალისწინებით შევქმნათ მსოფლიო
პარმონიაო. პატრიოტიზმი არ არის შენი ხალხის დაყე-
ნება სხვა ხალხზე მიღლა, ეს კაცობრიობის ღალატიაო;
შენ უნდა იდგე ამ პატრიოტიზმზე მაღლა, რადგან ამ-
გვარი პატრიოტიზმი არ არის გონიერი ადამიანის
დამოკიდებულება სამშობლოსადმი, მით უმეტეს, კაცობ-
რიობისადმიო. ნამდვილი ადამიანი არის არა მარტო
თავისი სამშობლოს, არამედ კაცობრიობის შვილიცაო.

ერთ-ერთმა ჩვენგანმა შენიშნა — ეს ყველაფერი
დიდებულია, მაგრამ ჩვენ დელის ქუჩებში მეტად მრა-
ვალ უსახლკაროსა და შიმშილისაგან დავარდნილ ადა-
მიანს ვხედავთ, რომელთაც ლამით პირდაპირ ფილაქან-

ზე სძინავთო, რომ ჩვენ ინდოეთში ასეთი გაჭირვაში არ წარმოგვედგინაო. მაშინ ვიცეპრეზიდენტმა განაცხადა: დიალ, ჩვენ თქვენგან ვისწავლით სოციალურ თანასწორობას, ხოლო ჩვენ ადამიანის, პიროვნების თავისუფლებას გასწავლითო. მან არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რა განსაკუთრებული თავისუფლება გააჩნიათ ქუჩებში მძინარ მოქალაქეებს.

თავად მწერალმა, რადჰაკრიშნანმა დიდი შეფასება მისცა მწერლის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მწერალი ეს სული, გონება და შეგნებაა ხალხისა. აი, ჩვენ, სახელმწიფო მოღვაწენი, ვმართავთ ქვეყანას, მიგვავს იგი, მაგრამ ვინ იტყვის, რომ სწორედ ესაა ის გზა, რომლითაც ყოველთვის უნდა ვიაროთ. აქ ჩვენ მწერალი უნდა დაგვეხმაროს, მან თავისი მხატვრული სიტყვით უნდა გვითხრას აზრი ჩვენს მუშაობაზე. ჩვენი ქვეყნის წარმართვის საქმეზე, ჩვენს მომავალზეო. საჭირო დროს მან თავისი ავტორიტეტული სიტყვა პარლამენტის ტრიბუნიდანაც უნდა მოგვიხსნოს.

ბელეტრისტმა ვაცანმა დაუმატა: ლიტერატურა არის ნაწილი საერთო მოძრაობისა, წინსვლისა, მაგრამ იგი ძალიან მგრძნობიარე ნაწილია. ლიტერატურის ასპარეზი ადამიანის სულია. მისი სამყარო ადამიანის შიდა-ქვეყანაა, ამიტომაც ადამიანის სულის მოძრაობა, ადამიანის სულიერი მოვლენები, მისი გამოვლინების ფორმები მწერლისთვის უფრო საინტერესო და არსებითია, ვიდრე, თუ გნებავთ, მთელი ძლმოსავლეთის ბედი, მათ შორის ინდოეთის ბედიცაო. ვაცანმა ერთი რამ მართლაც კარგად თქვა: ლიტერატურას პატარა ადამია-
4. ი. აბაშიძე



ნები არ ქმნიდნენ და ვერც ვერასოდეს შექმნიანია პალი
ტარა ხალხები კი ყოველთვის ქმნიდნენ და ქვლავაც
შექმნიან.

შესალამოვდა და ჩვენს სასტუმროში ისევ გამო-
ცხადდა ჩვენი ნავტეჯი. გურბაპშ სინგპი ქალიშვილის
სახლში გველოდებოდა.

ესეც ნიუ-დელის ერთსართულიანი სახლი. ვილა.
სუფთა იმერული ეზო. ოდაში ნოხებით მოგებული ქვის
იატაკი. აივანზე გადმოდგა წელში ჭაბუკურად გამარ-
თული, ხელებგაშლილი მასპინძელი გურბაპშ სინგპი,
იგი შემოგვეგება სიცილითა და შეძახელით. ახლა იგი
მართლა ზღაპრულ მოხუც, ქუჯა მეფეს ჰგავდა, გრძე-
ლი თეთრი წვერით, ფართო, გაფანტული, დაბლა დაშ-
ვებული ულვაშებით და ხშირი წარბ-წამწამით. სწორედ
ისეთ მეფეს ჰგავდა, როგორსაც ხატავს ხოლმე ზიჩი
„ვეფხისტყაოსანში“.

ჩვენებურ პარმალზე ავედით, იქიდან შეგვიპატიუეს
სასტუმრო დარბაზში, სადაც გვიცდიდნენ სინგპის
სიძე და ქალიშვილი, აგრეთვე რამდენიმე სტუმარი,
ეტყობა, ოჯახის ახლობლები, მათ შორის ჩვენი უკვე
ნაცნობი პოეტი ქალი ამრიტა თავისი მეუღლით.

ამრიტა პრიტამი მეტად ლამაზი, მშვიდი და ეშია-
ნი ქალია, ხშირი წარბების ქვემოდან წყლიანი შავი
თვალებით დამატყვევებლად გამომზირალი, მუდამ მო-
ლიმარი. ყურში თითქოს ახლაც ულერს მისი დაბალი,
ქალური დვრინი, გულის სიღრმიდან ამოსული ხავერ-
დოვანი ხმა, ლექსის კითხვის დროს დინჯი, უფრო
მეტად სევდიანი და მწუხარე, მაგრამ ეს სევდა, ეტყო-
50

ბა, სიყვარულის სეფდაა, მხოლოდ სიყვარულის სუფა-
და. ამრიტას დეკლამაციის დროს ქმარი ყოველთვის
გალიმებულია, ეჭვის ნაპერწერალიც არა წვავს. იქნებ
პოეტის ყველა სტრიქონი მისდამია მიძღვნილი? ეს
მარტო მათ იციან — ამრიტამ და მისმა მეუღლემ, ხშირ,
შავ წვერში ოდნავ ჭირხლდაკრულმა ლამაზმა სიკჰმა,
რომელიც აგერ ტახტზე ფეხმორთხმული ზის და ცოლს
თვალებში მისჩერებია. ხშირად იგი ჩვენც გადმოგვხე-
დავს — მოგვეწონა თუ არა მისი მეუღლის ლექსი.

გურბაპშ სინგჰმა უმცროს, გაუთხოვარ ქალიშვილს
რაღაც დაავალა, იგიც მალე გამოვიდა მეორე ოთახი-
დან და თან ინდური ეროვნული საკრავი გამოიტანა,
მეტად ლამაზი, მრავალსიმიანი ინსტრუმენტი — სეტა-
რი. იგი ევროპულ არფას ჩამოჰვავს. ქალი ქვის იატაზე
მოფარდაგულის შუაგულზე დაჯდა, სიჩებს ჩამოჰკრა
და ამანაც მწუხარე ხმით დაიწყო ინდური სიმღერა.
ნეტავ რაზე მღეროდა იგი? პირველი ორი მელოდია
ჩვენთვის გაუგებარი იყო, შემდეგ კი თითქოს რაღა-
ცას მივაგენით, მივაგენით მის ძირითად მოტივს და
ადგილ-ადგილ გულსაც მოხვდა ეს დღემდე ჩვენი ყუ-
რისთვის უცხო მელოდიები. ჩვენს შორის უფრო მე-
ტად მოხვდა იმის ყურს, რომელიც ასე თუ ისე მიჩვე-
ული იყო სპარსულ-ალმოსავლური სამყაროს ჰანგებს,
თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ჰანგები, როგორც
საერთოდ ინდური სიმღერები, არცთუ ისე ძალიან
ჰგავდა სპარსულს.

გურბაპშ სინგჰმა ახლა ჩვენ გვთხოვა სიმღერები და
ლექსთა წარმოთქმა. ჩვენც მათი წესისამებრ ვიმღერეთ



და წარმოვთქვით. პირადად მე, მათთვის რომელიც გასაგები ვყოფილიყავი, ჩვენებური, პრიმიტიული, აღმოსავლურ-ქალაქური მოტივი წავილილინე, თბილისის მუსიკალური ფოლკლორიდან: „არა, ვარდებს აღარ ვეძებ...“ ეს სიმღერა არა ერთხელ ამიყოლებია ხოლმე ჩემს ყმაწვილკაცობაში თბილისურ „დუდუკებზე“ მტკვრისპირის მხიარულ სასადილოებში, მეგობარ პოეტებთან ერთად, რომელთაგან ბევრი უკვე დღეს ცოცხალი აღარ არის. დიდი ხანი იყო ეს მოტივი აღარ გამხსენებოდა; არ ვიცი—მსმენელებზე ვიმოქმედე თუ არა, თვითონ მე კი საოცრად მომშალა ამ შორეული სიმღერის მოგონებამ შორეული ინდოეთის მიწაზე. ახლა აქ გამახსენდა, რომ თითქმის არც ერთ იმ პოეტთაგანს ხეირიანად არც კი დავმშვიდობებივარ.

სიმონოვმა ისევ თავისი „პროპოსკი“ წარმოთქვა, ამ შემთხვევაში უფრო ჩვენდა სიამოვნებისათვის, ვიდრე მასპინძელთათვის, რადგან მასპინძლებს მაინც, სულ ერთია, ამ ლექსისა არა გაეგებოდათ რა. სოფრონოვმა ისევ სიმღერით ისახელა თავი, ისევ მის ტიქსტზე კინოსურათისათვის დაწერილი მოტივი იმღერა. ტურსნზადემ ახლაც გვიშველა. უშველოს ღმერთმა, ორიოდე აღმოსავლური რუბაი წარმოთქვა ფარსის ენაზე. ხოლო გარეგინ სევუნცმა, რომელმაც სიმღერა არ იცის და ვისიმე ლექსიც უცბად აღარ გაახსენდა, ისე როგორც ეს თითქმის ყოველ ბელეტრისტს ემართება ხოლმე, გაშალა ხელები და რაღაც ლექურის მსგავსი ცეკვა დაუარა. მერე მტკიცება დაიწყო—სომხეთში სწორედ ასე ცეკვავენო.

შასპინძელს, გურბაჲშ სინგჰის სიძეს, ერთიანობის არ ამოუღია მთელი საღამოს განმავლობაში. იგი ეტყობოდა თავის საკომერსანტო ფიქრებში იყო გართული და, თუ დავიჩქარებდით და უკან ადრე გამოვბრუნდებოდით ჩანდა, მაინცადამაინც ჩოხის კალთებს არ დაგვაგლებდა. უპურმარილო კაცი კი, როგორც ეტყობოდა. არ იყო. ახალგაზრდა ქალი და ვაჟი ყოველწუთს გვაწოდებდნენ მოხალულ ნუშს, ტკბილეულსა-და ვისკის, რასაც ვერ იქნა და ვერ შევეჩვიე. მხატვრული ტერატურული, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნაწილის დამთავრების შემდეგ მიგვიწვიეს მეორე ოთახში გაშლილ სუფრაზე. აქაც გემრიელი საჭმელები, წითელი ქათმები და მწვანილი, ბოლლამა და პამიდორი; სოდიანი ვისკი; ქუჯა კაცი გურბაჲშ სინგჰი ვერცხლის შეალივით დასრიალებდა, რომ სტუმრებისათვის სათანადო პატივი ეცა და სუურა გაემხიარულებინა.

იმ საღამოსვე ამ დაუღალავმა მოხუცმა გვთხოვა ორი დღით თავის სახლში, ნიუ-დელიდან შორს, ფენჯაბში სტუმრობა. ჩვენ ეს მოწვევაც უყოყმანოდ მივიღეთ, რადგან ფენჯაბი დღემდე ნახულზე არანაკლებ გვაინტერესებდა.

ჭიშკრამდე ყველამ გამოგვაცილა. გულითადი მაღლობით დავემშვიდობეთ მასპინძლებსა და დამხვდურთ და. მგონი, ყოველი ჩვენთაგანის გული უფრო ამრიტას დაშორებამ დააღონა. იგიც, როგორც შევატყვეთ, მოწყენილი ჩაჯდა თავის ქმართან ერთად პატარა ინდურ ტაქსში, ერთ ხანს ჩვენს „პლიმუტს“ გამოჰყვა და მერე ქალაქის ქუჩებში თვალს მიეფარა. იმ საღამოს მან



ყოველ ჩვენთაგანს უძღვნა თავისი პატარა ლექსის
კრებული ყავისფერი ყდით და თავისი ლამაზი, დაზვე-
წილი ხელმოწერით — „ფრომ ამრიტა პრიტამ“.

ახლა კმარა. გავიდეთ ქალაქ დელიდან. წავიდეთ
ინდოეთის სხვა ქალაქებში.

* * *

ნიუ-დელიდან ქალაქ აგრისაკენ, ინდოეთის დიდ
მოგოლთა ძველი დედაქალაქისაკენ, საქმაოდ დაზიანე-
ბული გუდრონის გზა მიემართება. ისეთი, როგორიც,
სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ზოგიერთ
რაიონში. ასე რომ, ჩვენი მანქანები, საუკეთესო, კომ-
ფორტაბელური ავტოები, მიუხედავად მათი მშენების
ამორტიზაციისა, ხშირად ბურთებივით ხტოდა ჰაერში.
მივქროდით აგრისკენ დიდ საოცრებათა ნახვის მოლო-
დინით.

გავედით თუ არა დელიდან და დავადექით თუ არა
სოფლებსა, დიდ ტყეებსა და ტრამალებში მიმავალ
გზას, ხეებიდან და ციხეთა ნანგრევებიდან დაეშვა და
პირდაპირ წინ გადაგვიდგა აუარებელი მაიმუნი. ისინი
ჩვენკენ აბრაკებივით გამორბოდნენ. მანქანები გავა-
ჩერეთ და გადმოვედით. მანქანის მძლოლებმა გას-
ძახეს: ჰო, ჰო, ჰოოო! მაიმუნები მანქანებს გარს შე-
მოერტყნენ. მძლოლების ძახილზე ისინიც დაიძრნენ,
რომელნიც სადღაც შორს, ციხეთა ნანგრევებში იმყო-
ფებოდნენ, და მანქანების გარშემო უცებ უთვალავი
მიიმუნი შეიკრიბა. შოფრებმა მათ მიწის თხილი გადა-

უყარეს ხეირის საყურებლად და შეიქნა რია-როვენაზე მოვალეობა და გარემონტინი ერთმანეთს, თხილს ერთურთს ხელიდან და პირიდან ართმევდნენ, კიოდნენ, წიოდნენ, ზოგი დასისხლიანებული გარბოდა ხეებზე თავის საშველად. აგერ, თხილის ამ ნადავლის ხელში ჩასაგდებად ხეებიდან თრითინებიც ჩამოსრიალდნენ, სასწრაფოდ მოფრინდნენ ყვავებიც... ერთი სიტყვით, გადაიშალა სურათი: „რა ესმოდეს მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან...“ სრულიად რეალისტური სურათი. არ შეიძლება ეს სურათი არ ენახოს შოთა რუსთაველს. რა თქმა უნდა, მაშინ, რუსთაველის დროს, ათასჯერ მეტი მხეცი და მტაცებელი ფრინველი იქნებოდა ინდოეთში, ვიდრე დღეს, მტაცებელ ინგლისელთა და ევროპელთა აქ მოსვლის შემდეგ.

მოდიან მხეცები „სმენად“, ე. ი. საჭმლის საშორად. პატარა მაიმუნები დედებს მუცელზე ჰყავთ მიწებული, ისინი პირდაპირ ჩვენ წინ ჩაცუცქდნენ და მათხოვრებივით ხელებგაშვერილნი რაღაცას თავის ენაზე გვემუდარებიან. აგერ ერთმა მაიმუნმა მოიგდო ხელში თხილი, მას სხვები გამოედევნენ, იგიც სასწრაფოდ ხის კენჭეროს მოექცა და იქიდან ტარზანივით გაქანებული ხან ერთ ხეზე გადახტება, ხან მეორეზე. აგერ ერთ დიდ მაიმუნს ჩვენი მანქანა განსაკუთრებით მოეწონა. მისი სარკესავით მოქრიალე ფრთები და თვლების კრიალა ხუფები. რამდენჯერმე დინჯად შემოუარა გარშემო; მას სხვა მაიმუნები ერიდებიან, ეტყობა, ან მათი დიდი ბატონია, ან დიდი შარისთავი. მერე მანქანის მინაში ჩიიხედა, ძირს ჩა-

შოთა, მანქანის თვლის ხუფის სარკეში თავის მარტივი ული დაინახა, ხელი მოუთათუნა, ვერ მიგხვდით — მოეწონა თუ გაუწყრა. მე გამახსენდა: „მაიმუნმა თავის სახე სარკეში რომ დაინახა...“

როგორც იქნა გავაღწიეთ ამ გარეული მათხოვრების ბრძოს. რომელიდაც პატარა სოფელში შევედით. აქ კიდევ სხვა უცნაური სანახაობა დაგვიდგა თვალწინ: სოფელში ძროხა მომკვდარიყო. იგი იქვე ეგდო, სადაც უკანასკნელი სული ამოხდომოდა; რასაკირველია, მისთვის, აქაური წესის მიხედვით, ხელი არავის ეხლო. მძორს დასეოდა და ძიძგნიდა რამდენიმე ათეული დიდრონი სვაგი. ისინი თითქმის ერთმანეთს ზურგზე ასხდნენ, იყო გაბმული ყივილი და ძიძგილაობა. სვავების ამ გუნდში შიგადაშიგ ძალლები შემძერალიყვნენ მძორის საძიძგნად. სვავები მათ დაუზოგავად უნისკარტებდნენ თავში და გასისხლიანებული ძალლებიც სიმწრისაგან ყეფდნენ და წკავწკავებდნენ. მძლოლებმა ჩვენი მანქანები ამ სურათის ახლოს გააჩერეს. ჩვენ ერთ ხანს მანქანებიდან შიშით ვერ გადმოვედით, მაშინ მძლოლები მივიღნენ და სვავებს ჯოხები დასცეს თავში; არაფერი, სვავები ადგილიდანაც არ დაიძრნენ, მხოლოდ ისე შემოჰყრანტალეს და ერთი კი შეჩევითდნენ. მერე ისევ თავისი საქმე განაგრძეს. გარეგინ სევუნცი მანქანიდან გადმოხტა, ჩვენც მანქანიდან ჩამოსვლა გვთხოვა და ამ საოცარ სურათთან ჩვენც ჩაგვასურათა.

გავუდექით გზას. რანაირი ფრინველი და ცხოველი არა გვხვდება გზაში: თრითინები, ინდოეთის მწვანე

შოკრიახე თუთიყუშები, რომლებიც ჰაერში შეაღინებია
ჰგვანან მწვინე ხახვს, ქორები, ორები, გიტარები, ჭაო-
ბებში—წეროები და ყანჩები, გარეული იხვები და ბა-
ტები, პელიკანის მსგავსი რაღაც დიდი ფრინველები,
გზებზე: აქლემები, ურმებში—კუზიანი თეთრი ხარები,
ვირები; აგერ მინდორზე ფარშავანგი. ვეკითხებით
მძლოლს—ნეტავ ვისი უნდა იყოს ტყედ გაშვებული
ფარშავანგი? ვისი უნდა იყოს,—გვპისუხობს მძლოლი,—
ვისია ქორი?

სოფლის მახლობელ ტყეში ვეებერთელა ასწლოვანი
ხეების თავებზე ჰაერში დააბოტებენ სვავები. ეს სვა-
ვები ამ სოფლის მესაფლავენი ყოფილან; ეს ტყე ამ
სოფლის სასაფლაოა. აქ მოიტანენ საღამოს და დი-
ლით, თურმე, მიცვალებულის მარტო ძვლებიღა
ჰყრია. ამ ადგილებს ინდოეთში „დუმილის კოშკები“
ეწოდება.

აგრამდე გზაზე შეგვხვდა რამდენიმე ძველი სასახ-
ლე, რომლებიც აქაურებს დიდი მოგოლის ფადიშა აკ-
ბარის სასახლეებად მიაჩნიათ. ინდოეთში ბევრ რამეს
მიაწერენ აკბარის სახელს, ისე როგორც ჩვენში თამა-
რის ან დავითის სახელს. ეს ასეა ყველა ქვეყანაში,
ყველას ჰყავს თავისი აკბარი, იულიუსი, თამარი.

აგრაში სასტუმროს წინ რომ მანქანა შეჩერდა და
ჩამოგხტით, უეცრად თავზარი დამეცა. ზედ სასტუმ-
როს კარებთან ახალგაზრდა ინდოელს მთელ ტანზე
შემოხვეული ჰყავდა ვეებერთელა მოყვითალო მახრიო-
ბელა გველი. მას გველისთვის კისერზე ხელი წაეტანები-
ნა, გველს ენა გარეთ გადმოეგდო და მათრახივით ასარ-

სალებდა. საზიზლარ მომწუსხველ თვალებს აბრამის გვალების და იქვე მეორე ინდოელი ასეთივე გველის, ყვებერთელი პიტონის ტყავს ჰყიდდა ოცდათ რუპიად. სასტუმროში შესვლისა შემეშინდა, მეგონა იქაც რამე უბედურება დამხვდებოდა.

აგრა მეტად საინტერესო ქალაქია. აქ ედგათ ტახტი დიდ მოგოლებს ბაბურისა და ჰუმაიუნის შთამომავლებს, აკბარს, შაჰ-სელიმს, შაჰ-ჯაჰანს, აურენგზებს. აგრაში დგას ინდოეთის ერთი საოცრებათაგანი — ტაჯ-მაჰალი — სასახლეთა გვირგვინი, აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ენით აუწერელი ძეგლი, შაჰ-ჯაჰანის მიერ მეჩეთმეტე საუკუნეში აგებული მავზოლეუმი. შაჰ-ჯაჰანს იგი თავისი უდროოდ გარდა-ცვლილი მეულლისათვის აუშენებია. თოვლივით თეთრი მარმარილოსაგან აგებული ეს შენობა დგას ინდოეთის ერთი დიდი მდინარის — ჯამნის ნაპირად, მის მარცხენა მხარეზე. ტაჯ-მაჰალზე იმდენი რამ დაწერილა, რომ ჩვენ მასზე დიდხანს საუბარს აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ განცვიფრებას გამოვთქვამთ ადამიანის ყოვლისშემძლე გონებისა და მარჯვენის გამო, ამ შემთხვევაში ამ ძეგლის მშენებელთა საოცარი ოსტატობის გამო. გარედან იგი სინამდვილედ ქცეულ სიზმარს, ან რეალობად ქცეულ ზღაპარს წარმოადგენს. თითქოს ღრუბლის თეთრი ქულები დამსხდარან მიწაზე და განგების უხილავ ხელს მათგან გუმბათები და მინარეთები გამოუკვეთია. თვალის მოშორება გეშინიათ — უცემ ქარმა არ დაუბეროს და ეს საოცნებო ღრუბლის ქულები ისევ ცაში არ აიტაცოს.

მავზოლეუმის მსახურებმა ფეხსაცმელი დაგჭირდეს
და შევეღით დუმილით მოცულ, დლეს უკვე მუზეუმად
ქცეულ დარბაზებში. რა ხელმა გარდაქმნა პიტალო
მარმარილო უნაზეს ქსოვილებად; რა ხელმა მოქარგა
ეს კედლები მარმარილოს აშიებით; რა ხელმა გამო-
იყვანა ეს სახეები ძეირფასი თვლებით. კედლებზე —
ყვავილები, თუთიყუშები, გედები, წეროები, შავარდ-
ნები, ლომები, ვეფხვები, ავაზები, სპილოები, ირმები;
როგორი საგანგებო ზომიერება, როგორი დახვეწილი
გემოვნება, რა ფანტაზია და ოსტატობა! კედლები
მთლიანად ფარსულადაა შემოწერილი, ესაა ყურანის
მთელი ტექსტი. ყველაფერი ეს ნამდვილად თავბრუ-
დამხვევია.

შაჰ-ჯაჰანს, დიდ მოგოლს, თემურ-ლენგის მეათე
შთამომავალს, დიდი აკბარის შვილიშვილს (რომე-
ლიც, თავის მხრივ, იყო შვილი პუმაიუნისა და შვილი-
შვილი ბაბურისა) უცნაური ბედი ხვდომია წილად.
ამის შესახებ მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს ფრან-
გი მეცნიერი და მოგზაური ფრანსუა ბერნიე, რომე-
ლიც სწორედ იმ ამბავთა დამსწრე იყო, რაიც იმ
დროს ამ მეფის გარშემო და მის სამფლობელოში—
ინდოეთში ტრიალებდა.

შაჰ-ჯაჰანს ოთხი შვილი ჰყოლია: დარიოსი, სულ-
თან სუჯა, აურენგზები და მორად ბახში. სიბერეში
მისულ ფადიშას შვილებმა ტახტისთვის ერთმანეთს
აუტეხეს ბრძოლა, რომელიც მამამ ვერასგზით ვერ ჩა-
აქრო. აურენგზებმა ბრძოლებში, ინტრიგების გამოყე-
ნებით დახოცა ძმები, ავიდა დიდ მოგოლთა დინასტიის

ტახტზე და ლრმა მოხუცი მამა საკანში ჩასვა შდინალი
ჯამნას მარჯვენა ნაპირზე მდებარე აკბარის მაჭარეს მფრინავე
ბულ უზარმაზარ აგრა-ფორტში. რამდენიმე წლის გან-
მავლობაში მდინარის გაღმიდან გამოლმა უცქერდა
თავისი საყვარელი მეუღლისადმი, მისი ხსოვნისადმი
მიძღვნილ ტაჯ მაჰალს ტყვე ფადიშა და გარდაიცვალა
იქვე. აკბარის მრისხანე აგრა-ფორტში.

აურენგზები ბოლოს, მამის სიკვდილის წინ, რო-
გორც მოგვითხრობს ბერნიე, მამისგან პატიებას ით-
ხოვდა და მას ბევრ ლმობიერებით სავსე წერილსა
სწერდა ფორტში. ერთი ასეთი მისი წერილიც მოჰყავს
ფრანსუა ბერნიეს თავის წიგნში: „როგორც თქვენ მო-
გეხსენებათო,—წერდა აურენგზები შაჰ ჯაბანს,—როცა
თემურმა ტყვედ ჩაიგდო ბაიაზეთი*, ბრძანება გასცა
იმ დღესვე მიეყვანათ იგი მასთან და, სახეზე რომ და-
აცქერდა, დაიწყო სიცილი, რაზედაც ბაიაზეთმა სევ-
დიანად უთხრა: „ნუ დამცინი, თემურ, ნუ დასცინი
ჩემს უბედურებას, იცოდე, რომ სამეფოებსა და იმპე-
რიებს ანაწილებს ლმერთი და ხვალ შენც შეიძლება
ისეთივე ბედში ჩავარდე, რა ბედშიც მე დღეს ვიმყო-
ფებიო“. ამაზე თემურმა ლრმაზროვნად და ზრდილო-
ბიანად უპასუხა: „მე შენზე უკეთ ვიკი. ბაიაზეთ, რომ
სამეფოებსა და იმპერიებს ლმერთი ანაწილებს, მე არ

* სულთანი ბაიაზეთ პირველი თემურმა ტყვედ ჩაიგდო 1402
წელს. თემურს იგი რკინის გალიაში ჰყავდა ჩამწყვდეული და ეს
გალია თან დაჭრონდა ყველგან, სანამ ბაიაზეთი 1403 წელს არ
გარდაიცვალა.



დავცინი შენს უბედურებას, ლმერთმა დამითაროს, უკავშიროს
რამ როცა მე შენს სახეს ვაკვირდები. თავში შომდის
აზრი, რომ ეს სამეფოები და იმპერიები ალბათ ლვითი-
სათვის და იქნებ თავისთავადაც არაფერსაც არ წარ-
მოაღვენენ. თორემ რატომ აძლევს ლმერთი მათ ისეთ
უშნო აგებულების მქონე ადამიანებს როგორიც მე და
შენა ვართ — შენ. ცალთვალა უბედურ ბრძას და მე—
საწყალ ხეიბარსაო“.

ეს ამონაწერი ისე, ამ ნარკვევის გასამხიარულებ-
ლად მოვიყანე.

დაბლა. ჯამნას კრიალა ზედაპირზე ზვირთებს დას-
თამიაშებენ და აწკუმპლებენ მკვირცხლი მერცხლები,
მაღლა, ტაჯ-მაჰალის ცაში, ზაფხულისებურად გაშლილ
ტატნობზე დინჯად დაცურავენ აოწივები და შორს
სადღაც მიფრინავენ სვავები, ალბათ „დუმილის კოშ-
კებისაკენ“.

ახლა მდინარე ჯამნას გალმიდან, მარჯვენა მხრიდან
მოვუარეთ და აკბარის ციხე-სიმაგრეს, მრისხანე აგრა
ფორტს მივადეჭით. თანამედროვე სამხედრო ტექნიკით
შეჭურვილ სახმელეთო ძალებსაც კი გაუჭირდებათ ამ
სიმაგრის ალება ბომბდამშენი ივიაციისა და სადესან-
ტო ნაწილების გარეშე. გარშემო ფართო, ღრმა თხრი-
ლები, რამდენიმე წყება კლდესავით გაუტეხელი კედე-
ლი, უმძიმესი რკინის ურდულებით დაცული კარები,
კედლების შიგნით კიდევ რაღაც სიმაგრეები და კლი-
ტულები; ერთი სიტყვით, ეს ციხე თავის დროზე მხო-
ლოდ აუღებელი სიმაგრე იქნებოდა და აკი არც არა-
ვის აულია საერთოდ ინდოეთის დაცემამდე. ამიტომაც



ფორტი დღემდე შემონახულა დაუნგრევლად ჭრიადი ველადი სახით. ახლა ამ ფორტში არავინ ცხოვრობს და ეზოში მხოლოდ მაიმუნები შემოგვეგებნენ. ფორტიდან, სწორედ შაჳ-ჯაჳანის საკანიდან გავხედეთ გალმა ტაჳ-მაჳალს. დიდებული სანახაობაა.

აგრა-ფორტიდანაც ბევრი რამე წაულიათ ინგლისელებს, — კედლის მხატვრობა, ძვირფასი თვლები, ორნამენტები. ახლა ეს გაძარცული კედლები და დარბაზები, ეს ძვირფასი სასახლეები გაუპატიურებულსა ჰგავს. ინდოეთის მეცნიერები დღეს დიდ მუშაობას. ეწევიან თავიანთი მშობლიური ისტორიული სიმდიდრის მისაგნებად. სახელმწიფო ცდილობს შეიძინოს და უკანვე მოიტანოს ის სამშობლოში, მაგრამ ამ საქმეს იმდენი სახსარი და თანხები სჭირდება, რომ ბიუჯეტიდან მისი გამონახვა შეუძლებელია, ხოლო ხალხში მის შეგროვებას აქამდე ვერ ახერხებენ. ასე იკარგება ამ ძეგლების ძვირფასი სამკაულები შორეული ქვეყნების მიწაზე.

ფორტიდან დაბრუნებისას გზაზე ვუცემირეთ კობრისა და მანგუსტის ბრძოლას. მე ამ სურათს ახლოს ვერ მივეკარე, იმდენად თავზარდამცემი იყო გველის განწირული შიშინი და ქშენა, მანგუსტის უსწრაფესი შემართება, ორ წუთში მრისხანე გველი უკვე ყმლგა-მოჭრილი ეგდო მიწაზე.

აგრიდან ოცი მილის მანძილზე მდებარეობს ფატე-ჰელ-სიკრი — მკედარი ქალაქი. იგიც აკბარის აშენებულია, დიდი მოგოლების დინასტიის მესამე იმპერატორია, ჰუმაიუნის („ბედნიერის“) შვილისა. აკბარმა ეს



ქალაქი თავის შვილს აუშენა, სწორედ ამ აღგილს უთხული
რა მას მარჩიელმა, რომ შვილი ეყოლებოდა. შვილის—
სელიმის დაბადების აღსანიშნავად მას აქ დედაქალა-
ქის გადმოტანაც განუზრახავს, მაგრამ ამ ქალაქმა
მხოლოდ თექვსმეტ წელიწადს იცოცხლა. უეცრად ქა-
ლაქს წყალი დაეკარგა და უწყლო ქალაქიც ყველამ
მიატოვა. აკბარის სიკვდილის შემდეგ ამ ქალაქს „ინ-
დოეთის მიტოვებულ დედაქალაქს“ უწოდებენ.

ეს ქალაქი სავსეა უშესანიშნავესი არქიტექტურული
ძეგლებით. ბრწყინვალე მარმარილოს სასახლეები, ციხე-
კოშკები, სამლოცველოები, აბანოები, გასართობები,
საჯინიბოები; ყველაფერ ამაში დღეს დაფრიალებენ
მწვანე თუთიყუშები და ერთმანეთს კედლიდან კედელ-
ზე გასჭყივიან. ქვებში დასრიალებენ მსხვილი ხვლი-
კები და ქალაქის მაღალ კედლებზე ქონგურებივით
სხედან სვავები. აქ არავინ ცხოვრობს, არის დუმილი
და სიცარიელე.

ქალაქის შუაგულ მოედანზე ახლაცაა ვეებერთელა
რკინის პალო, რომელზედაც თურმე გაწვრთნილ სპი-
ლოს აბამდნენ; ეს სპილო ფადიშა აკბარის ბრძანებით
ფეხებით ჭყლებიდა სიკვდილმისჯილ დამნაშავეს.

ჩვენ აკბარის სასახლეში შევედით, ავედით მეორე
სართულზე, მსაჯულთა სხდომის დარბაზში. მე იმ აღ-
გილზე დავჯექი, სადაც აკბარი, აღმოსავლეთის ეს
მრისხანე მბრძანებელი ჯდებოდა სხდომის დროს. ინ-
დურად მოვირთხი ფეხი, იქვე გაჩნდა გარეგინ სევუნ-
ციც, თავისი ფოტოაპარატით.

მარმარილოს ულამაზესი აბანო. მართლაც რა იქნე-




ბოლა იგი, როცა აქ წყალი დიოდა! შეიხ-სიმარტინი
საფლავი, თეთრი მავზოლეუმი, დღესაც მოქმედი სამ-
ლოცველო; აქ ახლაც აწყვია ცოცხალი ყვავილები და
რაღაც რელიგიური შესაწირავები. აქაც ნაქარგი მარ-
მარილო, დიდი გემოვნებით წვრილად ამოჭრილი სახე-
ებითა და აშიებით.

რამდენიმე საათი ვიხეტიალეთ მკვდარ ქალაქში.
ავედით მაღალ კოშკებზე და გავხედეთ ინდოეთის გაშ-
ლილ ტრამალებს, შორეულ ტაძართა გუმბათებს.


„მკვდარი ქალაქიდან“ „გამარჯვების კარებით“ გა-
მოვედით, ეს ალაყაფის კარები ყველაზე მაღალი კა-
რები ყოფილა მთელ აზიაში. იგი აქბარს სამხრეთ
ინდოეთზე გამარჯვების აღსანიშნავად აუგია.

აგრაში ორდლიანი მგზავრობის შემდეგ გავემგზავ-
რეთ ისევ დელისკენ, სადაც გადაწყვეტილი გვქონდა
ახალწლის შეხვედრა.

დელი დელის გვირგვინია „წითელი ფორტი“, დი-
დი მოგოლების ყველაზე შესანიშნავი ციხე-სიმაგრე.
ამ ფორტის დაცემით საბოლოოდ დაეცა ინდოეთის
სამეფო, საბოლოოდ, ორასი წლით, დაესვა წერტილი
ინდოეთის დამოუკიდებლობას და ქვეყანაში გამეფდა
ინგლისის მეფის ნაცვალი. ორასი წლის შემდეგ, ინ-
დოეთის განთავისუფლების დღეს, ეროვნული დროშა
ამ ციტადელზე, „წითელ ფორტზე“ აფრიალდა და ამ
დროშამ ამცნო ხალხს ქვეყნის თავდახსნის სანუკვარი
ამბავი. ეს ფორტი ინდოეთის დამოუკიდებლობისა და
თვითმყოფობის სიმბოლური სიმაგრეა. იგი ინდოეთის
კრემლია. დიდი მოგოლების მეფობის მთელ მანძილზე



ପାଲକୁଣ୍ଡଳ. ମୁଖ୍ୟତରିଃ ମହାମହାଦୀନେ ରାଜ୍ୟରୁଥିବା.



ମାଲ୍ଲପୁଣ୍ଡିତ ଜୀବନିକାରୀଙ୍କ ଶରୀରରେ ହରିଲାଭାନ୍ତରୀଳ ଦେଖାରୀ ।

„წითელი ფორტი“ არავის შემოუნგრევია, მხელული უკანასკნელ დროს აულია იგი ნადირ-შაპის და უცხოულის „ფარშავანგის ტახტი“. როცა „წითელი ფორტის“ მაღალ ალაყაფში შევდგით ფეხი და ციხე-სიმაგრის ეზოში შევედით, მე უცებ გავითვიქრე: ვინ იცის, იქნებ ნადირ-შაპის აქ ლაშქრობის დროს ამ ფორტის ჭიშკარში პირველმა ცხენი ჭაბუკმა „პატარა კახმა“ შემოაგელვა. უცებ თვალშინ დამიდგა სურათები ნადირ-შაპის ლაშქრობიდან, რომლებიც ასე საინტერესოდ გადმოგვცა ქიშმიშოვმა თავის წიგნში „ნადირ-შაპის ლაშქრობანი“. ამ ციხე-სიმაგრეში თვალს ახლაც ხიბლავს მარმარილოსაგან ნაგები საოცნებო წყალვარდნილები, ზღაპრული შენობები. ამ ფორტის კედელზე ასეთი დაყინებითი წარწერაა: „თუ ამ ქვეყნად არსებობს სამოთხე,— იგი აქ არის, აქ არის, აქ არის“.

აქ ერთ რასმე დავუმატებ:

როცა აზის მწერალთა დელის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა — შემდგომი კონფერენციის საბჭოთა კავშირში, უზბეკეთის ქალაქ ტაშკენტში მოწვევის შესახებ, როგორც ზემოთ ვთქვით, დამსწრეებმა დიდი აღფრთვანებით დაპკრეს ტაში. ზოგ-ზოგებმა სიხარულით წამოიძახეს: — სამარყანდი!

ჩვენი სამარყანდი ინდოეთში მრავალთათვის, ეტყობა, ისეთივე საოცნებო და სიზმარეული ადგილია, როგორც, საერთოდ, მუსლიმანთათვის ქალაქი მექა. მათ ინდოეთის მრავალ საოცრებათა მნახველთ, ჩვენი შუა აზის ამ ქალაქზე ფანტასტიური წარმოდგენა აქვთ და ამაში, მართალი უნდა ითქვას, ისინი არც ცდებიან.

ჩეენ სხვისი გვიკვირს, ამავე დროს კი ჩეენი სამართლები ყანდი მართლაც რომ ერთი უშესანიშნავესი და უმოწვევები ვალე ძეგლებით უმდიდრესი ისტორიული ქალაქია მთელ აღმოსავლეთში. მე, მაგალითად, ინდოეთის საოცრებათა გვერდით დავაყენებდი სამარყანდის დიდებულ შაჰი-ზინდეს, ან თუ გნებავთ, თემურიდების პანთეონს, ან კიდევ თვითონ თემურ-ლენგის საუკუნეების განმავლობაში საიდუმლოდ გადამალულ და ახლახან, სწორედ სამამულო ომის წინადლებში აღმოჩენილ სამარხს, თემურიდების პანთეონის ქვემოთ ღრმად ჩათხრილ მიწის სარდაფში.

სამარყანდის მუზეუმიც ხომ ერთი უმდიდრესი მუზეუმთაგანია არა მარტო ჩეენს ქვეყანაში. სხვათა შორის იქ შენახულია მუმიები თვითონ კოჭლი თემურისა და მისი უსაყვარლესი ცოლის ბიბი-ხანუმის, რომელსაც სიკვდილის შემდეგ თემურმა ასე შესანიშნავი მეჩეთი აუგო ცამდე აზიდული მინარეთებით. აღბათ თემურ-ლენგს წაბაძა მისმა მეათე შთამომავალმა (როგორც ამას ინდოეთში ანგარიშობენ) შაჰ ჯაჰანმა, საყვარელი მეულლისათვის ტაჯ-მაჰალის აშენების დროს. სამარყანდი არც ერთ ინდურ ძევლ ქალაქზე ნაკლებ შთაბეჭდილებას არა ტოვებს.

როგორც მეცნიერები ამბობენ სამარყანდი მთელს აღმოსავლეთში (მე მგონი მთელს მსოფლიოში) ერთერთი ქალაქია, რომელიც დაარსების დღიდან, მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გადარჩენია მტრის დამანგრეველ ხელს და დღესაც ისე გამოიყურება, როგორიც იყო იგი პირველ საუკუნეებში. სამარყანდე-

ლები ახლაც აშაკობენ თავისი ქალაქის ასეთი შეუტევდებულობით და ისტორიის ქარტეხილებში გამძლეობით. მათ ახლაც სჯერათ, რომ იმპერატორმა ისკანდერმაც ვერაფერი დააკლო მათ ქალაქს და სწორედ სამარყანდის მისადგომებთან მოწამლა იგი უზბეკმა ქალმა; რაიც რასაკვირველია ლეგენდა; იმპერატორი ისკანდერი— ალექსანდრე მაკედონელი, სამარყანდში არა ყოფილა და სიკვდილითაც, როგორც ცნობილია, სულ სხვაგან გარდაიცვალა.

ინდოეთში სამარყანდს თავისი სიძველითა და არ-ქიტექტურის ბრწყინვალებით უფრო ქუთუბ-მინარი მოგავინებთ; სასახლეთა და სალოცავთა ნანგრევებით, უნივერსიტეტის თუ აკადემიის ნანგრევებით, აშოკის ბრინჯაოს სვეტით. მაგრამ ეს მხოლოდ ნანგრევებილაა, განთქმული მრავალსართულიანი კოშკის გარდა, რომელიც უკვე როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ძეგლია, სელჯუქთა „მონების დინასტიის“ დროინდელი.

ახალ წელს ჩვენს საელჩოში შევხვდით. მიუხედად იმისა, რომ ინდოელები ახალ წელს პირველ იანვარს არ დღესასწაულობენ, ჩვენ ერთბაშად სამი ახალი წლის სადღეგრძელო შევსვით იმ ღამეს: დელის, მოსკოვის და თბილისისა. თამაღად თვით ჩვენი ელჩი ავირჩიეთ, რომელსაც ერთ ხანს სრული დისკიპლინის შეგნებით ვუსმინეთ, მერე კი სუფრაზე ცალ-ცალკე ჯვუფებმა თავისი დამოუკიდებელი რესპუბლიკები შექმნეს და მხიარულებაც დაიქსაქსა. და დანაწევრდა. მერე გახურდა თავბრუდამხვევი „ცეკვები დილამდე“.

ახალწლის დილით მე ჩვენი სასტუმროს ეზოში

გრილ მოლზე დავწექი გულალმა და დიდხანს გუცელ-
დი ცაში მონავარდე მერცხლებს, ისე როგორ გუცელს
ვობაში, შუა ზაფხულის ხვატიან დღეს.

მეორე დღეს ბომბეისაკენ გავფრინდით და ლამის
თერთმეტ საათზე, როცა მოსკოვის დროით ცხრის
ნახევარი იყო, ჩვენ ბომბეის აეროდრომზე ვისხედით.

ბომბეი დიდი ევროპული ქალაქია. ერთსართულია-
ნი დელის შემდეგ ჩვენ თვალწინ აღიმართა ევროპუ-
ლად მრავალსართულიანი დიდებული შენობები. ეს
შენობები არაბეთის ზღვის სანაპიროზე უფრო გალერებ-
სა ჰგავს. ჩვენ ზედ ზღვისპირად ჩამოვხტით მშვენიერ
ევროპულ სასტუმროში. ზღვაში დგას ინდოეთის „ფლო-
ტი“. მე ეს სიტყვა წინწკლებში ტყუილად როდი ჩავ-
სყი. ასევე წინწკლებში შეიძლება ჩაისვას ცნდოეთის
სახმელეთო სამხედრო ძალების საომარი ტექნიკაც. მაგა-
ლითად „ტანკები“. ეს პირველი მსოფლიო ომის დროს
პირველად გაკეთებული მანქანები ფუხფუხებენ ინდოე-
თის ჯარის სასწავლო ბანაკებში და რესპუბლიკის ჯავ-
შან სატანკო ნაწილები მათზე ვარჯიშობენ. დღეს ეს
იარაღი უბრალო ხის ჯარასავით გეჩვენებათ.

სასტუმროში შესვლისთანავე ჩავრთეთ ვენტილატო-
რები, ეს ვეებერთელა ვენტილატორები, რომლებიც
მთელ ჭერს ფარავს და ჰელიკოპტერების პროპელერებსა
ჰგავს. გეგონებათ აგერ მთელ შენობას ცაში ააფრე-
ნენ. ამათ გარეშე მართლაც დაიწვოდა იქ კაცი, მით
უმეტეს ზაფხულის თვეებში. სხვათა შორის. იქვე უნდა
ვთქვათ, ჩვენში რომ სახლებში ცენტრალურ გათბობას
ვაწყობთ, ინდოეთში ცენტრალური გაგრილების რა-



დიატორებს ატანებენ ხოლმე კედლებში. სასტუმროში საწოლებზე ჰეწრებია საბნების მაგივრად, ისიც ჰლიათ მხოლოდ ზამთრის თვეებში.

სამი იანვრის დილა ბომბეიში ისეთი ცხელი გათენდა, როგორც ჩეენში სამი ივნისი გათენდეს.

ქალაქზე ქარხნების სქელი, ნაცრისფერი კვამლი დგას. მე ვიწყებ ფიქრს ლექსზე, ასეთი პირები სტრიქონებით: „ვარ ჩახრუკული, ვარ ჩამდნარი ქალაქში, ჯამში, ბომბეის ცეცხლი ეკიდება იანვრის სამში...“ ქუჩებში ჯერ კიდევ მიცვალებულებივით სუდარაში გამოხვეული ჰყრიან უსახლკარო ლამისმთევლები.

მცირე საუზმის შემდეგ დავტოვეთ სასტუმრო და არაბეთის ზღვისპირს მივაშურეთ სიცხისაგან თავდასახსნელად. დავიქირავეთ მოტორიანი ნავი და გავცურეთ ჯუნგლებისაკენ. ორი საათის ცურვის შემდეგ გადმოვხტით კუნძულ „ელეფანტაზე“, მივადექით დიდ გამოქვაბულს კლდეში. ეს უძველესი გამოქვაბული, ინდური ძეელი რელიგიური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, პორტუგალელებს დაუნგრევიათ მეთოთხმეტე საუკუნეში, მაგრამ სალი კლდისგან ნაქანდაკარ ბევრს რასმე ვერ მორევიან და ეს დიდებული ძეგლი მაინც ზეიადად იცქირება ამ პიტალო კლდიდან.

შივა—ქვეყნის შემქმნელი ლერთი ინდოეთისა, პარგატი—შივას მეულლე, სპილო-განეში—შივასა და პარგატის შვილი, არწივი ვიშნუ. ბრაჟმა და სხვა ღვთაებანი ისევ ისე იცქირებიან, როგორც ათეული საუკუნეების წინათ. როცა აქ პორტუგალელები მოვიდნენ, ამ კლდეზე, გამოქვაბულის წინ გამოკვეთილი ყო-

ფილა უჩარმაზარი სპილო, ამის გამო დაუტემიშვილი
პორტუგალელებს მთელი ამ კუნძულისათვის კუნძულის
კუნძული — „ელეფანტა“.

შივას რვა ხელში რვა სხვადასხვა იარალი უჭირავს; შივა ერთპიროვანი არაა, შივა არის შემოქმედი, მცველი და დამანგრეველი. დამანგრეველ შივას გვირგვინზე თავის ქალა ახატია, ხელში გველი — კობრა უჭირავს. შივა-მცველს ხელში ლოტოსის ყვითელი აქვს, თმებში ინდოეთის სამი მდინარე: განგი, ჯამნა და სარსვატი. ელეფანტის გამოქვაბულში, ისე როგორც ჩვენს ვარძიაში, მშვენიერი ცივი წყარო გამოდის. ელეფანტის კუნძულზე საუკუნეების განმავლობაში მიმღინარეობს გათხრები და სამეცნიერო სამუშაოები.

კუნძული სავსეა მაიმუნებით. ცაში ზედ ოქვენს თავზე მძიმე ბომბდამშენებივით დაფრინავენ სვავები, ისინი ფრთების ისეთი შრიალით ჩამოგიქროლებენ, რომ შეგაკრთობენ კიდეც და ხელში კეტს იგაღებინებენ. შევარდნები სვავებში ისე სრიალებენ, როგორც ჩვენი ივოოგამანადგურებლები, „იაკები“.

დავრწყულდით ქოქოსის კაკლის წყლით, რომელსაც იქვე ჰყიდიან ინდოელი ბავშვები. ქოქოსის კაკლის წყალს რილაც მარილიანი მოტკბო გემო აქვს, არცთუ ისე ცივია და მისი შესმა მაინცდამაინც დიდი ნეტარება არია.

უკან დაბრუნებისას ჩვენი კატერი თავის ადგილზე აღარ დაგვხვდა. უკუქცეულ ზღვას იგი შორს გაეთრია.

ბომბეიში დაბრუნებისთანავე გავწიეთ ბომბეის ცნობილი „დაკიდებული ბალისაკენ“. ეს ბალი მაღალ მიწა-



ყრილზეა გაშენებული, ქალაქის ერთ ლამაზ ადგილია
იგი ქალაქს მაღლიდან დასცერის და სახელწოდებაც
აქედან მიულია.

ჩვენი ფუნიკულიორისა და კომპავშირის ხეივნის
მსგავსი მაინც ამ ბაღში არაფერია. ასეთ ბაღს თუ და-
კიდებული ჰქვია, ჩვენს ფუნიკულიორზე რაღა უნდა
ითქვას?

ქალაქი ბომბეი ამ ბაღიდან კარგად ჩანს. ჩვენ ვზი-
ვართ კაფეში და გადავცემერით ქალაქს, არაბეთის
ზღვის ნაპირებს. სანაპიროზე, ისე, როგორც ლენინგ-
რადში, ნევის პირას, ჩამწკრივებულია მშვენიერი თეთრი
სასახლეები, სასტუმროები, მაღაზიები, კაფე-რესტორ-
ნები. პლიაზზე ათასეული მოქალაქე ბანაობს. ჩამავალი
მზე ბაღის პალმითა ხანჯლებიგით გაწვდილ ტოტებში
ისე ფრთხილად მიიპარება, თითქოს დაჩვლეტის ეში-
ნოდეს, მიგრამ საღამოს ნიავი ზედ გულზე აჯახებს ამ
ხანჯლის ბასრ წვერებს. ბაღიდან შორს მოჩანს შავი
ტყე, ესეც აქაური „დუმილის კოშკი“. ტყეზე ნელა
დაბოტებენ სვავები.

„დაკიდებული ბაღიდან“ სასტუმროსაკენ ბომბეის
ერთ-ერთი მთავარი ქუჩით, „სახალხო ქუჩით“ დავეშ-
ვით. ეს ქუჩა წარმოადგენს არა მარტო ამ ქალაქის,
არამედ მთელი კაპიტალისტური სამყაროს სამარცხევი-
ნო შავ ლაქას, სამარცხევინო სანახაობას. ამ გრძელი
და ფართო ქუჩის ორივე მხარე უჭირავს საროსკიპოებს,
საღაც ვაჭრობა აშკარად ხდება. საროსკიპოების
ვიტრინებში სხედან და მუშტარს ელოდებიან გასაყი-
დი ქალები, ისე როგორც მაღაზიაში რაჩმე საქონე.

ლი. ეს მართლაც ამაზრჩენი სანახაობაა. ლამით დაშინებული ჩაზე გავლა დიდად საშიში ყოფილა. ხშირი ყოფილა შემთხვევები მკვლელობისა, უგზო-უკვლოდ დაკარგვისა, ძარცვისა და თავდასხმებისა. ქალაქის აღმინისტრაცია, სახელმწიფო ორგანოები უძლურნი ყოფილან ამ საშინელების წინაშე.

იმავე სალამოს ბომბეიდან გავფრინდით. ნაკპურში მცირე ხნის შესვენების შემდეგ ლამით ჩავფრინდით ქალაქ კალკუტაში.

კალკუტა კიდევ უფრო დიდი ევროპული ქალაქია. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთის (და ალბათ აღმოსავლეთის) ყველა დიდ ქალაქს თავისი ძველი ნაწილიც გააჩნია. მეტად საინტერესოა ქალაქ-თა ეს ძველი ნაწილები; ისინი თითქმის სავსებით დამოუკიდებელნი არიან. თავიანთი ადათ-ჭესები და კანონები გააჩნიათ და დიდად განსხვავდებიან ქალაქების ახალი, ევროპული ნაწილებისაგან, ისე, როგორც ოდესაც ძველი თბილისი განსხვავდებოდა ახალი თბილი-სისაგან. ძველ ქალაქებში ერთმანეთზე არიან მიყრილნი დუქნები, ჩაიხანები, საწვრილმანოები, მკალავები, მეფიართლები, ფინანსები, ბეტელის გამყიდველები, მესაკრავები, ნალბანდები, მექუდეები და ვინ იცის კიდევ რა და ვინ. ვიწრო ფოლორცებში ერთმანეთს ჰედ ასხლებიან მანქანები, რიქშები, ურიკები, მოტოციკლები, ველოსიპედები, ძქლებები, ვირები, კუზიანი ხარები, ცხვრები და ვინ იცის კიდევ რა და ვინ. არის გაბმული ყვირილი და ჭყვიტინი, გინება და ფურთხება. პირდაპირ კალთაზე გექაჩებიან ვაჭრები — არა ჩემს დუქინ-

ში შემოდი, არა ჩემს დუქანშით. ერთი სიტყვის გორც გავიგონიათ აღმოსავლური ბაზარი, მთელი თავისი ეგზოტიკით.

ამ ძველ ქალაქებში და, ჩვენ ვიტყოდით, მთელ ინდოეთში გცემთ რაღაც თავისებური, სპეციფიკური სუნი, რომელიც მხოლოდ ამ ქვეყნისთვისაა დამახსიათებელი. იქნებ ეს ბეტელის სუნია, იქნებ რაიმე სალებავის სუნია? ყოველ შემთხვევაში ეს სუნი უფრო საგრძნობია ქალაქთა ძველ, აზიურ ნაწილებში. სადაც მეტია სიბინძურე და დარღვეულია სანიტარიის ყოველგვარი კანონები.

ქალკუტის ლირსშესანაშნავ ადგილთა და ძეგლთა დათვალიერება ჩვენ ინგლისის დედოფლის ვიქტორიასადმი, ტაჯ-მაჰალის მიბაძვით, აშენებული სასახლიდან დავიწყეთ. აქ ახლა ინდოეთის ნაციონალური მუზეუმია მოთავსებული. ეს არის მუზეუმი კოლონიალიზმის ისტორიისა ინდოეთში. აქ თქვენ ნახავთ ინგლისის მეფისნაცვალთა ძეგლებს, ქანდაკებებს, სურათებს. მუზეუმის წინ, ეზოში დგას ლორდ კერზონის ვეგებერითელი ძეგლი. ინგლისელ მძარცველ გენერალთა და სხვა სამხედრო პირთა შორის, ჩვენ ვიტყოდით, სრულიად ლოგიკურად მოთავსებული დიდი ინგლისელი პოეტის რედიარდ კიპლინგის სურათიც. მუზეუმის ერთმა ინდოელმა თანამშრომელმა, რომელიც მუზეუმის ექსპონატებზე ახსნა განმარტებას გვაძლევდა, ამ სურათზე ასე თქვა:— ეს კაცი არის პოეტი, მწერალი, რომელიც ძალიან ცუდ რასმე წერდა ჩვენი ქვეყნის შესახებ. მერე მეორე მხარეზე მივვახედა და გვითხრა:— აი ეს, ჩვენი სამშობ-



ლოს დიდი ქომაგი და დიდი სიამაყეაო. იმ კი მისი მიზანი ეკიდა რაბინდრანათ თაგორის სურათი.

რაბინდრანათ თაგორის სახლი კალკუტაში ე. წ. მუსლიმანთა კვარტალში დგას. ამ კვარტალში, როგორც ამბობენ, ყოველდღე ხდება მუსლიმანთა და ინდუისტთა შეჯახებები და დაკადაკა, არაიშვიათად მკვლელობანიც. თაგორის სახლი ჩითპურის ქუჩაზეა, გიტრო აზიურ ქუჩაზე. სახლი კარგა მოზრდილია, გრძელი, ძველი, თითქმის უკვე დამპალი აიგნით. იგი საფეხბით უპატრონოდაა მიტოვებული. მემორიალური დაფაც კი არ გააჩნია. ქვის იატაკიანი ოთახი, სადაც მომკვდარია ეს დიდი მოაზროვნე, თითქმის ცარიელია. მხოლოდ კედელში დატანებული განჯინა ჩანს და ოთახის შუაგულში რაღაც მაგიდის მსგავსი. კარ ფანჯრებზე ყვითელი ფარდებია ჩამოკიდებული. ელექტროგაუყანილობა ძველთაძველია და შიგ ალაგ-ალაგ ჩამოგლეჯილი. შესასვლელ კარებს გარედან დარაბები აქვს და მთელ მოაჯირზე ჰქილია აგრეთვე ძველი და ალაგ-ალაგ დაგლეჯილი ჭილის ფარდები. სახლს ეტყობა პატრონი არავინ დარჩენია, ხოლო სახელმწიფოს იგი თავის მზრუნველობაში დღემდე არ აუღია. არის ეს წმიდა ადგილი, აღმოსავლეთის დიდი მომლერლის დაცლილი ბუდე ასე უპატრონოდ, უზედამხედველოდ, გულშემატკივარი ადამიანის თვალყურის გარეშე.

განგის პირიად კალკუტის ცნობილი ბოტანიკური ბაღია გადაშლილი, ამ ბაღში საოცრებას წარმოადგენს „ბანიანის ტყე“. მთელი ეს ტყე შედგება ერთი ხისაგან, რომელსაც ტოტებიდან დაბლა დაუშვია და მიწაში ჩაუ-



რქვია ახალი ფესვები. ეს ფესვები ახალ ხეებად ქართული თავის მხრივ ახალი ტოტები გამოუსხამთ, რომელთაც, აგრეთვე თავის მხრივ, ახალი ფესვები ჩაუშვიათ მიწა. ში და ასე და ამგვარად წარმოქმნილა მთელი ტყე, სადაც ამჟამად 947 ხეა. 1927 წელს ამ ხეს ე. ი. მთავარ ხეს, დედა-ხეს თეთრი ჭიანჭველები შესევია ტანში. (ეს ჭიანჭველები დიდი ზომისანი არიან და ინდოეთში თურქე მთელ ტყეებს ანადგურებენ) და რომ უბედურება სხვა ხეებსაც არ გადადებოდათ, იგი მოუჭრიათ. ასე რომ დღეს მთელი ეს უზარმაზარი ტყე თითქოს ჰაერშია გამოკიდებული კალკუტის ამ ცნობილ ბოტანიკურ ბაღში. მთელი ტყე ერთმანეთზე სიამის ტყუპებივთაა გადაბმული და მისი ტოტების ჩრდილოში საგანგებო სიგრილეა. მზე და ზეცა ყოველთვის დახურულია ამ დიდი, ბუნებრივი ქოლგის ქვეშ.

დავადექით გზას ბენგალისაკენ. ბენგალი ინდოეთის ის მხარეა, საიდანაც დაიწყო ინგლისელთა მასობრივი შემოსვლა ინდოეთში. აქ ჩამოყალიბდა პირველად ოსტინდოეთის კომპანია, რომელმაც ამ ქვეყანაში ბრიტანეთის ლომის ბატონობა მოიტანა. სამაგიეროდ ბენგალი ცნობილია აგრეთვე თავისი რევოლუციური მოძრაობითაც. იგი ინდოეთის რევოლუციური მოძრაობის ცენტრია. ინგლისს ინდოეთში თავისი ბატონობის დროს ყოველთვის ბენგალელები უშრობდნენ სისხლს.

ჩაეჭარეთ ბენგალის სოფლებს. ბენგალის სოფლები ინდოეთის სხვა კუთხეებთან შედარებით უფრო მდიდარი სოფლებია, ხალხიც შედარებით ფერხორციანი და უფრო მხიარული, ვიდრე ჩვეულებრივი, ზოგჯერ



ფლეგმატური ინდოელი გლეხები. შრომის პირზე მართვის კი ეტყობა აქაც ძალზე მძიმეა. წელამდე დგანან წყალში და იღებენ ბრინჯას, ძნებს აწყობენ გრძელ, წვრილ ნავებზე და ბრინჯის ნამჯებში მიცურავს ნავი. ბრინჯის ყანებში, წყალში პატარა ხელის ბადეებით თევზსაც იჭერენ. ეს წვრილი თევზი, ალბათ უგემურია, როგორც ყველა ტბის თევზი.

აგერ გზის პირას პატარა ბიჭმა, რომელიც ძლივს ჩანს წყალში, ბადე ამოსწია და თევზი ამოიყვანა. უნდა ნახოთ, როგორი გახარებულია, იცინის, ქლურტულებს, იქვე მდგომ უფროს გოგონას ეძახის. იქნებ ეს პირები თევზიაობაა მისი. ჩვენ მანქანა შევაჩერეთ და მასთან სურათი გადავიღეთ.

ეზოებში უამრავი მაღალი, ლამაზი პალმა და ბანიანი სახლები, ისე როგორც ჩვენში, ქართლის სოფლებში.

კალკუტიდან 30 კილომეტრზე განგის პირას შევჩერდით. კარგა მოშიებულებმა მდინარესთან ხის ქვეშ საუზმე გავშალეთ. გარშემო ილყა შემოგვარტყეს პატარა ინდოელებმა, ჩვენზე არა ნაკლებ მოშიებულებმა. გავუმასპინძლდით.

ვზიგართ „ილმასის ყურესთან“. განგი აქ მეტად ვრცელია. კალკუტისაკენ მიცურავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დარეირთული იალქნიანი ნავები. მაგარი მკლავებით უსვამენ ნიჩბებს მზისგან ზავი ნახშირივით დამწვარი ბენგალელები. შორიდან ხელს ვუქნევთ, ისინიც გვესალმებიან.

სოფლებში არსალ სახლში არ შევვიშვეს. ინდოეთში

ისე არაა, როგორც ჩვენში, დაუკითხავად რომელის მიერთებული ნებთ ხოლმე სოფლად გლეხს უცხოელების მთელ დელეგაციას. სტუმარი ლვონისაა... აქ შეურაცხყოფილადაც გრძნობენ თავს, მათ სახლში შესვლა თუ დაპირე. რას იზამთ, ვერ ვნახეთ გლეხის ოჯახი. პატარა ბავშვები აქაც მათხოვრობენ. ეტყობა, ეს სენი მთელ ინდოეთს აქვს მოდებული. მათხოვრობა აქ ჩვეულებადაა გადაქცეული, ჩვეულება კი, როგორც ამბობენ, ადამიანის მეორე ხასიათია.

აგერ შუაგულ შტვერში პირით ჩაემხო კაცი, წამოდგა და ხელები ცაში აღაპყრო, მერე ისევ მიწაზე დაცა. ლოცულობს, ლოცულობს საცოდავი, თავის ღმერთს რალაცის ემუდარება. ვინ იცის, ამ კაცის ღმერთი რომელია.

ლოცვა თქვენ ქალაქ ბენარესში უნდა ნახოთ, „წმიდა ქალაქში“, „წმიდა მდინარის“ განგის ნაპირას. ეს ყველაფერი ცნობილი ამბავია, მაგრამ საკუთარი თვალით ნახვა მაინც სხვა არის.

როგორც ამბობენ, ბენარესში ყოველწლიურად მილიონზე მეტი მლოცველი ჩამოდის ინდოეთის სხვადასხვა კუთხიდან და აღმოსავლეთის სხვა შორეული ქვეყნებიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, ინდონეზიიდან, ბირმიდან. ასეულ და, წარმოიდგინეთ, ათასეულ კილომეტრებზე მოდიან ისინი ფეხით, მხოლოდ ფეხით. თვეობით და წლობით უნდებიან ამ გზის გავლას. თუ ბენარესამდე მოაღწიეს და იქ გარდაიცვალნენ, გაკეთდა მათი საქმე; მათი საქმე მაშინ ცაშია გამორკვეული: საიქიოში ბედს ეწევიან. მათი სული უკვე წმიდაა, იგი



უსათუოდ შეუერთდება ციურ, უხესთაეს სულიერი მოსა-
დიან განვის ტალღებში განსაბანად, ცოდვათა მოსა-
ნანებლად, ბოროტისაგან განსამიჯნავად.

გვიარეთ ქალაქი და მივადექით „წმიდა მდინარის“
ნაპირს. ჩვედით მლოცველებით სავსე ქვის კიბეებზე
და მე მომეჩვენა, რომ მლოცველთა უმეტესობა ჯერ
კიდევ ნახევრად ველურ მდგომარეობაში მყოფი ტომე-
ბის წარმომადგენლები არიან. ისინი თითქმის შიშვლე-
ბი შესახედავად უფრო მაიმუნებს ჰგვანან, ვიდრე თანა-
მედროვე ადამიანებს. იქვე იძინებენ, ლია ცის ქვეშ,
ყოველგვარი საწოლის გარეშე. მხოლოდ შეძლებულნი
ცხოვრობენ მდინარის პირას სასტუმროებში, ბარაკებ-
ში. ინდოეთისა და აღმოსავლეთის მდიდართ კი თავი-
სი სასახლეები და სამლოცველოები აქვთ განგის ნა-
პირზე. მოელ ქალაქში საშინელი სუნი ტრიალებს სი-
ბიძეურის და ანტისანიტარიისა, რომელსაც თან ერთ-
ვის დამწვარი ცხედრის სუნიც.

აგერ სავსებით შიშველი, ტალახში ამოგვარგნილი
კაცი მოდის. ხელში ტალახი უჭირავს, შიგ თმებში იჩ-
რის, ტანზე იცხებს. უკან მლოცველები მოსდევენ
ზუზუნით. ეს „წმიდანია“ — „სადგუ“, ღმერთის წარ-
მომადგენელი განგის პირას, ბენარესში. აგერ მე-
ორე „სადგუ“ ცალკე ზის და ღრმა ფიქრებს მისცემია.
მის ირგვლივ შესაწირავი დაუწყვიათ. იგი ასრულებს
თავის ლოცვას.

ჩავსხედით ნავში და მდინარეში შევცურეთ. განგი
აქ მეტად მშვიდია და მდორე. ოთხი ვეებერთელა კო-
ცონის ალი ცამდე აღწევდა. ოთხი მიცვალებული იჭ-

კოდა კოცონზე. ერთს ფეხები გარეთ უჩანდა უძველესი მარტოს — დაუფერფლავი არ დარჩესო. წითელი და შავი სუდა-რით გადაფარებული რამდენიმე ცხედარი რიგში ეწყო. ნამდვილად შემზარავი სურათი იყო. იქვე ბავშვები თა-მაშობლნენ, იქვე საუზმობლნენ მლოცველები, იქვე ხდე-ბოდა ყველაფერი, მოურიდებლად, უბოდიშოდ.


ბენარესი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქა-ლაქია. იგი ითვლება ლმერთ შივას აკვნად. აქ ჩაისახა ოდესლაც ინდუიზმის რელიგია და ამ ქალაქსაც ამის გამო „ინდუიზმის ნექტარს“ უწოდებენ. ინდუიზმი ინ-დოეთში ყველაზე გავრცელებული რელიგიაა. თუმცა ამ ქვეყანაში მსოფლიოს ყველა რელიგიას შეხვდებით: ისლამს, ბუდიზმს, ქრისტიანობას, კონფუციის მიმდევ-რებს და ვინ იცის კიდევ რას. ათასნაირი სექტები, რომელთა ასავალ-დასავალს ვერ გაიგებ, ბევრიც ეცა-დო. მრავალი უბირი ინდოელი ასე მსჯელობს: ლმერთს კი არ გაუჩენია კაცი, არამედ, პირიქით, კაცმა გააჩინა ლმერთი, ამიტომაც თუ იმ კაცმა თავისთვის თვისი ლმერთი გაიჩინა, რატომ არა მაქვს მე უფლება გავი-ჩინო ჩემი ლმერთი?.. და ჩნდებიან და ჩნდებიან ლმერ-თები ინდოეთში. ადამიანის გალმერთებაც ძალიან უყ-ვართ ინდოეთში. მაჲატმა განდი, მაგალითად, უკვე ლმერთად ჰყავთ აღიარებული.

მეტად საინტერესოა ჯაინისტების რელიგია. ინდო-ეთის ქალაქებსა და სოფლებში ხშირად შეხვდებით პირახვეულ მოქალაქეებს. განა ყველას კბილი სტკივა! ესენი ჯაინისტები არიან. მათ პირი აკრული აქვთ იმი-




ტომ, რომ ბაქტერია არ გადაყლაპონ. ავადმყოფებულების შიშით კი არა—ბაქტერია ცოცხალი არსებაა, აღამიანება ცოცხალი არსება არ უნდა მოჰკლასო. ჯაინისტები მხოლოდ ბოსტნეულს და ბრინჯას ჭამენ. ამ შემთხვევაში ისინი ასე მსჯელობენ: მართალია მცენარეც ცოცხალი არსებაა, მაგრამ იგი განვითარების ისე დაბალ საფეხურზე დგას, რომ შეიძლება შეეწიროს ისეთ განვითარებულ, მაღალ დონეზე მყოფ ორგანიზმს, როგორიცაა აღამიანის სხეული, აღამიანის ორგანიზმი. სხეული არის სულის საპყრობილე, ამიტომ აღამიანი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება. მალე გაათავისუფლოს სული ტყვეობისაგან. ე. ი. ჩვენებურად, ჰქუაზე მყოფი კაცის ენაზე რომ ვთქვათ — აღამიანი უნდა მოკვდეს რაც შეიძლება ადრე. იხოცებიან კიდეც ეს უბედურები უდროოდ, უჭმელობით, ათასნაირი ავადმყოფობით, რაც სხეულის დასუსტებას მოსდევს.

მაღარიისა და ტუბერკულოზის შემდეგ სიკვდილიანობის ყველაზე მეტი შემთხვევა პროცენტულად ინდოეთში გველის ნაკბენზე მოდის, რადგან ინდოეთში, როგორც ცოცხალ არსებას, არც გველს კლავენ. აღამიანი სიკვდილის შემდეგ ხელახლა იბადება. თუ კაცმა ცხოვრება უცოდველად გაატარა, მეორედ ისევ აღამიანად განსხეულდება; თუ რამე შეცოდება მიუძღვის ლვთის წინაშე, შეიძლება მეორედ ძალლად დაიბადოს, ან, ვთქვათ, ვირად, ხოლო თუ დიდი ცოდვანი აწევს კისერზე, მაშინ იგი დაიბადება გველად. ამიტომაც ინდოელი რომ თავის სახლში შემძვრალ გველს დაინახავს, ასე მსჯელობს: ეს თუ ვინმე ჩემიანი არაა, — რო-



Խռովոս Մյաղլաւ.



ბენარესი. შლოველნი განგის პირას,



მელსაც თავის დროზე დიდი ცოდვა ჩაუდენია, ურთიშობი
ორედ გველად დაბადებულა, — რატომ ჩემთან მოვიდა
და არა მეზობელთან? და თუ ჩემიანია, რატომ უნდა
მოვკლა? იქნებ ბაბუა; ბაბუას ხომ არ მოკლავს, პირ-
იქით, რადეს მიართმევს, მიუალერსებს. ბაბუა კი შვი-
ლიშვილს შხამიან კბილებს ჩაასობს ხოლმე და შვილი-
შვილიც კვდება, უბედური.

ინდოეთის მთავარი რელიგიის, ინდუიზმის მიმდე-
ვართ სწამთ აბსოლუტური სულის, უზესთაესი სულის
არსებობა. მათ სჯერათ, რომ ინდივიდუალური სულები
არიან იმ ერთიანი სულის გამოვლინების სხვადასხვა
ფორმები და სახეობანი. საბოლოო ანგარიშში ეს ინ-
დივიდუალური გამოვლინებანი მაინც შეუერთდებიან,
შეერწყმიან უზესთაეს სულს. მაგრამ ყველა სული როდი
შეერწყმება ამ სულს. ცოდვილ სულს უმაღლესი სული
არ შეიერთებს, ამიტომ ამქვეყნად კაცი უცოდველად
უნდა ცხოვრობდეს. თქვენ წარმოიდგინეთ შავი ჭირი
და ინფექციური ავადმყოფობაც კი ცოდვილიანი კა-
ცის სასჯელი ყოფილა, ამიტომ შავი ჭირით და ინფე-
ქციური ავადმყოფობით მიცვალებულ ადამიანს ინდოე-
ლები განგში დაუწვავად, ე. ი. ხორცისგან სულის
გაუთავისუფლებლად ჰყრიან ხოლმე. აქედან—უდიდესი
ეპიდემიები და სახალხო უბედურებანი.

განგზე ნავებით გასეირნების შემდეგ ბენარესიდან
დელში უკვე მატარებლით დავბრუნდით. რა ბუნება!
რა ფრინველები, რა ცხოველები! ინდოეთი მართლაც
რომ დიდი, უზომოდ დიდი ბუნებრივი ზოოლოგიური
პარკია.



შირზაპური, ალაპაბადი, კიდევ რაღაც პურავის მართვის მიზნით ისევ დელში ჩამოვედით (პური ინდურად ქალაქს ნიშნავს, მაგრამ ფენჯაბში ჩვენებურ, ქართულ „პურს“ აგრეთვე პური ჰქვია).

როგორც ჰემოთ ვთქვი, გურბაჲშ სინგჰმა თავის სოფელში დაგვპატიფა, სიკჰების მხარეში, ფენჯაბში. ფენჯაბი ნიშნავს ხუთი (ფენჯ) მდინარის ქვეყანას, ეს მდინარეებია: სათლუჯი, ვიასი, ანუ ბიასი, ჯელამი, რავი და ჩინაბი. ფენჯაბი ინდოეთის ბელლად ითვლება, მისი მცხოვრებლების რიცხვი 50 მილიონს აღემატება. ფენჯაბელები თითქმის ყველანი ვეგეტერიანელები არიან. ფენჯაბელთა რელიგია სიკჰიზმია; ეს რელიგია, ინდოეთის ყველა სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, უფრო მებრძოლი სულისკვეთებისაა. ამ რელიგიის ღმერთს ხელში ხმალიც უჭირავს, თუმცა ეს რელიგიაც არსებითად, როგორც ინდოეთის ყველა სხვა რელიგია, წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებს. განდიზმის მთელი შემართება, მისი მებრძოლი სულიც გამოიხატებოდა ინგლისელებთან თანამშრომლობაზე უარის თქმაში. არ ითანამშრომლოთ ინგლისელებთან, არ იმსახუროთ მათ წარმოებებში, არ იყიდოთ ინგლისური საქონელი, ჩაიცვით ეროვნული ტანსაცმელი—ასეთი იყო განდის მოძღვრება. სიკჰების რელიგია, ვიმეორებოთ, ცოტაოდნად განსხვავდება სხვა კულტებისაგან.

შესახედავად სიკები ლამაზი ხალხია, ისინი ინ-
დოელებს ორა ჰგვანან. როგორც ინდოეთში ყოფილი
ამერიკილი ელჩი ჩესტერ ბოულსი ამბობს თავის წიგნ-



ში („მშვიდობის ახალი პრობლემები“, 1955 წ.) მარტინ გარებოვანი კები სავსებით ჰგვანან კავკასიელებს. ჩვენ ვიტყოდით, ქართველებს, ჩერქეზებს. ისინი ყველანი წვერ-ულვაშს ატარებენ და თმას არასდროს არ იკრეპენ დაბადებიდან; თეთრი ჩალმების ქვეშ ვეებერთელა თმები აქვთ ქალებივით. სიკჲი წარმოსადეგი გაუკაცია, გაბრწყინებული თვალებით და თეთრი, ბრიალა კბილებით. ინდოეთის ინდუსტრიული მუშები, მანქანათა მძლოლები, მფრინავები, მოტორებზე მომუშავენი თითქმის სულ სიკები არიან. თქვენ ალბათ სურათზე გინახავთ ინდოეთის ქალაქში წვერმოშვებული შოთერი ავტომან-ქინაზე, ეს სიკჲია.

გავემართეთ ფენჯაბის დედაქალაქ ამრიცარისაკენ, ეს ის ქალაქია, სადამდისაც უწია ალექსანდრე მაკედონელმა. იქ იყო მისი უზარმაზარი ომპერიის უკიდურესი საზღვარი აღმოსავლეთში. აქედან იყო გადაჭიმული იგი აზიასა და ევროპაზე. მთელ ღამეს მატარებლით მგზავრობის შემდეგ მეორე დილით ჩავედით ამრიცარში. სადგურზე ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეგვხვდნენ.


ფენჯაბის საზოგადო მოღვაწემ, რაღაც საწარმოს მეპატრონებმ, ამრიცარის ქალაქის თავის ძმამ, გუბაჲშ სინგჲის ნათესავმა — რაჲუ ნანდან ფჲაციამ თავის სახლში წაგვიყვანა. ყვავილებით მორთულ ეზოში აქაიქ წვიმის გუბეები დგას. ის-ის იყო ფენჯაბში გადაიღო ძლიერმა რვადლიანმა წვიმამ, რის შესახებაც იმ დღეებში წერდნენ ინდოეთის გაზეთები. ორსართულიანი სახლი მაინცდამაინც დიდი გემოვნებით არ იყო



მორთული, დიასახლისშა საუზმეზე შეგვიპატიური მომავალი საუზმე იყო ერბო-კვერცხი და ბოსტნეული. თავად ლა-მაზ მამაკაცს, ნანდან ფჰაციას ცოლი მეტად უშნო ჰყავდა, ეტყობა, რაღაც ქონებრივი ინტერესები გამხ-დარიყო მათი შეულლების საფუძვლად. ეზოში სამუ-რად გალობდა გიტარა — ფენჯაბური ფრინველი.

ამრიცარი მოზრდილი ქალაქია, ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრებით; ქუჩებში ინდუსტის სპეციფიური სუნი, მით უმეტეს ბაზარში, სადაც გაუწყნარებელი ხმაური და ფუსფუსია. ქალაქის შუაგულში დგას ამრი-ცარის ცნობილი „ოქროს ტაძარი“, ირგვლივ მარმა-რილოს დიდი აუზებით. აუზებში წყალქვეშა ნავებივით დაგელაობენ ვეებერთოელა თევზები, რომლებსაც კაცი ხელს არ ახლებს. ისინი კარგად ჩანან კრიალა წყალში. ამ ტაძრის გარშემო ბურჯუაზიას თავისთვის თეთრი სასახლეები აუშენებია, უბრალო მლოცველნი, რომელ-ბიც იგრეოვე შორიდან მოდიან აქ, უბრალო ბარაკებ-ში ცხოვრობენ. ახლა მთავრობას გადაუწყვეტია შეი-ძინოს ბურჯუებისაგან სასახლეები და აქციოს იგი სას-ტუმროებად უბრალო მლოცველი პილიგრიმებისათვის. ტაძარი მჩენე ელექტრონივით ელავს თავისი მოოქრო-ვილი კედლებითა და გუმბათებით.

გაგვხადეს ფეხზე, ჩაგვაცვეს თავიანთი წინდები და შეგვიყვანეს ტაძარში. ცენტრალურ დარბაზში ყვავი-ლებით გაწყობილი ნოხის გარშემო ზის რამდენიმე ათე-ული ბრძა მემუსიკ და განუწყვეტლად, მთელი დღე-ლამის განმავლობაში ამლერებს საკრავებზე ინდურ საე-კლესიო სიმღერებს. ეს სიმღერები ამ საყდარში არ




ଜ୍ଞାନିସ୍ତୁରୀ ମତୁରାଜୀ ପ୍ରାଚୀରୀ.



ՊԵՐԵՄՅԱՅԻ. Սածյուռնուական պատմության գլուխացն սինդիկու Սահմանը.

შეწყვეტილა მისი დაარსების დღიდან, ისე როგორიცაც
კალკუტაში ჯაინისტების ბრილიანტის საყდარში ერთი
სინათლე არ ჩამქრალა მისი დაარსების დღიდან. ამ
ბრავალრიცხვან ბრძანა შორის ერთ მოხუცს მართ-
ლაც რომ საოპერო ხმა ჰქონდა. ნოხზე ზედ შუაგულზე
დევს ხმალი. ეს ხმალი გამოხატავს სიკვების რელიგიის
ფილოსოფიას: მრისხანე კაცს უნდა თხოვო შეწყალება
და ლმობიერება, ამბობს ეს მოძღვრება, ხოლო თუ
მრისხანე კაცი არ გამოიჩენს ლმობიერებას, მას ხმლით
უნდა მოკვეთო თავი. მაგრამ სიკვებს მაინც სჯერათ,
რომ ყოველ მრისხანე კაცს შეიძლება თხოვნით მოაღები-
ნო მოწყალება და გამოსთხოო ლმობიერება. „ოქროს
ტაძრის“ კედლები მოჭედილია ძვირფასი თვლებით. კედ-
ლებზე აქაც მთელი ყურანია მიწერილი. მეორე ოთახ-
ში ზის კაცი ნოხზე, მორთხემულ ფეხებზე უდევს ვე-
ებერთელა წიგნი და ოცდაოთხი საათის განმავლობაში
კითხულობს ამ წმიდა წიგნს. კულტის ამ მსახურმა ეს
წიგნი ზეპირად იცის, იგი ფურცლავს მას წალმა-უკულმა,
ჩვენ შემოგვცერის და ბუტბუტებს. თავზე ახალგაზრდა
კაცი ადგას საგრილებლით ხელში და უნიავებს. წიგნის
წაკითხვას ზუსტად ორი დღე და ლამე სჭირდება. 48
საათი, მერე იგი ხელახლა თავიდან იწყებს. ამ ტაძრის
ძმობის, ძღამიანობის და მრისხანების დათრგუნვის
საერთო ღმერთის ტაძარი ეწოდება. აქ ყველა სჯელის
მლოცველი მოდის, მუსლიმანიც კი.

ტაძრის რემონტის, მის მომსახურებას მლოცველნი
უფასოდ აწარმოებენ, ეს მათ ღვთისმსახურებად მიაჩ-
ნიათ და ერთმანეთს ეჯიბრებიან ტაძრის დაგვა-დასუფ-



თავებაში. ტაძრის ეზოში დგას გვირგვინების ფილატები, ძლული ხე-ჯუჯუბა, მლოცველებს მოაქვთ და მოაქვთ ყვითელი ყვავილების გვირგვინები. ემთხვევიან ხეს და ჰკიდებენ ტოტებზე მათ. ადგილობრივნი ამბობენ, ეს ხე ხუთასი წლისათ.

ფეხები დაგვისველდა ნაწვიმარ ფილაქანზე. გვარწ-
მუნებდნენ, თქვენ „ოქროს ტაძარში“ ხართ, ღმერთი
გიცავთ და არ გაცივდებითო. მართლაც, ღმერთმა
ერთი ნაწილი დაგვიცვა, მაგრამ ორი ჩვენგანი გამორჩა
მხედველობის არედან და მეორე დილით მაგარი სურ-
დო შეეყარათ გარეგინ სევუნცსა და ტუგელბაი სიდი-
ბეკოვს. სიკვების ღმერთმა არ შეიწყალა ისინი.

ჩვენმა მასპინძელმა რაჭუ ნანდან ფჲაციამ მეწარმე-
თა კლუბში დაგვპატიუა. აქ თავი მოიყარეს ქალაქ
ამრიცარის მდიდრებმა და საზოგადოების წარმომად-
გენლებმა, გრძელი მაგიდის თავში დაჯდა მეწარმეთა
კავშირის თავმჯდომარე ევროპული ჩაცმული კაპიტა-
ლისტი, რომელმაც მაშინვე რელიგიაზე ჩამოგვიგდო
საუბარი, რადგინ ჩვენ ის-ის იყო დავბრუნდით „ოქ-
როს ტაძრიდან“. მე სხვაში არაფერში ვემხრობი კო-
მუნისტებს, ხოლო რელიგიის საკითხში მეც კომუნისტი
ვარო,—განაცხადა მან,—რელიგია სისულელეა და თა-
ვის მოტყუილება. ჩვენ გაგვიკვირდა ასეთი ათეისტუ-
რი, თავისუფალი აზრის გამოთქმა ისეთ უკიდურესად
რელიგიურ ქვეყანაში, როგორიც ინდოეთია.

სუფრაზე მხოლოდ ვეგეტერიანული საჭმელები მოი-
ტანეს, ყოველგვარი სასმელის გარეშე. რამდენი არ
წამოიწყო ამხანაგმა სოფრონოვმა საუბარი გადასაკრა-



ეის შესახებ, მისი ხშა დარჩა ხშად მღალაშენიშვილი უდაბნოსა ჟინა.

სუფრაზე მოწვეული იყო ფენჯაბის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, ინდოეთის პარლამენტის წევრი, მაღალი, ლამაზი, ახლად გათეთრებული, მხიარული მამაკაცი სონ სინგჰ დიოში. იგი წლების განმავლობაში, თავისი ცხოვრების ნახევარი, მჯდარა ინგლისელთა ციხეებში. სუფრის თავში მჯდომი კაპიტალისტი სულ მისკენ იღრინებოდა: — წაიღო მოთმინება პარლამენტში თავისი ახალი და ახალი წინადაღებებით გადასახადების გადიდების შესახებ მექარხნეთა და მეწარმეთა მიმართო. რას დაეძებს სხვის ქონებას, თავად არაფერი გააჩნია, აი, ვინ უშლის ხელს ნაციონალური ბურუუაზიის გაძლიერებას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ინტერესების წინააღმდეგო. სონ სინგჰ დიოში ამაზე ხარხარებდა. კაპიტალისტი კი უფრო და უფრო ბრაზდებოდა. სინგჰი იმ დღეს განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო; ნათესავივით გვეკითხებოდა ჩვენი საბჭოთა ქვეყნის იდამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. წამოსვლისას კაპიტალისტებმა კიბეებზეც არ ჩამოგვაცილეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით დიდი შემოსავალი იქვთ, მაგალითად, სუფრის თავს მჯდომი ჩვენს ქვეყანასთან ჯუთით ვაჭრობს წელიწადში 18 მილიონი რუპიის რაოდენობით. სინგჰ დიოშმა მანქანებამდე მიგვაცილა და გულით გვისურვა კეთილი მგზავრობა და შემოქმედებითს მუშაობაში წარმატება.

მანქანები დაიძრა გურბაჲშ სინგჰის ნავტეჯის სოფ-



ლისკენ. ამ ველებს რომ ვუცქერ, ასე მგონია ჰერთლია
ვკითხულობ „ვეფხისტყაოსანს“ — „სმენად მხეცნი შო-
ვიდიან...“ ინდოეთში ზოგჯერ შინაურსა და გარეულ
ცხოველს თუ ფრინველს ერთმანეთისაგან ვერც კი
გაარჩევთ.

სოფელ ჩუგავანში გზად შეგვაჩერეს მოსახლეებმა
და გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მიტინგს ქალი
ხელმძღვანელობდა, საშველი არ მოგვცა და ყოველ
ჩვენთაგანს სიტყვა გვათქმევინა. აუარებელი შეკითხვა
დაგვაყარეს, დიდხანს არ გაგვიშვეს. გაბრწყინებული
თვალებით შემოგვცეროდნენ და ყოველი ჩვენი სი-
ტყვის დამთავრებისას ერთხმად გაბმულად გაჰკიოდნენ:
„ჰინდი რუსი ბჰაი, ბჰაი...“ მერე როცა ძალზე ბეჭრი
ხალხი შეიკრიბა, ჩვენ უხერხულობა ვიგრძენით და ცო-
ტათი შეგვეშინდა კიდევ — ამ მიტინგის ამბავი მთავ-
რობამდე არ მივიდეს და ინდოეთიდან უკან არ გამო-
გვაბრუნონ-თქო. ჩაგსხედით მანქანებში და ორი სა-
ათის შემდეგ თავი ამოვყავით გურბაჰშ სინგპის და
ნავტეჯის სახლში სოფელ პრიტნაგარში („სიყვარუ-
ლის ადგილი“). უკვე შეღამებული იყო და სოფელში
სიჩუმე იდგა. გურბაჰშ სინგპის სახლი გაზის ნათურე-
ბით გაეშუქებინათ (ელექტრონი აქ, რასაკვირველია,
არ არის). სინგპი მხიარული სიცილით და ხელგაშლით
შემოგვხვდა კიბეზე. მთელი თავისი ჯალაბი ზაგვაც-
ნო: ცოლი, შვილები, შვილიშვილები. შემოვიდნენ მე-
ზობლები და იატაკზე იქვე დასხდნენ ფეხშიშველნი.
საღამო ისევ ლექსების კითხვასა და სიმღერებში გავა-
ტარეთ. ქალებმა ისევ სევდიანი სიმღერები თქვეს. პა-



ტარა გოგონამ იმღერა „ფენჯაბშა გამოილვადაშენული ფენჯაბის ახალი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუში იყო.

კედელზე სრულიად უცნობი მხატვრის შესანიშნავი სურათებია: „პოეზია“, „სიჭაბუკის მოგონება“, „სიყვარულის ლეგენდა“, „ინდოელი მუშა“, „გათხოვდა“, „მოხუცი სიგჰი“, „ჭაბუკი სიგჰი.“ სიყვარულის ლეგენდაში შაჰ-ჯაჰანი ჰპირდება მომაკვდავ ახალგაზრდა მეუღლეს დიდი მავზოლეუმის — ტაჯ-მაჰალის აგებას: „ინდოელი მუშა“ ძლიერი, კუნთებმაგარი მაღაროელია, ხელში დიდი წერაქვით. „ჭაბუკობის მოგონებაში“ ჩათვლემილ მოხუცს ელანდება ახალგაზრდა ჭალ-ვაჟი. ის ვაჟი მისი ახალგაზრდობაა.

სავარეელში ხანშესული, თხელი, ინდურად ჩაცმული მშვიდი მამაკაცი ზის. ორივე ფეხი მოწყვეტილი აქვს, ეტყობა, პოლიომელიტით. ეს არის სობჰა სინგჰი — ფენჯაბელი განთქმული მხატვარი, ანუ არტისტი, როგორც ის თავის თავს უწოდებს, კანგრას ხეობიდან.— ჩეენს მხატვრობას მომავალი ისე არა აქვს, როგორც აწმყოო, — ამბობს იგი. — როგორც მე გამიგია, თქვენში ხელოვნებას თვით მთავრობა მფარველობს და მეცენატობს. აქ შეკვეთები ძალზე ცოტაა, აბა, რომელ უგემოვნო მდიდარს სჭირდება ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებით. სობჰა სინგჰი ჩეენი ხალხოსნების მსგავსად კანგრას ხეობაში წასულა, სოფელ ენდრიტაში და იქ ეწევა თავის უპრეტენზიო შემოქმედებითს მუშაობას. იგი ასე მსჯელობს: — არაა საჭირო უკითხო ხალხს მორალი და ჭიუა ასწავლო, საჭიროა თვითონ შენ იცხოვოთ ისე, რომ იყო მათთვის მაგალითიო.



შერე სობჰა სინგჰმა ინდოელი პოეტები ქართველები ირა გამოაჯავრა, რომელიღაც ლექსის სტრიქონი თქვა, ტაში შემოჰკრა და შესძახა: — ვაააპ, ვაააპ, ვაპ! იგი დაბეჯითებით გვარწმუნებდა, რომ ბევრ პოეტს ტაშის დამკვრელები მუშაირაზე დაქირავებული ჰყავსო. მერე სინგჰმა რომელიღაც ენაბლუ პოეტი გამოაჯავრა, ამაზე განსაკუთრებით სიცილი მე ამივარდა. როცა მხატვარმა გაიგო, რომ ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაშიც იყო ენადაბმული პოეტი, შერცხვა, ბავშვივით გაწითლდა და ჩვენი დაუინებითი მოთხოვნის მიუხედავად ხელმეორედ აღარ გაიმეორა. თქვენი ენა მე არ მესმის და მე ვერაფერი შეგატყვეთო, მითხრა მორიდებით და მობოდიშებით.

მეორე დილით გურბაპშ სინგჰის ეზო გლეხებით იყო სავსე. ჩვენ აივანზე გავედით. გლეხები ჩვენს სანახავად მოსულიყვნენ, მრავალი რამ აინტერესებდათ საბჭოთა ქვეყნის შესახებ. მაგრამ დღეს, ეტყობა, მთავარი შეკითხვა ყოფილიყო: არის თუ არა საბჭოთა კავშირში ქურდობა, როგორც ეტყობა, მათ ამ საკითხზე დისკუსია ჰქონიათ. ერთნი ამ საკითხზე დადებითად პასუხობდნენ, მეორენი, ესე იგი, აბსოლუტური უმრავლესობა, საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. და წარმოიდგინეთ მათი გაწილება, როცა ჩვენ ვუპასუხეთ, რომ, სამწუხაროდ, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ეს მანკიერი გადანაშთი ჩვენში ჯერ კიდევ აქა-იქ არსებობს-თქო. ასეთი პასუხი მათ არ უნდოდათ. ინდოელი გლეხის წარმოდგენა ჩვენს ქვეყანაზე არის წარმოდგენა ბედნიერების სამყაროზე, თავისუფლებისა და

თანასწორობის საშეფოზე. მართალი გითხრათა ჩატურუა
ცუდ ხასიათზე დაგვაყენა ამ მწარე სინამდგილის აღია-
რებამ ჩვენს შორეულ მეგობრებთან, პატიოსან ინდოელ
გლეხებთან, რომელთაც მეთაურობდა იქაურ გლეხთა
კავშირის ხელმძღვანელი ბაჰალ სინგპი.

ყველაფერი დაწვრილებით გამოგვითხეს კოლმეურ-
ნეობის შესახებ, მიწის განაწილების შესახებ, გლეხთა
კავშირების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა კულტურა
უფრო მეტ მოსავალს იძლევა ჩვენს ქვეყანაში, როგორ
ეხმარება სახელმწიფო გლეხს და სხვა. ჩვენ გვინდა
თქვენ ძლიერნი იყოთო,—ამბობდნენ ისინი.—თქვენი¹
სიძლიერე ჩვენც მოგვიტანს მშვიდობასაო. ჩვენ მათ
მოვუყევით ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრების
შესახებ. მათ გაუკვირდათ, რომ ჩვენს რესპუბლიკებში²
სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, ჩვენს რესპუბლიკებს
თავისი მთავრობები ჰყავთ, თავის გეგმები, თავისი სა-
ჭარმოები აქვთ.


გურბაპშ სინგპისა და ნავტეჯის სოფელ პრიტნაგა-
რიდან ამრიცარში დაბრუნებისას ადგილობრივმა მას-
პინძლებშა აუცილებლად ჩათვალეს გვენახა ქალაქის
პარკი ჯელიან ვალა ბალ, სადაც 1919 წელს ინგლისელ
გენერალ დვაიერს დაუხვრეტია მიტინგი, რომლის
დროსაც ორი ათასი კაცი დალუპულა. ამ ტრაგედიის
მონაწილე ყოფილა ცნობილი ინდოელი მოღვაწე, ინ-
დოეთში ჩვენი ერთ-ერთი მასპინძელთაგანი კიჩლუც,
საბჭოთა კავშირის მეგობარი, რომელიც არაერთხელ
ყოფილა ჩვენში და სწვევია ამხანაგ სტალინსაც. ქალა-
ქის ამ პარქს შესასვლელში აწერია „ეს მიწა გაჟღენ-



თბლია ინდოელი პატრიოტების სისხლით“. აქემენიური პარკი თვითონ ხალხს, ამრიცარის მოქალაქეებზე შეღმოწერით შეგროვებული ფულით უყიდიათ მფლობელისაგან და იგი გლოვის აღვილად გამოუცხადებიათ. აქ დღეს არამცო გასართობები, არამედ რაიმე კრებაც კი არ ეწყობა. იგი ფენჯაბელი პატრიოტების სიმბოლური სასაფლაოა. ხეებსა და კედლებს ახლაც ამჩნევია ნატყვიარები, რაზედაც დღეს პატარი დაფეხია მიკრული. ჩვენ ქუდებმოხდილებმა უსიტყვოდ გაიიარეთ პარკი; მხოლოდ გამყოლის ხმაღა ისმოდა, რომელიც შავი წარსულის ამ ტრაგიკულ ამბავზე მოგვითხრობდა:

ამრიცარის სადგურზე, შევედით თუ არა ჩვენს სპეციალურ ვაგონში, უკან რამდენიმე ახალგაზრდა სიკვიდემოგვყა. ესენი აღგილობრივი კომუნისტები აღმოჩნდნენ, პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკები. ათასნაირი შეკითხვა მოგვაყარეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული მუშაობის შესახებ. გულლიად, ალალად გვეკითხებოდნენ და მოგვჩერებოდნენ თვალებში. ბოლოს და ბოლოს მათთან მარტონი დავრჩით და თითქოს ჩვენს ენაზე დავიწყეთ საუბარი. ამ დროს მატარებელთან ფენჯაბელთა დიდი ჯგუფი მოვიდა. ეს იყო ქალაქის თავი მხლებლებითურთ. იგი შემოვიდა ჩვენს ვაგონში, ზრდილობიანად მოგვესალმა და მოგვიბოდიშა, რომ აქამდე ჩვენთან შეხვედრა ვერ მოახერხა ქალაქში არყოფნის გამო. გამოგვეითხა—როგორ მოგვეწონა ქალაქი ამრიცარი. მატარებლის წასვლის დროც დადგა და იგი დაგვემშვი-

ସମ୍ବଲପୁର ୧୯୫୪ ପାତ୍ର-ଶିଖ



დობა. გამოგვემშვიდობნენ ჩვენი კომუნისტი გაზტოდებულებიც, ჩუმად, ხელის მაგარი ჩამორთმევით.

ისევ დელი. ჩვენ წავიღეთ დიდი გვირგვინი მაჰატმა განდის საფლავზე — „მაჰატმა განდის, საბჭოთა ქვეყნის მწერლებისაგან.“ განდის საფლავი ქალაქის განაპირა ვეებერთელა მოედანზეა მოთავსებული. მოედანი შემორაგვულია და რამდენიმე შესასვლელი კარები აქვს; შესასვლელიდან ვიდრე საფლავამდე გზა წითელი ქვითაა მოპირკეთებული და ორივე მხარეზე გაზონები და შადრევნები ჩასდევს.

განდი, როგორც მოგეხსენებათ, 1948 წელს მოჰკლა ინგლისელების მოსყიდულმა, რომელილაც რელიგიური სექტის წევრმა, ფანატიკოსმა გოთსმა. ინდოეთში იმ ხანებში დიდი ხოცვა-ულეტა იყო ატეხილი ინდოელ და მუსლიმან მოსახლეთა შორის. (ეს მუსლიმანები ახლა უმეტესად პაკისტანში არიან გადახვეწილნი). განდი გამოდიოდა ინდოეთში მცხოვრები ხალხების მეგობრობის იდეით, იგი ქადაგებდა მათ შორის ძმობასა და შერიგებას. ინდოელები და მუსლიმანები ძეგბი არიანო, მოუწოდებდა იგი. ინდოელთა ნაწილი, სხვადასხვა რელიგიური სექტების წარმომადგენლები, არ იწონებდნენ განდის ამ მოძღვრებას. ჩვენ მუსლიმანთა ძმები არასდროს არ ვყოფილვართ და არც ვიქნებითო. ინგლისელებმა ხელსაყრელი დრო იშოვნეს და მოაკვლევინეს კიდეც იგი. განდის ცხედარი დასწევს კოცონზე. იგი მოელ ქალაქზე ჩამოატარეს ჯავაჰარლალ ნერუმ, რადპაკრიშნანმა, პრასადმა და სხვებმა. განდის მკვლელი გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს. დღეს, რო-



გორც აღვნიშნეთ, მაჰატმა განდი თითქმის ღმერჩეული, აღიარებული ინდოეთში.

განდის საფლავიდან დაბრუნებულთ სასტუმრო „ჯანპატში“ დაგვხვდა მოსაწვევი ბარათები: ინდოეთ-საბჭოთა ქვეყნის კულტურული კავშირი ძველ დელში ტაუმპოლის კლუბში აწყობდა შეხვედრას ჩვენთან და იმ დღეებში ინდოეთს ჩამოსულ საბჭოთა მეცნიერებთან (რომელთაც რსფსრ განათლების მინისტრი ხელმძღვანელობდა). კლუბში სკამები არ იდგა და დამსწრე საზოგადოება პირდაპირ იატაკზე იჯდა ფეხმოროთხმული. ვრცელი პოლიტიკური სიტყვით მოგვესალმა ქალაქ დელის მერი. მან დიდი სიამაყით ილაპარაკა საბჭოთა კავშირისა, ინდოეთისა და ჩინეთის მეგობრულ ურთიერთობაზე. სხვათა შორის, ინდოეთში საზეიმო სალამოების ოფიციალური ნაწილი და საკონცერტო განყოფილება ერთმანეთშია არეული. ასე რომ, მერის სიტყვის შემდეგ, გამოვიდა სიმებიანი ორკესტრი და შეასრულა სიმღერა „ავარა“; მერე ისევ ქალაქის მერი გამოვიდა, ახლა პატარა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა: საბჭოთა კავშირი ჩვენს ქვეყანას კარგად იცნობს, ჩვენს ხელოვნებაში კარგად ერკვევა, მაგრამ, მორიდებით უხდა აღვნიშნო, ჩვენს კინოსურათებში საბჭოთა მაყურებლები კარგსა და ცუდს ვერ არჩევენ. ამის მაგალითად მოიყვანა რაჯ კაპურის ფილმის „ავარას“ წარმატება საბჭოთა კავშირში. ეს ხომ ჩვენი ქვეყანა არ არის, ეს პოლივუდიზებული, ცუდად ასახული ინდოეთია და საბჭოეთში ამ სურათისა რა მოსწონთ, ვერა გაგვიგია რაო.



მოგვესალმა ცნობილი ინდოელი უურნალის კულტურული როგორც ჩანს, დიდებული ორატორი, ჩვენი ქვეყნის მეგობარი, ჩვენში ნამგზავრი ჯან ბალათურ სინგპი. ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს ჰიმალაისა და ჰინდი-ყუშის უმაღლესი მწვერვალები ჰყოფენ, მაგრამ ჩვენს დღევანდელ მეგობრულ ურთიერთობაში ეს დიდი მწვერვალები პატარა გორაკებად ჩანანო. ჩვენი ორი თავი-სუფალი ქვეყანა, განდისა და ტოლსტოის ქვეყანა, სულიერად ახლობლები არიან და ჩენ კიდევ უნდა გავაღრმაოთ ეს სიახლოევ მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველსაყოფადო. ბალათურ სინგპის გამოსვლას ახლა მოჰყევა მომღერლების ანსამბლი, რომელმაც შეასრულა „იმპერიალისტებო, წადით აზიიდან“.

ერთმა ორატორმა იქვე, იმპეროვიზებულად შეთხზული თავისი მოთხრობა წაიკითხა. მოთხრობის მთავარი გმირები იყვნენ სამი ძმა: განგი, იან-დი და ვოლგა. როცა ამ სამმა ძმამ ერთურთს ხელი გადახვია, ქვეყნად მათზე ძლიერი აღარავინ იყო.

ინდოეთ-საბჭოთა ქვეყნის კულტურულმა კავშირმა მეორე დღესაც მოაწყო ასეთი მიღება სასტუმრო „ვენგერაში“, სადაც კვლავ ვნახეთ ჩვენი ამრიტა, კვლავ მოვისმინეთ მისი ქალური ნაზი დვრინი, კვლავ დავიკირეთ მისი ქვეშ ქვეშა ქვრეტა და მშვიდი ლიმილი. თვითონ კიჩლუც კი აალელვა მისი ლექსის კითხვამ.

საღამოთი ჩვენს სასტუმრო „ჯანპატში“ ქართველებმა მიმიწვიეს. ისინი ფჰილაის დიდი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე მუშაობენ. ამ ქარხანას, როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, საბჭოთა კავ-

შირი აშენებს ინდოეთში. გახარებული შემომწევფნენი
რუსთავის გამოცდილი ინჟინრები, სპეციალისტები
იასონ გუმბერიძე მეუღლითურთ, და პლატონ ჭიქაძე-
რიძე. მათ კარგა ხანია ქართველი კაცი არ ენახაო.
ჯერ კიდევ, როგორლაც, ერთი ბოთლი ქართული ლვი-
ნო შემორჩენოდათ და ჩვენებურად ვადლეგრძელეთ
ჩვენი სამშობლო შორეული ინდოეთის დედაქალაქში. მე
დიდად მასიამოვნა ამ ქართველ. სპეციალისტებთან
საუბარმა, გარდა თავიანთი სპეციალობისა, ისინი კარ-
გად იცნობენ კულტურის საკითხებსაც.

უკანასკნელი მზიანი დილა დელში. თეთრი ნისლი
დაბლა, სულ დაბლა ქალაქის ქუჩებზე იბლანდება, ისე
როგ ხის წვეროები ნისლიდან მაღლა არის ამოსული.
ქალაქი დელი თითქოს ბამბითაა სადლაც გასაგზავნიდ
გულდაგულ შეფუთვნილი. ამ ნისლიდან ქალაქის კა-
რიბჭე ისეა ამოზიდული, როგორც თოვლიანი მთა.
მხიარულად გალობენ და გასჭყივიან ფრინველები.
მძიმედ, მძიმედ მიფრინავენ აღმოსავლეთისაკენ, დიდი
მოგოლის აკბარის ფორტისკენ „დუმილის კოშკებზე“
ცხედრებით უკვე დამძლარი სვავები. ვდგავართ
სასტუმრო „ჯანპატის“ გრძელ აივანზე და უკანასკნე-
ლად გადავცერით ინდოეთის დედაქალაქს.

ჩვენს გასაცილებლად მოვიდნენ ინდოეთის მწერ-
ლები: გულიამ რუბანმა ჯიბიდან ერთი ბოთლი ვისკი
ამოძრო და სუფთად, სოდის წყალგაურევლად შესვა
ჩვენი სადლეგრძელო. უცებ გრძნობები მოერია და
ოვალები აუცრემლიანდა.

ჩვენი მანქანები აეროდრომისაკენ. დაიძრა. დღის

ორ საათზე იანვრის 15-ს ჩვენ უკვე პაკისტანის ფედერაციის
მფრინავში ვისხედით და ეს ძველი მანქანა უკვე ყალბით
ჩისაკენ გასაფრენად ფუხფუხებდა.

ყარაჩი ტოკიოდან წამოსული თვითმფრინავი გვე-
ლოდებოდა, სკანდინავიის იგივე საავიაციო კომპანიის
მშვენიერი მანქანა.

ყარაჩი, აბადანი, შუამდინარეთი და სირია, ხმელ-
თაშუა ზღვა, ათენი, რომი, თოვლიანი ალბები, მონ-
ბლანი, თოვლიანი შვეიცარია, დიუსელდორფი, კოპენ-
ჰაგენი, სტოკჰოლმში ლამის გათევა, რიგა, მოსკოვი.

მე შემიძლია ხვალ თბილისის აეროდრომზე დაგ-
ფრინდე.



ИРАКЛИЙ АВАШИДЗЕ

По дорогам Индии
(На грузинском языке)
Изд-во „Сабчота Мцерали“

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцерали“
19 Тбилиси 57
Плехановский, 181

* *

რედაქტორი რევაზ თვარაძე

გამ-ბის რედაქტორი ნ. ხამერიკი
მხატვარი ლადო გუდიაშვილი
ფოტოსურათები არჩ. უშვერიძისა
ტექნიკურაქტორი შ. დემეტრაძე
კორექტორი ლ. ზედგინიძე

* *

გადაეცა წარმოებას 1.X, 1957 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 14.XII, 1957 წ.,
ანაზუობის ზომა $5 \times 7,25$, სავტ. ფ. 3,29,
საამონაბეჭდო ფ. 3,3, სასტამბო ფ. 6,12,
ქაღალდის ზომა 70×108 , ტირაჟი 3000,
შეკვ. № 556 უმ 05401

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის“ სტამბა
თბილისი, პლეხანოვის, 181

ფასი 2 მან. 60 კაპ.



ეროვნული
ბიблиოთეკი

